# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 11 თებერვალი 2003 №21 (1792) | ფასი 50 თეთრი


# საქართველოს ნაკრები ექსპერიმენტული ჯგუფია



ალექსანდრე ჩივაძის ექსპერიმენტულ ნაკრებს ლადო ბურდული (მარჯვნივ) გამოაკლდა

ხვალ საქართველოს ნაკრები ამხანაგურად ხვდება მოლდოვას. თავისთავად კარგი ამბავია — მოგეხსენებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის მუდამ პრობლემაა ნაკრებისთვის სპარინგ-პარტნიორის პოვნა, რასაც ყოველთვის იოლად ახერხებენ თუნდაც მალტის და ლიხტენშტაინის ფედერაციები.

თუმცა ამას შევეშვათ და ერთი გულუბრყვილო კითხვა დავსვათ: რისთვის სჭირდება ნაკრებს ამხანაგური მატჩი? გულუბრყვილო კითხვას ასეთივე პასუხი უნდა ჰქონდეს, მაგრამ საქმე არც ისე მარტივადაა.

საქართველოს ნაკრები მოლდოვას ხვდება ექსპერიმენტული შემადგენლობით, რომლიდანაც გაზაფხულზე გასამართ ოფიციალურ მატჩებში ორი სამი ფეხბურთელი თუ დარჩება. ამგვარად, ხვალინდელი შეხვედრა იმ მნიშვნელოვანი მატჩებისთვის მოსამზადებლად ვერ გამოდგება. ეს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემაც დაადასტურა ორიოდე კვირის წინ, ოღონდ ცოტათი განსხვავებული არგუმენტი ჰქონდა, მოლდოვასთან შეხვედრა ირლანდიისწინა რეპეტიცია არ იქნება, იქამდე ძალიან დიდი დროაო.

ჩივაძისვე თქმით, ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიდის და მოლდოვასთან ახალი ფეხბურთელების გამოცდა ამ პროცესს უცილობლად წაადგება.

ხვალინდელ მატჩს ამ კუთხით თუ შევხედავთ, მწვრთნელის გადაწყვეტილება მართებულად მოგვეჩვენება, მაგრამ რამდენიმე კითხვა მაინც რჩება.

სახვალიოდ ჩივაძემ საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, პოლონეთის, ფინეთის, ავსტრიის და თურქეთის ჩემპიონატებში მოთამაშე ფეხბურთელები გამოიძახა, ამ ჩემპიონატებში კი — თურქეთის გარდა — ახლა შესვენებაა, ანუ გამოძახებულებს სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. ამასთანავე, გამოძახებულთა უმცირესი ნაწილი თბილისში გუშინ ჩამოვიდა, უმეტესობა კი დღეს და შესაბამისად სავარჯიშოდ მხოლოდ დღევანდელი საღამო რჩებათ. რა გამოდის: ალექსანდრე ჩივაძეს მოლდოვას წინააღმდეგ გაჰყავს პრაქტიკამოკლებული, შეუთამაშებელი ფეხბურთელები და მათგან თავის გამოჩენას ითხოვს. ჰოდა, ვეჭვობთ, რომ არაფერი გამოვა და ირლანდია-შვეიცარია-რუსეთთან მატჩებში დაგეგმილი 9 ქულიდანაც ჩივაძეს სინამდვილეში ნაკლები მოუგროვდება.

რუსეთის გახსენებაზე — გუშინ მესამედ შეიკრიბა ის ხალხი, რომლებსაც რუსთა ნაკრების ხელმეორედ ჩამოსვლის ხარჯების განაწილების ამბავი უნდა გაერკვია. ეს, რიგით მესამე შეხვედრაც წინა ორის მსგავსად დასრულდა, ანუ უშედეგოდ და მომდევნო შეხვედრა მომდევნო ორშაბათს დათქვეს.

რაკი დათქმულია, საქართველოს ნაკრებიც შეხვდება მოლდოვას და სარუსეთო ფულებზეც ილაპარაკებენ, მაგრამ რა ხეირი?



# საიდუმლო კონტრაქტი

## ლოკომოტივს მალხაზ ასათიანი მოსკოვში სამი წლით დაუჯავშნია

გადაწყვეტილი ამბავია: მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელია. დღეს, ადრიან დილით ასათიანი თბილისიდან რომში გაფრინდა, საიდანაც თავის ახალ კლუბს მილანთან ახლოს, ჩიკოში შეუერთდება.

ასე დამთავრდა ჩვენში საკმაოდ გახმაურებული სატრანსფერო საქმე. რუსეთის ჩემპიონის, მოსკოვის „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა „სარბიელთან" გუშინდელი საუბრისას ყველაფერს ნათელი მოჰფინა. საქართველოში რომ ვმარჩიელობდით, თბილისის „დინამო" თუ მოსკოვის „ლოკომოტივიო", რუსებს და ასათიანს უკვე სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებდათ ერთმანეთთან.

— მალხაზ ასათიანი „ლოკომოტივს" ხვალ შეუერთდება. მას რომში ჩვენი წარმომადგენლები დახვდებიან და გუნდში მიიყვანენ — გვითხრა გუშინ ვალერი ფილატოვმა, როცა მოსკოვში დავუკავშირდით — ფეხბურთელმა იტალიის ვიზა უკვე მიიღო, ყველა პრობლემა მოგვარებულია.

**— რა პრობლემებს გულისხმობთ?**

— მთავარი იტალიის ვიზა იყო.

**— შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ ასათიანი ლოკომოტიველია?**

— დიახ, ის უკვე ჩვენი ფეხბურთელია.

**— მასთან კონტრაქტი უკვე გააფორმეთ?**

— დიახ, სამწლიანი.

**— ეგ როდის მოხდა?**

— როცა ასათიანი მოსკოვში იყო თანამეგობრობის თასზე სათამაშოდ.

**— აქამდე რატომ ასაიდუმლოებდით ამ ტრანსფერს?**

— ფეხბურთელს იტალიის ვიზა არ ჰქონდა და ვიდრე ის გუნდს არ შეუერთდებოდა, არ გვსურდა ამის თაობაზე საუბარი.

**— ასათიანის სანაცვლოდ ქუთაისის „ტორპედოს" რამდენი გადაუხადეთ?**

— ეს კონფიდენციალური საკითხია. ვერ გეტყვით.

**— გამოდის, მოსალოცად გქონიათ საქმე...**

— ასეა, გმადლობთ, ასათიანის შეძენით ძალიან კმაყოფილები ვართ. ის მაღალი დონის ფეხბურთელია.

**კობა ინასარიძე**



ირაკლი ვაშაკიძე

*ქართული გუნდები გახურებულ საშუასეზონო სამზადისში არიან. თბილისურმა „ლოკომოტივმა" თურქული შეკრება მოილია და შინ ლეგიონერებით გამრავლებული მოეშურება. თბილისის „დინამომ" კი ბოსნიურ მეჩგორიედან ხორვატიულ მაკარსკაში გადაინაცვლა. პირველი საკონტროლო მატჩში გამოსცადა „ტორპედო" ალექსანდრ შტელინმა. ხოლო ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯია" ზედიზედ მეორე საკონტროლო შეხვედრაში დამარცხდა.*

# შუშაკის თასი დინამომ ჩაიბარა
# ნანამ ცაკარიასი დააკმაყოფილა

სადებიუტო შტურმს ფინალშიც ვერ გადაურჩა შუშაკის გუნდი. ზაგრებელები უფრო ნაყოფიერად გაისარჯნენ — პოლივანეცმა მე-5 წუთზე დააწინაურა ხორვატიული „დინამო". 72-ე წუთისთვის კი ანგარიში 4:0 იყო. ქართველებმა ბოლო ათ წუთში გამოიღეს თავი. ორწუთიან ინტერვალში ალექსიძემ და დარასელიამ ჩამორჩენა ორ გოლამდე შეამცირეს, თუმც თბილისელებმა ამის მეტი ვერაფერი შეძლეს.

მიუხედავად მარცხისა, ნაფინალევს შუშაკი კმაყოფილი იყო, ზაგრების „დინამოსთან" თამაშით უდიდესი გამოცდილება მივიღეთო.

ფინალში თბილისელებმა სანახევარფინალო შემადგენლობით ითამაშეს. მეორე ტაიმში შუშაკმა ხიზანეიშვილი ჩაუნაცვლა კარლოსს, დაღლილი აწჩაბაძის ნაცვლად კი კვირკველია შეიყვანა მოედანზე. მათ დიდი წვლილი შეიტანეს ანგარიშის შემცირებაში, განსაკუთრებით ხიზანეიშვილი გამოირჩა, რომელიც ორივე საგოლე ეპიზოდში მონაწილეობდა.

ტურნირის დასრულებისთანავე თბილისის „დინამომ" მეზობლად, ხორვატიულ მაკარსკაში გადაინაცვლა. სპორტული კომპლექსი, სადაც თბილისელები დაბინავდნენ, ზღვისპირას მდებარეობს და მოსამზადებლად ჩინებული პირობებია. გუშინვე გამთენიისას „დინამოს" 13 ფეხბურთელი დროებით დააკლდა, ისინი მაკარსკა-სპლიტი-ზაგრები-ვენა-თბილისის საკმაოდ გრძელი მარშრუტით საქართველოს ნაკრების ხვალინდელი ამხანაგური მატჩისთვის გამოემგზავრნენ. ივო შუშაკს მოსამზადებლად წაყვანილი 24 ფეხბურთელიდან 11 დარჩა, მათ შორის ლადო ბურდული, რომელიც ნაკრებში გამოძახებული კი იყო, მაგრამ ბოსნიაში მიღებული ტრავმის გამო ახლა ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

დინამოს პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, საქართველოს ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები გუნდს 13 თებერვალს საღამოს დაუბრუნდებიან. 14 თებერვალს „დინამოს" ხორვატიული მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდთან აქვს დაგეგმილი მატჩი. 16-ში თბილისელები სპლიტის „ჰაიდუკს" უნდა გაეჯიბრონ, 18-ში კი სკოპიეს „ვარდარს".

## ლოკომოტივი

ანთალიური შეკრების შემდეგ ვიცე-ჩემპიონი „ლოკომოტივი" დედაქალაქში დღეს ჩამოვიდა. ლუის ცაკარიასის დამოძღვრილმა რკინიგზელებმა თურქეთში ჩატარებული საკონტროლო მატჩების უმეტესი მოიგეს.

პირველი ორი ახალი ლეგიონერით შეხვდება კლუბის თავკაცებს. განელი ნანა ეშუანის აყვანა თითქმის გადაწყვეტილია, ხოლო მეორე უცხოელის ბედი, რომლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, თბილისში გაირკვევა. გამოუცნობი ლეგიონერის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ნანასავით შავი კაცია.

გასულ უქმეებზე შეკრების ბოლო დღეებში, ცაკარიასის გუნდმა ორი საკონტროლო მატჩი ითამაშა. რუსულ „ურალმაშთან" რკინიგზელებმა ოთხი უპასუხო გოლით იმარჯვეს. როინ ონიანის, სირაძის, კვარაცხელიასა და სოსელიას დარტყმულებმა მიზანს უწიეს. კიევურ „ობოლონთან" კი თამაში ფრედ 2:2 დასრულდა. უკრაინელებთან თავი ძოძუაშვილმა და კაკაშვილმა გამოიჩინეს.

რკინიგზელებმა ანთალიური სასტუმრო „ოფო" გუშინ დილით დატოვეს და ტრაპიზონისკენ გადაფრინდნენ. ჩვენი დროით საღამოს რვა საათისთვის ტრაპიზონში გუნდს კლუბის ავტობუსი ელოდა.

## ტორპედო

წამყვანი სამეულის გარეშე დარჩენილმა „ტორპედომ" ანთალიური შეკრება რიხიანად დაიწყო. ალექსანდრ შტელინის ბიჭებმა დიდავას, ქემოკლიძისა და ასათიანის გარეშე ბელარუსული „ლოკომოტივი" გაასწორეს მიწასთან. რიონისპირელთა გატანილ ოთხ გოლს, ბელარუსებმა ერთითღა უპასუხეს.

შტელინის გუნდში ჯერჯერობით 6 ახალწვეულია. მიკუჩაძეს, დარსაძეს, ნიშნიანიძესა და გეგიას ორი თურქმენი ლეგიონერი — ბალდასარიანი და ამაევი მიემატა. მწვრთნელი დღეში ორჯერ ავარჯიშებს „ტორპედოს" და შავკანიან მცველ მამადი სანგარეს ელის, რომელიც, შტელინის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, უკვე ტორპედოელად შეგიძლიათ მიიჩნიოთ.

## ვიტ ჯორჯია

თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ" ანთალიაში მეორე საკონტროლო მატჩიც წააგო. ვეტერინარები 2 თებერვალს რუმინეთის პირველი დივიზიონის ლიდერ „ალბასთან" 1:2 დამარცხდნენ.

იტალიელი ჯანი კარნევალი შეგირდთა გარჯით თითქოს კმაყოფილია, მაგრამ გაკვირვებულია, ჩემი ფორვარდები აურაცხელ საგოლე მომენტებს ქარს რად ატანენო.

აშკარა უპირატესობის მიუხედავად, „ვიტ ჯორჯიამ" „ალბასგან" ორი გოლი მიიღო, თავად კი ვლადიმერ გოჩაშვილის გოლსღა დასჯერდა.

რუმინელებთან კარნევალის ეს თერთმეტეული გაუყვანია:

*მამარდაშვილი, ლევან მერებაშვილი, კობიაშვილი, მუჯირი, იმედაშვილი, გოჩაშვილი, დილმელაშვილი, ბოლქვაძე, გველესიანი, ადამია, მელქაძე;*

მეორე ტაიმში შეცვლაზე ნოზაძეს, ერეკლე მერებაშვილს და ბერელიძეს უთამაშიათ. ხვალ ვეტერინართა სარეზერვო შემადგენლობა ითამაშებს, ხოლო ძირითადი გუნდი ზეგ მოსინჯავს მალებს ალექსანდრე რეხვიაშვილის „ტორპედო-ზილთან".

## სიონი

დღეს თემურ მახარაძე 18 ბოლნისელ ფეხბურთელთან ერთად ჩაქვის გზას დაადგება და 23 თებერვლამდე ზღვისპირეთში დარჩება. „სიონი" მომდევნო დღესვე, თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში, რეგიონული ლიგის „ზოოვეტს" მშობლიურ „თემურ სტეფანიაზე" ეთამაშება.

მახარაძის გუნდიდან თითქმის ყველა ვეტერანი რომ დაითხოვეს, უკვე გამცნეთ. მათ სანაცვლოდ კლუბის ხელმძღვანელებს რამდენიმე ჩვენში სახელდაგდებული მოთამაშის გადაბირება ეწადათ, მაგრამ ეტყობა, ყველასთან საერთო ენა ვერ გამონახეს.

ყოფილი მერანელები — იოსებ დევიძე და ალექსანდრე კოშკაძე თითქოს ბოლნისში უნდა გადაბარგებულიყვნენ, მაგრამ ფაქტია, მახარაძე შეკრებაზე მათ გარეშე მიემგზავრება. დევიძის და კოშკაძის გზა-კვალი კი საქართველოს ფარგლებს გარეთ იკარგება. რომელი ქვეყნის რომელ კლუბში არიან გასინჯვაზე, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

კიდევ ერთი ბოლნისელი ზაზა კვეკვესკირი კი თურქულ ანთალიაში ღვრის ოფლს. ზაზას გასულ უქმეებზე ბელარუს რკინიგზელთა მაისურა მოურგია და ჩვენებურ „ტორპედოსაც" მარცხიანად გაჯიბრებია.

„სიონში" გასინჯვაზე იმყოფებოდა კახური „მილანის" ლიბერო ლუხუმ ჯაბუა, თუმც მან მახარაძეს თავი ვერ მოაწონა და წნორში დაბრუნდა.

ბოლნისელებს სურდათ, „თემურ სტეფანიაზე" ყოფილი დინამოელი ზაზა ზირაქიშვილიც ჩაეტყუებინათ. მოლაპარაკებებიც დაიწყო, მაგრამ ზირაქიშვილის სურვილი, „სიონში" სამი თვით მოწყობილიყო, კლუბის თავკაცებმა არ მოიწონეს.

„ზაზას შესაძლებლობებში ეჭვი არ შეგვპარვია, ჩვენს გუნდსაც ძალიან გააძლიერებდა, მაგრამ სამი თვით მისი გადმობირება ხელს არ გვაძლევდა. „სიონმა" თბილისელ თავდამსხმელს ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რაც ზირაქიშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და ჩვენი გზებიც ამის შემდეგ გაიყარა" — გვითხრა გუშინ თემურ მახარაძემ.

ჩაქვში მიმავალთა სიაში ეს ფეხბურთელები ჩაეწერნენ;

***მეკარეები:*** *ვოლკოვი, ბათიაშვილი;*

***მცველები:*** *ბაქრაძე, ირემაშვილი, ხუჯაძე, გოგიტიძე, მებალიშვილი, სვანიძე;*

***ნახევარმცველები:*** *სვანიძე, გაბისკირია, დათვაძე, დაუშვილი, შავგულიძე, ბ. შენგელია;*

***თავდამსხმელები:*** *ისიანი, წივწივაძე, ოდიკაძე, ჩაგელიშვილი*

სამაგიეროდ, ბოლნისელებმა მოახერხეს და ბოლო მომენტში „დინამოს" საკუთრება რამაზ სვანაძე თავისად დაიგულეს. მახარაძის გუნდში არიან ყოფილი ბათუმელი შალვა ხუჯაძე და უცხოეთმოვლილი ჰამლეტ წივწივაძე.

არ არის გამორიცხული, „სიონი" ჩაქვში სულაც 16 ფეხბურთელით გაემგზავროს. მეკარე ბათიაშვილი და მცველი ხუჯაძე თავს შეუძლოდ გრძნობენ და თუ ვერ გამოკეთდნენ, შინ დარჩებიანო, გვითხრა მახარაძემ.

## დინამო

**ივო შუშაკის** ნათესავი გოიკო შუშაკი ხორვატიის ყოფილი თავდაცვის მინისტრი გახლდათ. სწორედ ამ კაცის სახელობის ოთხთა ტურნირს უმასპინძლა შიროკი ბრიაგმა. დინამოურ ფინალში თბილისელთა ზაგრებელმა მოსახელემ იმარჯვა — ძველი კომპანიონების — მიროსლავ ბლაჟევიჩის და ივო შუშაკის პროგნოზი 100 პროცენტით გამართლდა — მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ფინალისტთა თავკაცებმა იხუმრეს, რა მნიშვნელობა აქვს შეხვედრის შედეგს — თასი მაინც „დინამოს" დარჩებაო.

ნახევარფინალში თბილისელთა მეტოქე ხორვატული „ციბალია" იყო. ყოჩაღმა ხორვატებმა სადებიუტო შტურმით გააბრუეს ქართველები. შემტევმა ბარტოლოვიჩმა თავგზა აუბნია დინამოელ მცველებს, მაგრამ ოც წუთში სამ გაცუდებულ ხელსაყრელ მომენტს, გაცუდებული თერთმეტმეტრიანი მიაყოლა — ხოიძემ შეძლო თბილისელთა გადარჩენა. უიღბლოდ იძულგაცრუებულ „ციბალიას" [illegible] „დინამომ" თამაში გაუთანაბრა [illegible] სავოლე შანსი დარასელიასა და ახალაიას ჰქონდათ. მერე კი მსაჯმა ერთმანეთში წაკინკლავებული პავლიჩიჩი და დარასელია დაითხოვა მოედნიდან და მეორე ტაიმში ათკაციანთა ჭიდილში ქართველებმა იმარჯვეს — ახალაიას მიერ 64-ე წუთზე გატანილს შვიდ წუთში ვაშაკიძემ მეორეც მიაყოლა და „დინამომ" 2:0 გაიმარჯვა. ქართველთაგან მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ვაშაკიძე დაასახელეს.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*ხოიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ვაშაკიძე, სახვაძე, კარლოსი, ვოვობერიშვილი, აწჩაბაძე (ხიზანეიშვილი 88), დარასელია, ახალაია, ალექსიძე (კვირკველია 77)*

# იმედაძეს ჩოლაკმა პენალტი წაართვა

**ქოჯაელის** „იზმეთფაშაზე" მასპინძლებმა სტამბოლის „ბეშიქთაშთან" ისეთი ანგარიშით წააგეს, რომ მატჩის შემდეგ „ქოჯაელისფორის" მწვრთნელმა თქვა: „ამ შედეგის მცხვენია!"

მატჩის მსვლელობისას სტუმართა აშკარა სათამაშო უპირატესობა მხოლოდ „ქოჯაელის" ახალწვეულთა შეუთამაშებლობამ განაპირობა. არადა, „მავმწვანეებმა" არცთუ ურიგოდ დაიწყეს. ძირითად შემადგენლობაში ორი ქართველი იყო: გივი დიდავა და გია იმედაძე.

პირველი გოლი „ბეშიქთაშის" აჰმეთ დურსუნმა მეთოთხმეტე წუთზე გაიტანა იგი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ზუსტად დარტყმას არ გასჭირვებია. მერე „ქოჯაელი" გამოცოცხლდა, რასაც სტამბოლელთა კართან ხიფათი მოჰყვა. 42-ე წუთზე გია იმედაძეს გათანაბრება შეეძლო, მაგრამ მიზანმა უღალატა. პირველი ტაიმის დამატებულ წუთებზე სტუმართა საჯარიმოში წესების დარღვევისთვის მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ბურთი გია იმედაძემ აიღო და დარტყმაც დააპირა, მაგრამ გუნდის კაპიტანმა ნური ჩოლაკმა არ დაანება, თვითონ ითავა მისის შესრულება, თუმც „ბეშიქთაშის" მეკარე კორდობამ მოიგერია.

ეს იყო გადამწყვეტი მომენტი ამ მატჩში, რადგან ნირწამხდარი ქოჯაელელები შესვენების შემდეგ გაცუდებულ პენალტზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე თამაშზე. შედეგმაც არ დააყოვნა, ბურთები მასპინძელთა კარში დაუნდობლად ცვიოდა. ის კი არა, „ბეშიქთაშის" ახალბედამ, იტალიელმა ფედერიკო ჯუნტიმაც იხეირა და პირველი „თურქული" გოლი მიითვალა. დუბლი შეასრულა ბრინჯაოსანმა ილჰან მანსიზმა. მის ანგარიშზე მეორე და მესამე გოლია.

გიუვენჩ ქურთარმა მეორე ტაიმში ჯერ გია იმედაძე გაიყვანა მოედნიდან, მერე კი გივი დიდავა ჰუსეინ კარაკაიშით შეცვალა. დიდავას შემცვლელმა მხოლოდ ერთი მოახერხა: თხუთმეტიოდ წუთში ილჰან მანსიზთან უხეშობისთვის გააძევეს და ისედაც მისავათებული თანაგუნდელები უარეს დღეში ჩააგდო.

*გიუვენჩ ქურთარი:* „დასანანია, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი საქმეს უპასუხისმგებლოდ მოეკიდა და სამომავლოდ გუნდში დამკვიდრება მათ გაუჭირდებათ. სანამ დიდავა მოედანზე იყო, საკმაოდ კარგად ითამაშა და მეტოქის გამთამაშებელს, რუმინელ დანიელ პანჩუს გასაქანი არ მისცა. სტანიმირ გეორგიევისა და გია იმედაძის გარჯითაც კმაყოფილი ვარ. თავი არ დაუზოგავთ".

მატჩის შემდეგ პენალტის გამცუდებელ ნური ჩოლაკს გულშემატკივრებისგან მჟავე რეპლიკების მოსმენა მოუხდა. ქომაგთა ნაწილმა კაპიტანს საქციელი დაუწუნა, იმედაძეს დარტყმა რატომ არ აცალე, ბურთი რად წაართვიო.

ცხადია, ქართველებმა ჯერ საყველპურო თურქული არ იციან და ვერც მწვრთნელის შეძახილებს არჩევდნენ. მავანმა ქომაგმა ქურთარს ტრიბუნიდან გადასძახა, ხოჯა ხვალიდან ქართულის სწავლა დაიწყე, ხომ ხედავ, ბიჭებს შენი ნაუბარი არ ესმითო.

**გაგა ხუციშვილი**



გია იმედაძეს (ბურთით) თურქული დებიუტი მწარედ მოაგონდება

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XX ტური

კიოლნი 3:3 ალემანია

## ინგლისი

I დივიზიონი. XXXI ტური

რედინგი 2:1 ჯილინგემი

## ჰოლანდია

II დივიზიონი. XIX ტური

ჰელმონდი 0:0 იგლსი

## იტალია

სერია B. XXII ტური

ლეჩე 1:0 სამპდორია

სერია C1/A. XXIII ტური

პადოვა 1:1 სპალ

## შოტლანდია

ასოციაციის თასი

III ეტაპი. გადათამაშება

სტრანრარი — ფორფარი გადაიდო

ჰამილტონი 3:2 ქუინზ პარკი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა **მიხეილ მესხი** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება სოხუმის „დინამო-2"-ის უფროსი მწვრთნელის გოჩა ჟორჟოლიანის შვილის **თემურ ჟორჟოლიანის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება სოხუმის „დინამო-2"-ის უფროსი მწვრთნელის გოჩა ჟორჟოლიანის შვილის **თემურ ჟორჟოლიანის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

## ამხანაგური მატჩი

თბილისი. ლოკომოტივი. 12 თებერვალი. 16 საათი

### საქართველო — მოლდოვა

მსაჯები: გ. ოგანესიანი; ა. კნიაზიანი, ა. არტოიანი (სამივე სომხეთი); ა. შალამბერიძე (საქართველო); დელეგატი: ა. მილჩენკო



ვიქტორ პასულკო



სერგეი კლეშჩენკოს საქართველოს ნაკრებთან მატჩი ჯერ არ გაუცდენია

# მოლდოვამ თბილისში თორმეტწლიანი წყენა ჩამოიტანა

**მოლდოვასთან** პირადი ანგარიში მაქვს გასასწორებელიო — დაიქადნა ამას წინათ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ. შეგახსენებთ, სწორედ მოლდოვამ ჩაუმწარა სანაკრებო დებიუტი მწვრთნელ ჩივაძეს. მიუხედავად ამგვარი მოტივაციისა, ჩივაძემ გადახალისებული შემადგენლობა იწვია და ლამის თვითმფრინავის ტრაპიდან გაიყვანს გუნდს სათამაშოდ, რაკილა თუნდაც ორდღიანი შეკრების მოწყობა ვერ (არ) მოხერხდა ქართველთა ექსპერიმენტული შემადგენლობისთვის.

ისე, საკითხავია, ვის მეტი მოტივაცია აქვს სახვალიო, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამხანაგურ მატჩში. ჩივაძის სადებიუტო იმედგაცრუება რა მოსატანია იმასთან, რაც ქართველებმა მოლდოველებს შეამთხვიეს. დამოუკიდებელმა მოლდოვამ 12 წლის წინ სწორედ საქართველოსთან ითამაშა პირველი საერთაშორისო მატჩი კიშინიოვში და შერცხვენილიც დარჩა — სტუმრებმა 4:2 გაიმარჯვეს.

წლებმა მოლდოველებს მაშინდელი წყენა ვერ გაუქარვეს — მიუხედავად იმისა, რომ 1994 წელს ოფიციალურ მატჩში მოახერხეს ქართველთა დამარცხება თბილისში. საქართველოსთან ამხანაგური რევანში გვაქვს ასაღები და ახლა საუკეთესო დროა საამისოდ — მოლდოვური გაზეთები ამის მსგავსი ლოზუნგებითაა დახუნძლული და ვიქტორ პასულკომაც უძლიერესი შემადგენლობა იწვია თბილისში.

პასულკომ სანაკრებოდ იხმო შერიფელი სერგეი დადუ — მოლდოვის ჩემპიონატის მთავარმეგოლე. ამ ფეხბურთელმა იანვარში ესენგეს თასზეც გამოიჩინა შედეგიანობით თავი და პასულკომ უყოყმანოდ გადაწყვიტა თბილისში კლეშჩენკო-დადუს დუეტის გამოცდა. სტუმართა თაკკაცს ტომით რუმინელი ჩებოტარისაც ეიმედება, ქართველთა წინააღმდეგ გამოცდილი ბორეცი და რებეჟაც ითამაშებენ. მოლდოველ მედიელთა აზრით, პასულკოს სახვალიო მიზანს სოსნოვსკი-როგაჩოვის დუეტიც წაადგებოდა, თუმც რამენსკოეს „სატურნში“ მოთამაშე ამ წყვილის ნაკრებში გამოუძახებლობის მიზეზი სტუმართათვისაც გაურკვეველია.

ვიქტორ პასულკომ ქართველებთან სათამაშოდ ეს ჩვიდმეტი ფეხბურთელი შეიგულა:

*მეკარეები*

*ევგენი ხმარუკი, ადრიან ბოგდანი*

*მცველები*

*ვალერიუ კატინსუსი, გენადი ოლექსიკი, ალექსანდრუ კოვალენკო, რადუ რებეჟა, გენადი პუსკა, ბორის ჩებოტარი*

*ნახევარმცველები*

*იური პრიგანიუკი, სერგეი კოვალჩუკი, ვიორელ ფრუნზა, სტანისლავ ივანოვი, ვადიმ ბორეცი*

*თავდამსხმელები*

*სერგეი კლეშჩენკო, სერგეი დადუ, ევგენი პატულა, ალექსანდრუ გოლბანი*

თბილისში წამოსვლამდე ვიქტორ პასულკოს 17-კაციანი სია თვრამეტამდე უნდა შეევსო, თუმც არც ისაა გამორიცხული, მწვრთნელმა მე-18 წევრად ახალგაზრდული ნაკრებიდან უხმოს ვინმეს.

**ბაატა ძვანტალიანი**

## ახალგაზრდულები

თბილისი. ეროვნული. 12 თებერვალი. 12 საათი

### საქართველო — მოლდოვა

მსაჯები: ხ. კვარაცხელია; ლ. მიქელაძე, მ. ელიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ყველა საქართველო); დელეგატი: ო. გუნთაძე

*მეკარეები:* სერგეი პაშჩენკო, ევგენი კეპტენე;

*მცველები:* ადრიან კუჩოვეი, ალექსანდრუ ფასოლა, ანდრეი კორნეენკოვი, ალექსანდრუ ნამასკო, ალექსანდრუ რაზდოროჟნი, ლეონიდ ტოფანი;

*ნახევარმცველები:* მაქსიმ ჩებოტარი, ანდრეი მაციურა, სერგეი პისნიკი, ანდრეი პორფირიანუ, ვიტალი ბორდიანი;

*თავდამსხმელები:* ანატოლი სტავილა, დუმიტრუ ჩუმაკი, ოლეგ ხრომტოვი, რომან რადჩენკო

*მწვრთნელი:* ალექსანდრუ გუზუნი

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# გაზაევმა სიჩევი გაიხსენა...

## რუსეთი



დმიტრი სიჩევი

**ევრო 2004-ის** მეათე შესარჩევში საქართველოს მეტოქე რუსეთი 12-13 თებერვალს კვიპროსის საერთაშორისო ოთხთა ტურნირში სათამაშოდაა მიწვეული. რუსები კვიპროსს გუშინ ესტუმრნენ და ქალაქ აიანაპაში დაბანაკდნენ. კუნძულზე რუსების გარდა მასპინძელი კვიპროსი, სლოვაკეთი და რუმინეთიც ითამაშებენ.

აქვე გეტყვით, რომ ეს ტურნირი უცხო არც ქართველებისთვისაა. ორიოდ წლის წინ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა სულაც ფინალში წააგო მატჩისშემდგომი თერთმეტმეტრიანებით რუმინეთთან. მაშინ საქართველოს ნაკრებს დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი წვრთნიდნენ.

რუსებს დავუბრუნდეთ — ვალერი გაზაევმა 24 ფეხბურთელს უხმო. სიახლე ისაა, რომ ნაკრებში დაბრუნდნენ ესპანური „სოსიედადის“ ერთ-ერთი ლიდერი ვალერი კარპინი და ფრანგული „მარსელის“ ნიჭიერი თავდამსხმელი დმიტრი სიჩევი. „კრილია სოვეტოვის“ დაშავებული ნახევარმცველის ანტონ ბობერის ნაცვლად კი ვალერი გაზაევმა ზენიტელ ანდრეი არშავინს უხმო.

აქვე გაზაევის რჩეულ ოცდაოთხივე ფეხბურთელს გაგაცნობთ:

*მეკარეები:* სერგეი ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი), ვალერი ჩიჟოვი (სატურნი), ვენიამინ მანდრიკინი (ცსკა);

*მცველები:* ვიქტორ ონოპკო (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), ანდრეი სოლომატინი (ცსკა), სერგეი იგნაშევიჩი (ლოკომოტივი), დენის ევსიკოვი (ცსკა), ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა), გენადი ნიჟეგოროდოვი (ლოკომოტივი);

*ნახევარმცველები:* ალექსეი სმერტინი (ბორდო, საფრანგეთი), ევგენი ალდონინი (როტორი), როლან გუსევი (ცსკა), ანდრეი არშავინი (ზენიტი), ალან კუსოვი (ცსკა), დმიტრი ხოხლოვი (სოსიედადი, ესპანეთი), იგორ იანოვსკი (ცსკა), დმიტრი ლოსკოვი (ლოკომოტივი), ანდრეი კარიაკა (კრილია სოვეტოვი), ვალერი კარპინი (სოსიედადი, ესპანეთი);

*თავდამსხმელები:* დენის პოპოვი (ცსკა), ვლადიმირ ბესჩასტნიხი (ფენერბაჩე, თურქეთი), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი), დმიტრი სიჩევი (მარსელი, საფრანგეთი), დმიტრი კირიჩენკო (ცსკა).

**ბაბა შალამბერიძე**

## ახალგაზრდული ნაკრები

# ...ჩერნიშოვმა მიქაძე დაივიწყა



გიორგი მიქაძე

**ხვალ** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ამხანაგურად მოლდოვას გაეჯიბრება. რევაზ არველაძის სადებიუტო მატჩისწინ ნაკრებში მიმდინარე ამბებზე აქამდეც არაერთხელ გაცნობეთ, ახლა კი ორიოდ სიტყვით შესარჩევ ტურნირში ქართველთა მეტოქე რუსეთზეც ვთქვათ.

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები თბილისში ქართველებთან 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ პირველად შეიკრიბება და 12 თებერვალს კაიროში მასპინძელ ეგვიპტესთან მოსინჯავს ძალას. ანდრეი ჩერნიშოვმა საამხანაგოდ 18 ფეხბურთელს უხმო.

აღსანიშნავია, რომ ამჯერად რუსთა თავკაცმა ნაკრებში საქართველოში დაბადებულ-გაზრდილ გიორგი მიქაძე არ გამოიძახა. „სატურნის“ ახალგაზრდა მცველმა რუსეთის მაისურა პირველად სწორედ თბილისში მოირგო, ახლა კი ჩერნიშოვმა მასზე უარი თქვა.

ეგვიპტეში რუსები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრებიან:

*მეკარეები* — ვლადიმირ გაბულოვი (სპარტაკ-ალანია), იგორ აკინფეევი (ცსკა);

*მცველები* — ანტონ როგოჩი (როსტსელმაში), ალექსანდრ ბელოზეროვი (ლადა), ვასილი ბერეზუცკი (ცსკა), რუსლან ნახუშევი (ცსკა), დენის კოლოდინი (ურალანი), ოლეგ კუზმინი (ურალანი), რამილ შაგიახმეტოვი (მედიკი);

*ნახევარმცველები* — არტურ ტლისოვი (ცსკა), დმიტრი კუდრიაშოვი (სპარტაკი), ალექსეი ვანიუშინი (მედიკი), სერგეი სმირნოვი (მედიკი);

*თავდამსხმელები* — რომან პავლიუჩენკო (სპარტაკი), სერგეი ვინოგრადოვი (კრილია სოვეტოვი), ტიმურ ხამიტოვი (მედიკი), სპარტაკ გოგნიევი (ცსკა).

**ბაბა შალამბერიძე**

# იორგ, კარგად გიცნობთ

## შვეიცარია



იორგ შტილი

**შვეიცარიის** ეროვნული გუნდი სლოვენიელებთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. მწვრთნელ იაკობ კუნს შეგირდები უკვე რა ხანია, სლოვენიურ ნოვა გორიცაში ჰყავს ჩაყვანილი. მატჩი ხვალ სწორედ ამ ქალაქში გაიმართება.

შვეიცარია საქართველოს თანაჯგუფელა ევრო-2004-ის შესარჩევ ციკლში და ჩვენი ინტერესიც ბუნებრივია, თანაც შვეიცარიელები 2 აპრილს თბილისშიც გვეწვევიან. იაკობ კუნის ბანაკში სადღეისოდ ასეთი ვითარებაა: მწვრთნელმა შეკრებიდან დაითხოვა მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მეკარე იორგ შტილი, მისი შესაძლებლობები მშვენივრად ვიცი და ახლა დანარჩენ ორ კანდიდატს, ფაბრის ბორერს და პასკალ ცუბერბიულერს გამოვცდიო.

„ბაზელის“ მცველმა მურატ იაკინმა კი შეკრება ტრავმის გამო მიატოვა.

ერთი სიტყვით, შვეიცარია ნოვა გორიცაში სლოვენიას 17 ფეხბურთელით გაეჯიბრება.

**გიორგი გაჩაქიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXVII ტური

**ნიუკასლი 1:1 არსენალი**

0:1 ანრი (35), 1:1 რობერი (53)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, ბრემბლი, ბერნარი, სოლანო (სპიდი 46), ჯენასი, დაიერი, რობერი, შირერი (ამეობი 90), ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
არსენალი: სიმენი, ლორენი, კიოუნი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ვილტორდი (ვან ბრონკჰორსტი 85), ჟილბერტო სილვა (პარლოუ 85), ვიეირა, პირესი, ანრი, ბერხკამპი (ჯეფერსი 78)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: შირერი, რობერი, ლორენი, კოული, რობერი
გაძევება: რობერი (58)
მსაჯი: ბერი
52 157 მაყურებელი

**მანჩესტერ იუნ. 1:1 მანჩესტერ სიტი**

1:0 ვან ნისტელროოი (18), 1:1 გოტერი (86)
მანჩესტერ იუნ: კეროლი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, უესლი ბრაუნი, სილვესტრი, ბექემი, როი კინი, ვერონი (ბატი 77), გიგზი (სოლსკიაერი 88), სქოულზი, ვან ნისტელროოი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მანჩესტერ სიტი: ნეში, სომეილი, ჰაუი, დისტინი, ჟიხაი, ფოე, ჰორლოკი (რაიტ-ფილიპსი 66), ბერკოვიჩი (ბენარბია 85), ნ. იენსენი, ანელკა, ფაულერი (გოტერი 85)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ნევილი, ფოე
მსაჯი: ვაილი
67 646 მაყურებელი

**ბირმინგემი 1:3 ჩელსი**

0:1 ძოლა (44), 0:2 გუდიონსენი (49), 0:3 ჰასელბაინკი (69პ), 1:3 სევიჯი (87პ)
ბირმინგემი: ვესენი, კენა (სვიერჩევსკი 52), კანინგემი, აპსონი, კლეპამი, დ. ჯონსონი, კლემენსი, სევიჯი, ლაზარიდისი, დიუგარი (დევლინი 78), ჰორსფილდი (მორისონი 65)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, ტერი, დესაი, გალასი, გრონკიაერი (დე ლუკასი 74), ლამპარდი (ჯ. მორისი 62), ე. პეტი, ლე სო, ძოლა (ჰასელბაინკი 46), გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ჯონსონი, დესაი, ტერი, პეტი, დე ლუკასი
მსაჯი: პელსი
29 475 მაყურებელი

**ბლეკბერნი 1:0 საუთჰემპტონი**

1:0 ტომპსონი (26)
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი, ბერგი, გრეშკო, გილესპი (ოსტენსტადი 90), ფლიტკროფტი, თუგაი (ნ. იოჰანსონი 58), ტომპსონი, ენდი კოული, იორკი (მარტინ ტეილორი 63)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
საუთჰემპტონი: ნიემი, ტელფერი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ჰიგინბოთემი, ფ. ფერნანდეს (პრატონი 72), ოკლი, ა. სვენსონი (ორმეროდი 81), მარსდენი, ბიტი, ტესემი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: მარსდენი
მსაჯი: რაილი
24 896 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:1 ევერტონი**

1:0 კიშიშევი (19), 1:1 მაკბრაიდი (69), 2:1 ლისბი (83)
ჩარლტონი: დ. კელი, რუფუსი, ფიში, ფორტუნი, კიშიშევი, პარკერი, იუელი, კ. იენსენი (კონჩესკი 86), კ. პაუელი, ბარტლეტი (ჯ. იოჰანსონი 67), ლისბი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ევერტონი: რ. რაიტი, პისტონე, სტაბსი (იობო 46), ვეირი, ანსუორთი (რუნი 85), ჯემილი (კ. კემპბელი 89), ტიე, გრაველსენი, ნეისმიტი, რაძინსკი, მაკბრაიდი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ტიე
მსაჯი: უინტერი
26 623 მაყურებელი



მანჩესტერ იუნაიტედი — მანჩესტერ სიტი.
რუუდ ვან ნისტელროიმ გასატანი გაიტანა

# ვერა და ვერა

**ფულემი 2:1 ასტონ ვილა**

0:1 ბერი (3), 1:1 მალბრანკი (14), 2:1 მარლე (36)
ფულემი: მაიკ ტეილორი, ფინანი, მელვილი, გომა, ბარლი, მალბრანკი, ჯეტუ, შ. დევისი, ბოა მორტე (გოლდბეკი 83), საჰა (სავა 88), მარლე (ნაითი 71)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ასტონ ვილა: ენკელმანი, ჯ. სამუელი, მელბერგი, იონსენი, ბერი, გუდიონსონი, ედვარდსი (ჰენდრი 46), ჰიცლსპერგერი (კრუში 67), ს. მური (დე ლა კრუზი 46), დაბლინი, ვასელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: მელვილი, ბერი, გუდიონსონი, ედვარდსი
მსაჯი: დანი
17 092 მაყურებელი

**ლიდსი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ს. ჯონსონი (20)
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, დაბერი, მატეო (კილგელონი 90), რაულ ბრავო, გ. კელი, ოკონი, ს. ჯონსონი, უილკოქსი, ბაკე (მაკმასტერი 90), მილნერი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, ა. ჯონსონი, რეპკა, ი. პირსი, ბრევეტი (ტ. სინკლერი 83), ბოიერი, ლომასი, კარიკი (ჰატჩისონი 90), ჯ. კოული, დი კანიო (დეფო 73), კანო
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
გაფრთხილება: რაულ ბრავო, ოკონი, ბრევეტი, ბოიერი
გაძევება: კანო (70)
მსაჯი: გალაჰერი
40 126 მაყურებელი

**ლივერპული 1:1 მიდლსბრო**

0:1 ჯერემი (38), 1:1 რიისე (74)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანში, ჰიპია, რიისე, დიუფი, დენი მერფი, ჰამანი, შმიცერი (დიაო 60), ოუენი, ჰესკი (ბაროში 46)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი, საუთგეიტი, რიგოტი, სტოკდეილი, ჯერემი, ბოატენგი, გრინინგი, დევიდ მერფი, ჟობი (კრისტი 46; იუსტიჩი 87), რიკეტსი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: რიგოტი, იუსტიჩი
მსაჯი: ბენეტი
42 247 მაყურებელი

**ტოტენჰემი 4:1 სანდერლენდი**

1:0 პოიეტი (14), 1:1 ფილიპსი (26), 2:1 დოჰერტი (45), 3:1 დევისი (67), 4:1 შერინგემი (84)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, რიჩარდსი, კინგი, ტარიკო, ს. დევისი, ანდერტონი, პოიეტი (ეზერინგტონი 74), ბუნიევჩევიჩი (ფროინდი 76), შერინგემი, რობი კინი (დოჰერტი 21)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
სანდერლენდი: სორენსენი, ს. რაიტი, ტომე (პიპერი 69), კრადოკი, ელ კარკური, მაკკარტნი, გ. მაკკანი (ტირლველი 60), ტორნტონი, არკა, ფილიპსი, პროქტორი (ფლო 58)
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
გაფრთხილება: მაკკანი, ფილიპსი
მსაჯი: სტაილზი
36 075 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 ბოლტონი**

0:1 პედერსენი (18), 1:1 ჯონსონი (90)
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, დ. მური, ჯილკრისტი (უდეზე 71), გრეგანი, ა. ჩემბერსი, მაკინესი (ბ. ჰიუზი 77), უოლვორკი, კუმასი, კლემენტი, დიჩიო, რობერტსი (გ. ჯონსონი 77)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, კამპო, ჩარლტონი, რ. გარდნერი, ფრანდსენი, ოკოჩა (ანდრე 85), მენდი, პედერსენი (სალვა 80), ჯორკაეფი (ნოლანი 73)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: გრეგანი, ჩემბერსი, კამპო, იასკელაინენი, ფრანდსენი, სალვა
მსაჯი: ელერეი
26 933 მაყურებელი

**ვერა, ვერ** წაეტანა „მანჩესტერ იუნაიტედი“ კოჭზე „არსენალს“, მაგრამ ვერც „მეთოფეებმა“ უმატეს სისწრაფეს ისე, რომ ფერგიუსონის გუნდისთვის კიდევ უფრო გაესწროთ. ლიდერმა და მდევარმა ფრედ და ერთნაირი ანგარიშებით დაასრულეს თავიანთი თამაშები. „იუნაიტედმა“ მანჩესტერული დერბი გაუმართა „ოლდ ტრეფორდზე“ კევინ კიგანის „სიტის“ და ისე გამოვიდა, რომ „სიტიმ“ ამ სეზონში ოთხი ქულა აართვა ოთხი ტიტულისთვის მებრძოლ „იუნაიტედს“: „მეინ როუდზე“ 3:1 მოუგო, კვირას შუადღით კი ფრე გამოგლიჯა. არადა, სურათი ისეთი იყო, რომ პირველი ტაიმის შემხედვარე ვერავინ იტყოდა, რომ „სიტი“ ქულის წამლები იყო. რუუდ ვან ნისტელროიმ ადრევე გამოიყენა გიგზის გადაცემა და „იუნაიტედმაც“ თამაშთამაშში დაიწყო სტუმართა ხრჩობა, რომელთაც ორი გადაბმული პასიც კი არ გამოსდიოდათ.

სურათი მეორე ტაიმში შეიცვალა, ოღონდ არა „სიტის“ სასარგებლოდ. თამაში მოდუნდა და სტუმრების ფეხა მთლიანად ეიალ ბერკოვიჩის და შეცვლაზე შესული შონ რაიტ-ფილიპსის ფაფხურზე ეკიდა. ვან ნისტელროოი პირისპირ გასული გაიბლანდა, ბექემის საჯარიმო დარტყმებმა ძელების ახლოს ჩაიზუზუნეს, 85-ე წუთზე კი მიკაელ სილვესტრის ხელზე მოხვდა ბურთი თავის ფლანგზე და ჯარიმა დაინიშნა. სწორედ ამ დროს შევიდნენ მოედანზე ალი ბენარბია და შონ გოტერი. ბენარბიამ რაიტ-ფილიპსს გაუგორა, იმან ჩაკიდა, გოტერმა კი თავურით ჩასვა ბურთი კარში. ამ იღბლიანმა შეცვლამ ორიოდ წუთში გოტერის მეორე გოლიც გამოადნო, მაგრამ მანამდე ნიკოლა ანელკას ხელზე მოხვედროდა ბურთი.

კიგანმა ქება მიუძღვნა გოტერს, რომელიც „იუნაიტედის“ აღზრდილი ყოფილა და სწორედ „იუნაიტედს“ გაუტანა თავისი მეასე „სიტიური“ გოლი.

სერ ალექს ფერგიუსონმა კი მარცხი მსაჯ ალან ვაილის უვარგისობას და თავისი ფეხბურთელების ზერელობას გადააბრალა: „პირველ ტაიმში ნამდვილი პენალტი იყო. ბექემი მოცელეს. სამი-ოთხი გოლი უნდა გაგვეტანა, მაგრამ უყურადღებოდ ვირჯებოდით“.

საღამოს კი დიდი თამაში იყო ნიუკასლში, სადაც იქაურები „არსენალს“ მასპინძლობდნენ და ნამდვილ ომში გამოიწვიეს არსენ ვენგერის გუნდი. ორივე მეკარე სასწაულებს ჩადიოდა, გივენმა თავითაც კი მოიგერია ბურთი, დევიდ სიმენმა კი თამაშის ბოლო წუთზე კრეიგ ბელამის ჩაკიდული ბურთი გამოაძრო ცხრიანიდან. ანგარიში ტიერი ანრიმ გახსნა ვილტორდის გამჭოლი გადაცემის შემდეგ, მაგრამ ლორან რობერმა ამას ლამაზი გოლით უპასუხა შესვენების შემდეგ.

რობერივე შეიქნა თამაშის უმწვავესი მომენტის მონაწილეც. მან დენის ბერხკამს ჯარიმის დარტყმა არ აცალა, ბოლო ორ წუთში მეორე ყვითელი მიიღო და მოედანი დატოვა. „ლორანი რომ არ გაგვეგდოთ, მოვიგებდით, მსაჯმა მომენტი ვერ იგრძნო. ბერხკამპი ტყუილად ურტყამდა ბურთს წინ, იქ არავინ იყო“ — თქვა მერე სერ ბობი რობსონმა. „ნიუკასლი“ ათი კაცით დარჩა მაგრამ თამაშის ხასიათი არ შეცვლილა, გოლიც აღარ გასულა, ვენგერმაც აღნიშნა: „ამ წითელმა ვერაფერი შეცვალა“. ორივე საჯარიმოში კი საუკეთესო იყო ალან შირერი, ვინც ლომივით იბრძოდა მთელს მოედანზე.

წინა საღამოს კი „ჩელსიმ“ იოლად გაინავარდა ბირმინგემის „სენტ ენდრიუსზე“, ხოლო „ტოტენჰემმა“ შინ „სანდერლენდი“ გაანადგურა. „როცა ვაგებთ, მეუბნებიან, რომ ბებერი ფეხბურთელები მყავს. როცა ვიგებთ, ეს არავის ახსოვს“ — ჩაიცინა გლენ ჰოდლმა. ერთი ბებერი კი ლაურეატი გამოდგა — ტედი შერინგემმა თავისი მესამასე გოლი გაიტანა.

„ელანდ როუდი“ ტაშით შეეგება „ვესტ ჰემის“ სამოსში გამოწყობილ ლი ბოიერს, „ლიდსმა“ კი ჯონსონის პირველი ლიდსური გოლით მოუგო ბოიერის ახალ გუნდს. ჩარლტონის „ველიზე“ უეინ რუნის საცქერლად მისულიყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი, თუმცა, რუნის სანაცვლოდ მხოლოდ ბრწყინვალე თამაში და მასპინძელთა გამარჯვება იხილა, ყმაწვილი ვარსკვლავი კი დიდხანს ხურდებოდა და მხოლოდ ბოლო ხუთ წუთს იყო მოედანზე. „ბლეკბერნმა“ ცხრატურიანი შესვენების შემდეგ პირველად მოიგო და თან მოყოჩაღებულ „საუთჰემპტონთან“.

გასტრიტის მწვავე შეტევამ არ მიუშვა „ენფილდზე“ ჟერარ ულიე, თუმცა იქ სანუგეშოს ვერაფერს ნახავდა: მისი გუნდი „მიდლსბროსთან“ წაგებას მაიკლ ოუენის [illegible] იონ არნე რიისეს სიზუსტემ გადაარჩინა, ემილ ჰესკი კი სერიოზულად დაშავდა. „ბოროს“ სექტემბრის შემდეგ არ მოუგია გასვლითი თამაში, „ლივერპულის“ მწვრთნელმა ფილ ტომპსონმა კი დაიჩივლა: „არ მჯერა, რომ ეს თამაში ვერ მოვიგეთ“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 27 | 17 | 6 | 4 | 57:29 | 28 | 57 | 14 | 12 | 1 | 1 | 33:13 | 20 | 37 | 13 | 5 | 5 | 3 | 24:16 | 8 | 20 |
| 2 მანჩესტერი | 27 | 16 | 6 | 5 | 44:25 | 19 | 54 | 14 | 11 | 2 | 1 | 26:9 | 17 | 35 | 13 | 5 | 4 | 4 | 18:16 | 2 | 19 |
| 3 ნიუკასლი | 26 | 15 | 4 | 7 | 42:32 | 10 | 49 | 14 | 12 | 1 | 1 | 25:8 | 17 | 37 | 12 | 3 | 3 | 6 | 17:24 | -7 | 12 |
| 4 ჩელსი | 27 | 13 | 9 | 5 | 48:27 | 21 | 48 | 13 | 8 | 4 | 1 | 27:10 | 17 | 28 | 14 | 5 | 5 | 4 | 21:17 | 4 | 20 |
| 5 ევერტონი | 27 | 13 | 6 | 8 | 35:32 | 3 | 45 | 13 | 8 | 4 | 1 | 20:12 | 8 | 28 | 14 | 5 | 2 | 7 | 15:20 | -5 | 17 |
| 6 ლივერპული | 27 | 11 | 10 | 6 | 38:26 | 12 | 43 | 14 | 5 | 8 | 1 | 20:12 | 8 | 23 | 13 | 6 | 2 | 5 | 18:14 | 4 | 20 |
| 7 ტოტენჰემი | 27 | 12 | 6 | 9 | 40:37 | 3 | 42 | 13 | 8 | 3 | 2 | 25:16 | 9 | 27 | 14 | 4 | 3 | 7 | 15:21 | -6 | 15 |
| 8 ჩარლტონი | 27 | 12 | 6 | 9 | 36:34 | 2 | 42 | 13 | 6 | 3 | 4 | 20:18 | 2 | 21 | 14 | 6 | 3 | 5 | 16:16 | 0 | 21 |
| 9 საუთჰემპტონი | 27 | 10 | 9 | 8 | 28:26 | 2 | 39 | 14 | 7 | 5 | 2 | 18:11 | 7 | 26 | 13 | 3 | 4 | 6 | 10:15 | -5 | 13 |
| 10 სიტი | 27 | 11 | 5 | 11 | 38:38 | 0 | 38 | 13 | 7 | 1 | 5 | 23:19 | 4 | 22 | 14 | 4 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 16 |
| 11 ბლეკბერნი | 27 | 9 | 10 | 8 | 32:31 | 1 | 37 | 14 | 6 | 5 | 3 | 19:14 | 5 | 23 | 13 | 3 | 5 | 5 | 13:17 | -4 | 14 |
| 12 ასტონ ვილა | 27 | 10 | 5 | 12 | 31:29 | 2 | 35 | 14 | 9 | 1 | 4 | 21:9 | 12 | 28 | 13 | 1 | 4 | 8 | 10:20 | -10 | 7 |
| 13 ლიდსი | 27 | 10 | 4 | 13 | 34:34 | 0 | 34 | 13 | 5 | 2 | 6 | 14:14 | 0 | 17 | 14 | 5 | 2 | 7 | 20:20 | 0 | 17 |
| 14 მიდლსბრო | 26 | 8 | 7 | 11 | 30:30 | 0 | 31 | 13 | 7 | 5 | 1 | 25:16 | 9 | 26 | 13 | 1 | 2 | 10 | 5:14 | -9 | 5 |
| 15 ფულემი | 26 | 8 | 6 | 12 | 28:34 | -6 | 30 | 13 | 7 | 2 | 4 | 16:11 | 5 | 23 | 13 | 1 | 4 | 8 | 12:23 | -11 | 7 |
| 16 ბირმინგემი | 27 | 6 | 8 | 13 | 23:39 | -16 | 26 | 13 | 3 | 4 | 6 | 12:18 | -6 | 13 | 14 | 3 | 4 | 7 | 11:21 | -10 | 13 |
| 17 ბოლტონი | 27 | 5 | 10 | 12 | 29:44 | -15 | 25 | 13 | 3 | 6 | 4 | 17:20 | -3 | 15 | 14 | 2 | 4 | 8 | 12:24 | -12 | 10 |
| 18 ვესტ ბრომვიჩი | 26 | 5 | 6 | 15 | 20:38 | -18 | 21 | 13 | 3 | 4 | 6 | 11:17 | -6 | 13 | 13 | 2 | 2 | 9 | 9:21 | -12 | 8 |
| 19 ვესტ ჰემი | 27 | 4 | 8 | 15 | 28:52 | -24 | 20 | 14 | 1 | 6 | 7 | 13:22 | -9 | 9 | 13 | 3 | 2 | 8 | 15:30 | -15 | 11 |
| 20 სანდერლენდი | 27 | 4 | 7 | 16 | 18:42 | -24 | 19 | 13 | 3 | 2 | 8 | 8:17 | -9 | 11 | 14 | 1 | 5 | 8 | 10:25 | -15 | 8 |

### XXVIII ტური

22 თებერვალი

ბირმინგემი — ლივერპული
ვესტ ბრომვიჩი — ვესტ ჰემი
ბოლტონი — მანჩესტერი
ჩარლტონი — ასტონ ვილა
ჩელსი — ბლეკბერნი
ევერტონი — საუთჰემპტონი
ლიდსი — ნიუკასლი
მანჩესტერ სიტი — არსენალი
სანდერლენდი — მიდლსბრო
ტოტენჰემი — ფულემი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 18 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 16 |
| შირერი (ნიუკასლი) | 14 |
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერი) | 12 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 11 |
| ძოლა (ჩელსი) | 11 |
| რობი კინი (ტოტენჰემი) | 10 |
| კოუელი (ლიდსი) | 10 |

## პირველი დივიზიონი

### XXXI ტური

**პორტსმუთი 6:2 დერბი ქაუნთი**

1:0 მერსონი (3), 2:0 აიგბენი (17), 3:0 ტეილორი (22), 3:1 მორისი (58), 3:2 ძინძლაძე (67პ), 4:2 ტოდოროვი (73), 5:2 აიგბენი (80), 6:2 ტოდოროვი (85)
დერბი ქაუნთი: გრანტი, უ. ბარტონი, ელიოტი, ევატი, ზავაგნო, ბოლდერი, ლი, ბოერტიენი, ძინძლაძე, ლ. მორისი, მაკლეოდი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
მსაჯი: პენტონი
19 503 მაყურებელი

**ბრაიტონი 4:1 ვულვერჰემპტონი**

1:0 ზამორა (31), 2:0 ბლექველი (45), 3:0 ბრუკერი (47), 3:1 მილერი (65), 4:1 ჰარტი (67)

**ქოვენთრი 0:1 ბარნსლი**

0:1 კოქსი (35)

**გრიმსბი 2:0 სტოკი**

1:0 ბულდინგი (4), 2:0 ტომპსონი (40)

**იფსვიჩი 3:2 შეფილდ იუნ.**

0:1 ნდლოვუ (45), 0:2 ვინდასი (50), 1:2 მ. ბენტი (57), 2:2 ამბროზი (78), 3:2 მ. ბენტი (88)

**ნოტინგემი 2:1 კრისტალ პალასი**

1:0 დოუსონი (4), 2:0 ჰერვუდი (59), 2:1 ჯონსონი (75პ)

**პრესტონი 2:1 მილუოლი**

1:0 ლუისი (15), 2:0 კარტრაიტი (25), 2:1 კინეტი (88)

**შეფილდ უენსდი 2:2 ნორვიჩი**

0:1 ჰელი (18), 0:2 რობერტსი (43), 1:2 რობინსონი (66), 2:2 ქუინი (76)

**უოლსოლი 1:4 ლესტერი**

0:1 დიკოვი (41), 0:2 სკოუკროფტი (45), 0:3 ელიოტი (72), 0:4 სკოუკროფტი (83), 1:4 ოკონორი (87)

**უოტფორდი 1:2 როტერჰემი**

1:0 სმიტი (62), 1:1 მაკინტოში (69), 1:2 სვეილზი (75)

**უიმბლდონი 2:2 ბრედფორდი**

0:1 იორგენსენი (30), 1:1 ეინსვორთი (47), 1:2 უორდი (60), 2:2 შიპერლი (71)

**რედინგი — ჯილინგემი**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 32 | 19 | 10 | 3 | 65:32 | 67 |
| ლესტერი | 32 | 19 | 7 | 6 | 52:31 | 64 |
| შეფილდი | 30 | 16 | 7 | 7 | 45:30 | 55 |
| ნოტინგემი | 32 | 14 | 9 | 9 | 49:34 | 51 |
| იფსვიჩი | 31 | 13 | 8 | 10 | 49:39 | 47 |
| როტერჰემი | 32 | 13 | 8 | 11 | 52:43 | 47 |
| ნორვიჩი | 31 | 12 | 10 | 9 | 43:31 | 46 |
| ქოვენთრი | 32 | 12 | 10 | 10 | 38:34 | 46 |
| რედინგი | 30 | 14 | 4 | 12 | 34:31 | 46 |
| უოტფორდი | 32 | 13 | 7 | 12 | 37:47 | 46 |
| ვულვზი | 31 | 12 | 9 | 10 | 51:36 | 45 |
| მილუოლი | 32 | 12 | 8 | 12 | 41:47 | 44 |
| ბარნსლი | 31 | 12 | 8 | 11 | 46:55 | 44 |
| კრ. პალასი | 31 | 10 | 13 | 8 | 44:34 | 43 |
| დერბი | 32 | 12 | 5 | 15 | 41:48 | 41 |
| უიმბლდონი | 31 | 10 | 10 | 11 | 50:50 | 40 |
| ჯილინგემი | 29 | 10 | 10 | 9 | 38:41 | 40 |
| პრესტონი | 32 | 9 | 11 | 12 | 47:52 | 38 |
| ბრედფორდი | 31 | 10 | 8 | 13 | 41:53 | 38 |
| უოლსოლი | 32 | 9 | 6 | 17 | 42:51 | 33 |
| გრიმსბი | 32 | 8 | 7 | 17 | 39:60 | 31 |
| უენსდი | 32 | 6 | 9 | 17 | 31:54 | 27 |
| ბრაიტონი | 32 | 6 | 8 | 18 | 33:51 | 26 |
| სტოკი | 32 | 5 | 10 | 17 | 36:60 | 25 |

## მეორე დივიზიონი

32-ე ტური: ბრენტფორდი — ქრიუ 1:2; ბრისტოლი — კოლჩესტერი 1:2; კარდიფი — ბარნსლი 1:1; ჩელტენემი — სტოკპორტი 0:2; ჩესტერფილდი — პიტერბრო 0:0; მენსფილდი — ნოტსი 3:2; ნორთჰემპტონი — ქუინზ პარკი 1:1; ოლდემი — პლიმუთი 0:1; პორტ ვეილი — ლუთონი 1:2; ტრანმერი — სუინდონი 0:1; უიგანი — ბლეკპული 1:1; უიკომბი — ჰადერსფილდი 0:0

## მესამე დივიზიონი

31-ე ტური: ბოსტონი — სკანთორპი 1:0; ბორნმუთი — რექსემი 2:0; კემბრიჯი — შრიუსბერი 5:0; კარლაილი — კიდერმინსტერი 2:2; დარლინგტონი — რაშდენი 2:2; ჰარტლპული — ექსეტერი 2:1; ჰალი — ლინკოლნი 0:1; ლეიტონი — იორკი 0:1; მაკლსფილდი — სუონსი 1:3; როჩდეილი — ოქსფორდი 2:1; საუთენდი — როვერსი 2:2; ტორკი — ბერი 1:1

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XX ტური

**ბაიერნი 1:1 ჰამბურგი**

1:0 პიზარო (11), 1:1 ტაკაჰარა (90)
ბაიერნი: კანი, კუფური, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ნ. კოვაჩი, შოლი (ციკლერი 90), ზე რობერტო (დაისლერი 86), ელბერი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, იუჟფალუში, ჰოლერბახი, მალტრიცი, ბენჟამინი, კარდოზო (მეიერი 63), მაჰდავიკია, ტაკაჰარა
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ბენჟამინი, იუჟფალუში
მსაჯი: ვაგნერი
40 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 დორტმუნდი**

1:0 სოლდო (77)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, გერბერი, სოლდო, მაისნერი, გლები, ბალაკოვი (ტიფერტი 88), ამანატიდისი (განია 78), კურანი (დანგელმაირი 90)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, მეცელდერი, ევანილსონი (ჰერლიხი 88), დედე, შ. როიტერი (ჟ. რეინა 80), ფრინგსი, როსიცკი (რიკენი 75), ამოროზო, კოლერი, ევერტონი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ბორდონი, ევანილსონი, ამოროზო, გერბერი, ევერტონი, ფრინგსი, ამოროზო
გაძევება: ამოროზო (89)
მსაჯი: ფლაიშერი
43 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:2 მიუნხენი**

1:0 კლასნიჩი (45), 1:1 ლაუტი (53), 1:2 ბორიმიროვი (83)
ვერდერი: ბორელი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი (დაუნი 76), კრსტაიჩი, სტალტერი, ფ. ერნსტი, ბანოვიჩი (აილტონი 59), სკრიპნიკი, მიკუ, ხარისტიასი, კლასნიჩი (ლისტეში 90)
მწვრთნელი: თომას შააფი
მიუნხენი: იენჩი, ჰოფმანი, ვოტავა, როდრიგო კოშტა (პფუდერერი 72), შტრანცლი, მაიერი, ჩერნი, ბორიმიროვი, ვაისენბერგერი, შროტი (შუკერი 84), ლაუტი (ელერსი 90)
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: ვოტავა, როდრიგო კოშტა, შროტი
მსაჯი: კირხერი
34 000 მაყურებელი

**ჰერტა 4:2 შალკე**

0:1 მპენზა (1), 1:1 პრეეცი (28), 2:1 ალვეში (39), 3:1 მატელანი (5ჩ.კ.), 3:2 უდე კამპუისი (68), 4:2 მარსელინიო (88)
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, რემერი (ვან ბურიკი 25), სიმუნიჩი, ჰარტმანი (ბაინლიხი 90), დარდაი, მარქსი (შმიდტი 89), გოორი, მარსელინიო, პრეეცი, ალვეში
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუისი, ჰაიტო, მატელანი (ვერმანტი 63), ვან კერკჰოვენი, კმეტჩი (ვალდოხი 82), პოულსენი, გ. ვარელა, ბიომე, სანდი (აგალი 46), ე. მპენზა
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
გაფრთხილება: ვარელა, დარდაი, უდე კამპუისი, კმეტჩი, ვარელა, ბიომე, აგალი
გაძევება: ვარელა (61)
მსაჯი: შტრამპე
39 962 მაყურებელი

**ჰანზა 0:0 კოტბუსი**

ჰანზა: შობერი, ვიმერი, იაკობსონი, ჰილი, მაული, ადუბე (დი სალვო 69), რიდლევიჩი, ლანცი, ვიბრანი, პრიკა, არვიდსონი (სალუ 80)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
კოტბუსი: ლენცი, შრიოტერი, როჟგონი, ბერჰალტერი, ლიოვი, ლატუნდი, ტ. როსტი, რეგეკამპფი (კობილანსკი 74), გებჰარდტი, ტოპიჩი (რინკი 82), ვაგნერი (იუსკოვიაკი 66)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ბერჰალტერი, გებჰარდტი
გაძევება: პრიკა (86)
მსაჯი: მერკი
17 000 მაყურებელი

# სომხური აბები ირანიდან

## ბებრები ზამერის წინააღმდეგ



REUTERS ბოხუმიდან

ბოხუმი — ლევერკუზენი. დიეგო პლასენტეს (მარცხნივ) და ლევერკუზენელებს კუზი გაუზარდეს

**ვოლფსბურგი 2:0 არმინია**

1:0 შნოორი (24), 2:0 მარიჩი (50)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი (შარპეი 84), ფრანცი, შნოორი, რაუ, კარპანი, ტიამი, ეფენბერგი, დ. მუნტიანუ, პონტე (პრეგერი 77), ტ. მარიჩი (ხ. მიულერი 88)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
არმინია: ჰაინი, რაუვი, რაინჰარდტი, ჰანსენი, კაუფი, დაბროვსკი, დამაიერი, ბრინკმანი (ჰაინცი 67), ვატა (ბოგდანოვიჩი 81), ჩა (ვიშნიარეკი 46), დიაბანგი
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
გაფრთხილება: მუნტიანუ, რიტერი, მიულერი, კაუფი
მსაჯი: ფანდელი
15 976 მაყურებელი

**ბოხუმი 2:1 ლევერკუზენი**

1:0 ჰაშემიანი (68), 1:1 ბაბიჩი (78), 2:1 ჰაშემიანი (84)
ბოხუმი: ვან დუინოვენი, კოლდინგი, ვრიზდე, ფარენჰორსტი, რაისი, გუდიონსონი, შინდცილორცი (მაიხელბეკი 79), ფრაიერი, ვოში, ფაილი (ბაკლი 46), კრისტიანსენი (ჰაშემიანი 60)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟივკოვიჩი, ჟუანი (კლაინი 27), კრისი, პლასენტე (სებესკენი 68), კალუჟნი, ბაბიჩი, ბ. შნაიდერი, ბიროფკა, ნოივილი (შიმაკი 62), ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: შინდცილორცი, ჟუანი, შნაიდერი, ჟივკოვიჩი, ბიროფკა
მსაჯი: შტაინბორნი
20 643 მაყურებელი

**ლაუტერნი 2:0 გლადბახი**

1:0 კნავსი (35), 2:0 კლოზე (883)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ჰ. კოხი, კნავსი, გრამოცისი, ჩატო (ბასლერი 69), ჰ. რამზი, ბიელიცა, ანფანგი (სფორცა 84), მიფსუდი, კლოზე, ლოკვენცი (ტებერი 87)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, კორელი, პლეტჩი, შტრასერი, ჰაუსვაილერი (კუნცელი 83), კლუგე, ულიხი, დემო (მიუნხი 58), სკუბო (ვან ლენტი 58), ფორსელი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: კორელი, კნავსი, ანფანგი, კორელი, სფორცა, ჰაუსვაილერი, ებერლი
გაძევება: კორელი (49)
მსაჯი: შიპელი
38 199 მაყურებელი

**ჰანოვერი 4:2 ნიურნბერგი**

1:0, 2:0, 3:0 იდრისუ (9, 21, 24), 3:1 ჟუნიორი (32), 3:2 ჩირიჩი (52), 4:2 შტეფული (71)
ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი (პოპესკუ 46), ვინიციუსი, შულერი, დე გუზმანი, ლალა, კრუპნიკოვიჩი (შტეფული 66), სტაინერი, იდრისუ, კაუფმანი (კასეი 84)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ნიურნბერგი: კამპა, შტელე, კოში, პეტკოვიჩი, ლ. მიულერი, ჟუნიორი, ნიკლი, კრჟინოვეკი, ლარსენი, ს. ჩირიჩი, კაკაუ (მიხალკე 78)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ჩერუნდოლო, ჩირიჩი, შულერი, შტელე, ჩირიჩი, კრჟინოვეკი
გაძევება: ჩირიჩი (61)
მსაჯი: კესლერი
26 157 მაყურებელი

**მიუნხენის** „ბაიერნმა" ვერ მოიგო, მაგრამ უახლოეს მდევართან სხვაობა ქულით გაზარდა. ყველაფერ ამის სანახავად „ოლიმპიაშტადიონზე" 40 ათასი კაცი მივიდა და მატჩის გმირი იაპონელი შემტევი ნაოჰირო ტაკაჰარა შეიქნა.

მე-11 წუთზე ზე რობერტომ და მეჰმეთ შოლმა კუთხური გაითამაშეს, მერე ბრაზილიელმა ოსტატურად ჩააბზრიალა ბურთი „ჰამბურგის" კარის გასწვრივ და კლაუდიო პიზარომაც უზუსტესად შეუშვირა თავი — ბურთი შორეულ კუთხეში გაიტანა.

პირველი ტაიმი დამთავრდა თუ არა, „ოლიმპიაშტადიონის" დიქტორმა ქვეყანას ამცნო, ოლივერ კანმა თავისივე ბუნდესლიგური რეკორდი გააუმჯობესა — 758 წუთი უგოლოდ.

შესვენებამდე ბავარიელები მართლაც დიდ უპირატესობას ფლობდნენ — ორი გოლი ოფსაიდის გამო არ ჩაუთვალეს და ორი ამდენი საგოლე მომენტიც ქარს გაატანეს.

მეორე ტაიმში ნიკო კოვაჩს მართებდა „ბაიერნის" უპირატესობის გაზრდა, შემდეგ ზე რობერტოს.

მატჩის მიწურულს ბავარიელებს ცოტა არ იყოს ნერვიულობა დაეტყოთ. საქმეს ვერც სებასტიან დაისლერის შესვლამ უშველა — მას „ბაიერნში" ბუნდესლიგური დებიუტი ჰქონდა.

მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში მეჰდი მაჰდავიკიამ ბიქსენტ ლიზარაზუს თავგზა აუბნია და იაპონელ ტაკაჰარასაც უზადოდ, საგოლედ უპასა.

ტურის ტოპმატჩი კი „დაიმლერშტადიონზე" ითამაშეს „შტუტგარტმა" და „დორტმუნდმა".

დორტმუნდელებმა სებასტიან კელი ვერ შეუშვეს მინდორზე ტრავმის გამო, რაც მნიშვნელოვანი დანაკლისი გამოდგა მათიას ზამერის გუნდისთვის.

ფელიქს მაგათის სამწყსო კი პირველ ტაიმში მარწუხებს კარგად უჭერდა „დორტმუნდს". მეორე ნახევარში თამაში გათანაბრდა, მაგრამ სტუმრებს ბებრებმა მოუთავსეს საქმე — კრასიმირ ბალაკოვმა ჯარიმიდან ჩააწოდა და ზვინომირ სოლდომ თავურით გაიტანა.

გათანაბრება იურგენ [illegible] ძლო, მაგრამ მიზანი [illegible]

ვაგლახ, კლაუს! ტოპმიოლერის „ლევერკუზენმა" კვლავ წააგო და ამ მწვრთნელის სვე-ბედიც ვინძლო მალე გაცხადდეს. ვაჰიდ ჰაშემიანი კი ირანელი სომეხი გახლავთ, აბები რომ აულაპა ფარმაცევტულ „ბაიერს".

დიდად საინტერესო შეხვედრა იყო დედაქალაქშიც — ჰუუბ სტევენსმა თავის ყოფილ გუნდ „შალკეს" აყარა შავი დღე — არადა, „ხუმარებს" შარშან ოქტომბრის აქეთ გასვლაზე არ წაუგიათ.

„შალკეს" ურუგვაელი შუახაზელი გუსტავო ვარელა მეორე გაფრთხილების გამო 61-ე წუთზე კი გააძევეს, მაგრამ იმ დროისთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო — „ჰერტამ" მართლაც დამაჯერებლად სძლია მეტოქეს.

დამაჯერებელი რევანში აიღო „მიუნხენ 1860"-მა ბრემენის „ვერდერზე" — „ცისფერმა ლომებმა" გასვლაზე მოუგეს „მუსიკოსებს" — რამდენიმე დღის წინ კი ბრემენელებმა მიუნხენში მოუგეს „1860"-ს თასის მეოთხედფინალში.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ დამარცხებული „ვერდერიდან" ულამაზესი გოლი გაიტანა ივან კლასნიჩმა.

ჰანოვერში კამერუნელის დღე იყო — მოჰამადუ იდრისუმ 14 წუთში გამოადინო ჰეთ თრიქი.

აღმოსავლეთგერმანულ დერბიში გასარჩევების მეტი შანსი როსტოკის „ჰანზას" ჰქონდა, „კოტბუსს" კი ეს ფრე ბოლო ადგილზე გადანაცვლებად დაუჯდა.

იზეიმა „კაიზერსლაუტერნმა". ერიკ გერეტსის გუნდი პირველ ტაიმში სლოვენიელი მცველის ალექსანდრ კნავსის გოლით დაწინაურდა — მას თბილისშიც გაუტანია ჩვენი ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ.

„გლადბახი" მარცხს არ ეგუებოდა, შეტევაში მხნედ მიიწევდა, მაგრამ „[illegible]" „ლაუტერნის" დასჯა ვერ შეძლო.

წერტილი კი ყველაფერს მიროსლავ კლოზემ დაუსვა — [illegible] მოქცეულ ფორვარდისთვის ეს მართლაც დიდი ამბავია.

„ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ მაინც მოვიგეთ" — უთქვამს ნამატჩევს გერეტსს.

**დავით თაგართქილაძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 20 | 13 | 5 | 2 | 40:15 | 25 | 44 | 11 | 8 | 3 | 0 | 28:10 | 18 | 27 | 9 | 5 | 2 | 2 | 12:5 | 7 | 17 |
| 2 დორტმუნდი | 20 | 10 | 6 | 4 | 31:16 | 15 | 36 | 9 | 5 | 4 | 0 | 14:6 | 8 | 19 | 11 | 5 | 2 | 4 | 17:10 | 7 | 17 |
| 3 შტუტგარტი | 20 | 10 | 6 | 4 | 33:24 | 9 | 36 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:9 | 10 | 21 | 10 | 4 | 3 | 3 | 14:15 | -1 | 15 |
| 4 ვერდერი | 20 | 10 | 4 | 6 | 37:32 | 5 | 34 | 11 | 7 | 2 | 2 | 25:16 | 9 | 23 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:16 | -4 | 11 |
| 5 შალკე | 20 | 8 | 8 | 4 | 27:21 | 6 | 32 | 9 | 3 | 5 | 1 | 12:8 | 4 | 14 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:13 | 2 | 18 |
| 6 მიუნხენი | 20 | 9 | 4 | 7 | 31:27 | 4 | 31 | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | 3 | 14 | 11 | 5 | 2 | 4 | 17:16 | 1 | 17 |
| 7 ჰამბურგი | 20 | 8 | 6 | 6 | 25:26 | -1 | 30 | 9 | 6 | 2 | 1 | 12:8 | 4 | 20 | 11 | 2 | 4 | 5 | 13:18 | -5 | 10 |
| 8 ბოხუმი | 20 | 8 | 5 | 7 | 36:32 | 4 | 29 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:15 | 3 | 17 | 9 | 3 | 3 | 3 | 18:17 | 1 | 12 |
| 9 ჰერტა | 20 | 8 | 5 | 7 | 26:25 | 1 | 29 | 10 | 5 | 3 | 2 | 18:12 | 6 | 18 | 10 | 3 | 2 | 5 | 8:13 | -5 | 11 |
| 10 ვოლფსბურგი | 19 | 8 | 2 | 9 | 23:24 | -1 | 26 | 10 | 7 | 0 | 3 | 15:8 | 7 | 21 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:16 | -8 | 5 |
| 11 ჰანზა | 20 | 6 | 6 | 8 | 22:24 | -2 | 24 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:15 | -4 | 10 | 9 | 4 | 2 | 3 | 11:9 | 2 | 14 |
| 12 არმინია | 20 | 6 | 6 | 8 | 23:28 | -5 | 24 | 9 | 5 | 2 | 2 | 13:6 | 7 | 17 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:22 | -12 | 7 |
| 13 ჰანოვერი | 20 | 6 | 5 | 9 | 29:37 | -8 | 23 | 11 | 2 | 4 | 5 | 17:23 | -6 | 10 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:14 | -2 | 13 |
| 14 ნიურნბერგი | 20 | 6 | 3 | 11 | 26:34 | -8 | 21 | 10 | 3 | 1 | 6 | 13:17 | -4 | 10 | 10 | 3 | 2 | 5 | 13:17 | -4 | 11 |
| 15 ლევერკუზენი | 20 | 5 | 5 | 10 | 25:34 | -9 | 20 | 10 | 2 | 2 | 6 | 11:20 | -9 | 8 | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 0 | 12 |
| 16 გლადბახი | 19 | 5 | 4 | 10 | 20:24 | -4 | 19 | 8 | 4 | 3 | 1 | 13:4 | 9 | 15 | 11 | 1 | 1 | 9 | 7:20 | -13 | 4 |
| 17 ლაუტერნი | 20 | 4 | 5 | 11 | 22:32 | -10 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 13:12 | 1 | 14 | 9 | 0 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 3 |
| 18 კოტბუსი | 20 | 4 | 5 | 11 | 18:39 | -21 | 17 | 10 | 2 | 1 | 7 | 8:20 | -12 | 7 | 10 | 2 | 4 | 4 | 10:19 | -9 | 10 |

### XXI ტური

16 თებერვალი

გლადბახი — ჰერტა
ჰამბურგი — ვოლფსბურგი
მიუნხენ 1860 — ბაიერნი
ნიურნბერგი — ვერდერი
კოტბუსი — ჰანოვერი
ლევერკუზენი — ჰანზა
დორტმუნდი — ბოხუმი
შალკე — შტუტგარტი
არმინია — ლაუტერნი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 14 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 12 |
| ელბერი (ბაიერნი) | 11 |
| შროტი (მიუნხენი) | 11 |
| ს. ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 11 |
| კურანი (შტუტგარტი) | 10 |
| ევერტონი (დორტმუნდი) | 10 |
| ლაუტი (მიუნხენი) | 10 |

### მეორე ბუნდესლიგა

**XX ტური**

**ფრაიბურგი 4:0 ალენი**

1:0, 2:0 ბაირამოვიჩი (41, 46), 3:0 კულიბალი (67), 4:0 კობიაშვილი (843)
*კობიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (28, მეკარე)*
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, კონდე, რაიტერი, კობიაშვილი, ა. ცაიერი (ჰერმელი 34), ბაირამოვიჩი (ვ. ბუტი 64), კულიბალი, ცქიტიშვილი (ბერნერი 71), იაშვილი, გუიე-მიენი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
18 000 მაყურებელი

**ფიურტი 0:1 აინტრახტი**

0:1 ტოპმიოლერი (87)
*ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე სარეზერვო გუნდშია*

**ბურგჰაუზენი 1:1 დუისბურგი**

1:0 ბონიმაირი (12), 1:1 კიდელი (18)

**ვალდჰოფი 1:5 მაინცი**

1:0 მამუმი (2), 1:1 ტიურკი (11), 1:2 აზაოგი (65), 1:3, 1:4 ვაილანდი (70, 77), 1:5 აუერი (90)

**კარლსრუე 1:1 ტრირი**

1:0 სენკო (8), 1:1 ბენშნაიდერი (86)

**ობერჰაუზენი 2:2 უნიონი**

1:0 რადულოვიჩი (15), 1:1 ვიდოლოვი (45), 2:1 რადულოვიჩი (52), 2:2 რისტიჩი (68)

**ზანქტ პაული 2:0 ლიუბეკი**

1:0 ნდიაიე (10), 2:0 კრისი (29)

**როიტლინგენი — ბრაუნშვაიგი**

*გადაიდო*

**კიოლნი — ალემანია**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 18 | 11 | 7 | 0 | 38:18 | 40 |
| აინტრახტი | 20 | 11 | 5 | 4 | 30:15 | 38 |
| ფრაიბურგი | 19 | 11 | 4 | 4 | 31:16 | 37 |
| მაინცი | 20 | 11 | 3 | 6 | 34:19 | 36 |
| ტრირი | 20 | 9 | 5 | 6 | 34:25 | 32 |
| ალემანია | 18 | 8 | 6 | 4 | 32:23 | 30 |
| ფიურტი | 20 | 7 | 9 | 4 | 26:19 | 30 |
| ობერჰაუზენი | 19 | 8 | 6 | 5 | 24:21 | 30 |
| დუისბურგი | 19 | 7 | 7 | 5 | 27:25 | 28 |
| როიტლინგენი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:30 | 25 |
| ბურგჰაუზენი | 20 | 5 | 8 | 7 | 28:25 | 23 |
| ლიუბეკი | 20 | 7 | 2 | 11 | 30:33 | 23 |
| უნიონი | 20 | 5 | 8 | 7 | 24:37 | 23 |
| კარლსრუე | 20 | 4 | 9 | 7 | 19:29 | 21 |
| ალენი | 20 | 5 | 4 | 11 | 23:36 | 19 |
| ვალდჰოფი | 20 | 4 | 4 | 12 | 23:42 | 16 |
| ზტ. პაული | 20 | 3 | 4 | 13 | 28:46 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 18 | 2 | 5 | 11 | 19:38 | 11 |



REUTERS

იუვენტუსი — ემპოლი. დელ პიეროს არყოფნაში პენალტის დარტყმა ტრეზეგემ ითავა

# მსხვილკალიბრიანები და კალაბრიელები

## იტალია

### სერია A. XX ტური

**პერუჯა 1:0 მილანი**

1:0 მიკოლი (36)

**პერუჯა:** კალაჩი, ზე მარია, დი ლორეტო, სოლიანო, მილანეზე, ტედესკო, ბლაზი, ფუზანი, გროსო (ლ. პალიუკა 76), მიკოლი (ბერეტონი 80), ვრიზასი

მწვრთნელი: სერსე კოზმი

**მილანი:** დიდა, როკე ჟუნიორი (კოსტაკურტა 52), ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, რედონდო (პირლო 58), ზეედორფი, რუი კოშტა, შევჩენკო, ფ. ინძაგი (ტომასონი 67)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: მიკოლი, ბლაზი, როკე ჟუნიორი, მალდინი

მსაჯი: დონდარინი

20 000 მაყურებელი

**ინტერი 3:0 რეჯინა**

1:0 ვიერი (10), 2:0, 3:0 კალონი (39, 42პ)

**ინტერი:** ტოლდო, ხ. ძანეტი, ფ. კანავარო, მატერაცი, კორდობა, ოკანი, კ. ძანეტი, ემრე (დი ბიაჯო 66), რეკობა, ვიერი (კალონი 29), ბატისტუტა (დალმა 80)

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

**რეჯინა:** ბელარდი, ჟირანეკი, ვარგასი, ი. ფრანჩესკინი, დიანა, მამედე, კოცა (პარედესი 46), ნაკამურა (მორაბიტო 60), ფალზინი, ბონაცოლი, დი მიკელე

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

გაფრთხილება: კორდობა, მამედე, ხ. ძანეტი

მსაჯი: დე სანტისი

65 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:0 ემპოლი**

1:0 ტრეზეგე (73)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, პესოტო, ძამბროტა, ტაკინარდი (დავიდსი 46), ტუდორი, ნედვედი (ბირინდელი 80), ტრეზეგე (ზალაიეტა 84), დი ვაიო

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

**ემპოლი:** ბერტი, ბელერი, კრიბარი, პრატალი, კუპი, გრელა, ფიჩინი (კაპელინი 83), ბუშე (ვანუკი 58), კარპარელი (ბორიელო 67), დი ნატალე, როკი

მწვრთნელი: სილვიო ბალდინი

გაფრთხილება: ფიჩინი, როკი

მსაჯი: გაბრიელე

34 561 მაყურებელი

**ლაციო 1:1 ტორინო**

1:0 სიმეონე (34), 1:1 ფერანტე (71)

**ლაციო:** პერუცი, ოდო, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი, სიმეონე, დ. სტანკოვიჩი, სეზარი (ლივერანი 81), ფიორე, კორადი, კიეზა (კ. ლოპესი 62)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

**ტორინო:** მანინგერი, დელი კარი, ფატორი, მეცანო, სომეზე (მარინელი 54), დე აშენტისი, დონატი, ვერგასოლა, პ. კასტელინი, ფერანტე (კონტიკიო 81), მაგალიანესი (კ. ლუკარელი 54)

მწვრთნელი: რენცო ულივიერი

გაფრთხილება: კოუტუ, ლუკარელი, კოუტუ

გაძევება: რენცო ულივიერი (80, „ტორინოს" მწვრთნელი), კოუტუ (90)

მსაჯი: მესინა

45 000 მაყურებელი

**ბრეშა 0:0 კიევო**

**ბრეშა:** სერენი, ჟ. მარტინესი, მარეკო, ბილიკა, ბაკინი, ა. ფილიპინი, გვარდიოლა, მატუზალემი, სერიჩი, რ. ბაჯო, ტონი (ტარე 80)

მწვრთნელი: კარლო მაცონე

**კიევო:** ლუპატელი, ფ. მორო, ლეგროტალიე, დანა, ს. ლანა (მენსა 65), ლუსიანო, პეროტა, კორინი, დ. ფრანჩესკინი (პელისიერი 80), ფ. კოსატო, ბიელანოვიჩი (ბირმოფი 46)

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

გაფრთხილება: ლეგროტალიე, სერიჩი

მსაჯი: ტომბოლინი

14 000 მაყურებელი

**კომო 2:2 პარმა**

0:1 მუტუ (29პ), 1:1 კაჩა (65), 2:1 ამორუზო (78), 2:2 მუტუ (88პ)

*კაჩამ ვერ გაიტანა პენალტი (57, მეკარე)*

**კომო:** ბრუნერი, ჟუარესი, ტარანტინო, ტომაში, ბინოტო, მ. როსი (ნ. ამორუზო 46), კოე, კორენტი (პეკია 71), მუსიჩი, კარბონე, კაჩა (სტელინი 83)

მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი

**პარმა:** ფრეი, ბენარივო (ბიერინი 76), პ. კანავარო, კარდონე, ჟუნიორი, ნაკატა (ბრეშიანო 83), ლამუში, ბარონე (ჯილარდინო 80), ე. ფილიპინი, ადრიანო, მუტუ

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: ტომაში, ნაკატა, ტარანტინო, ბენარივო, ბრუნერი

მსაჯი: პალანჩა

5 100 მაყურებელი

**უდინეზე 2:1 პიაჩენცა**

1:0 იანკულოვსკი (18), 1:1 უბნერი (77), 2:1 მუცი (84)

**უდინეზე:** დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, სოტილი, ალბერტო (მუნტარი 87), პინცი, დ. პიზარო, თ. მანფრედინი (ჯემიტი 77), ვარლეი (როსიტო 60), მუცი, იანკულოვსკი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

**პიაჩენცა:** გუარდალბენი, რინალდი (გურენკო 60), ლამატი (ძერბინი 88), მანგონე, ტოსტო, მარკიონი, კოისი (ფერარეზე 46), მარესკა, ბაიოკო, უბნერი, დე ჩეზარე

მწვრთნელი: ლუიჯი კანი

გაფრთხილება: მანფრედინი, ლამაკი, ტოსტო, მარესკა, მანგონე

მსაჯი: კოლინა

15 000 მაყურებელი

**ბოლონია 2:3 ატალანტა**

0:1, 0:2 პინარდი (28, 49პ), 1:2, 2:2 სინიორი (69პ, 72პ), 2:3 როსინი (90)

**ბოლონია:** ჯ. პალიუკა, ფალკონე, ძანკი (პარამატი 86), მ. კასტელინი, ნერვო (ლოკატელი 87), კ. ამორუზო, ოლივე, ლ. კოლუჩი, ვანოლი (ძაკარდო 8), ხ. კრუზი, სინიორი

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

**ატალანტა:** ტაიბი, სივილია, ნატალი, სალა, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო, პინარდი, ჟუგრინეცი (ტრამეძანი 88), როსინი

მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი

მსაჯი: პაპარესტა

28 000 მაყურებელი

**მოდენა 1:1 რომა**

1:0 კამარა (42), 1:1 დელასი (90)

**მოდენა:** ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, უნგარი, პონცო (პავანი 53), ჯ. კოლუჩი (მორეტი 65), მარასკო, მილანეტო, ბალესტრი, დ. კამარა (სკული 68), ვინიაროლი

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

**რომა:** პელიცოლი, პანუჩი, დელასი, ვ. სამუელი, ლიმა, კაფუ, დაკური (ტომაზი 85), ემერსონი, დელვეკიო, მონტელა (მარაცინა 68), ა. კასანო (ფუზერი 74)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: პანუჩი, პავანი, სამუელი, კამარა

მსაჯი: როზეტი

17 500 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ინტერი | 20 | 14 | 3 | 3 | 41:20 | 21 | 45 | 10 | 8 | 1 | 1 | 20:4 | 16 | 25 | 10 | 6 | 2 | 2 | 21:16 | 5 | 20 |
| 2 მილანი | 20 | 13 | 3 | 4 | 36:14 | 22 | 42 | 10 | 9 | 1 | 0 | 20:3 | 17 | 28 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:11 | 5 | 14 |
| 3 იუვენტუსი | 20 | 12 | 6 | 2 | 36:14 | 22 | 42 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:7 | 12 | 21 | 10 | 6 | 3 | 1 | 17:7 | 10 | 21 |
| 4 ლაციო | 20 | 10 | 8 | 2 | 35:19 | 16 | 38 | 11 | 3 | 6 | 2 | 19:13 | 6 | 15 | 9 | 7 | 2 | 0 | 16:6 | 10 | 23 |
| 5 კიევო | 20 | 10 | 4 | 6 | 29:19 | 10 | 34 | 10 | 6 | 2 | 2 | 18:10 | 8 | 20 | 10 | 4 | 2 | 4 | 11:9 | 2 | 14 |
| 6 უდინეზე | 20 | 9 | 5 | 6 | 21:20 | 1 | 32 | 10 | 6 | 4 | 0 | 11:5 | 6 | 22 | 10 | 3 | 1 | 6 | 10:15 | -5 | 10 |
| 7 პარმა | 20 | 8 | 7 | 5 | 35:24 | 11 | 31 | 10 | 7 | 1 | 2 | 21:11 | 10 | 22 | 10 | 1 | 6 | 3 | 14:13 | 1 | 9 |
| 8 ბოლონია | 20 | 7 | 7 | 6 | 24:22 | 2 | 28 | 10 | 7 | 1 | 2 | 18:10 | 8 | 22 | 10 | 0 | 6 | 4 | 6:12 | -6 | 6 |
| 9 პერუჯა | 20 | 8 | 4 | 8 | 25:26 | -1 | 28 | 10 | 7 | 1 | 2 | 16:5 | 11 | 22 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:21 | -12 | 6 |
| 10 რომა | 20 | 7 | 6 | 7 | 32:29 | 3 | 27 | 9 | 4 | 3 | 2 | 19:12 | 7 | 15 | 11 | 3 | 3 | 5 | 13:17 | -4 | 12 |
| 11 ემპოლი | 20 | 6 | 5 | 9 | 24:28 | -4 | 23 | 10 | 2 | 4 | 4 | 12:15 | -3 | 10 | 10 | 4 | 1 | 5 | 12:13 | -1 | 13 |
| 12 ბრეშა | 20 | 5 | 8 | 7 | 24:28 | -4 | 23 | 10 | 2 | 5 | 3 | 11:11 | 0 | 11 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:17 | -4 | 12 |
| 13 ატალანტა | 20 | 5 | 6 | 9 | 23:32 | -9 | 21 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:16 | -3 | 12 | 10 | 2 | 3 | 5 | 10:16 | -6 | 9 |
| 14 მოდენა | 20 | 6 | 3 | 11 | 14:29 | -15 | 21 | 10 | 3 | 3 | 4 | 7:11 | -4 | 12 | 10 | 3 | 0 | 7 | 7:18 | -11 | 9 |
| 15 რეჯინა | 20 | 5 | 4 | 11 | 18:36 | -18 | 19 | 10 | 4 | 3 | 3 | 14:13 | 1 | 15 | 10 | 1 | 1 | 8 | 4:23 | -19 | 4 |
| 16 პიაჩენცა | 20 | 3 | 4 | 13 | 16:34 | -18 | 13 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 | 10 | 1 | 2 | 7 | 6:15 | -9 | 5 |
| 17 კომო | 20 | 1 | 9 | 10 | 13:29 | -16 | 12 | 10 | 1 | 4 | 5 | 9:16 | -7 | 7 | 10 | 0 | 5 | 5 | 4:13 | -9 | 5 |
| 18 ტორინო | 20 | 2 | 6 | 12 | 12:35 | -23 | 12 | 10 | 2 | 2 | 6 | 4:16 | -12 | 8 | 10 | 0 | 4 | 6 | 8:19 | -11 | 4 |

**„ჯამში** კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. „რეჯინამ" შეხვედრის დასაწყისში რამდენიმე მომენტი გაუშვა ხელიდან, ჩვენ კი, მართალია, პირველ ტაიმში განსაკუთრებული ვერაფერი გავაკეთეთ, მაგრამ საგოლე შანსები კი გამოვიყენეთ. ნამდვილად სოლიდური გუნდი გვყავს და ეს ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს. ახლა, იმედი მაქვს, ემრე და კრისტიან ვიერი მალე გამოჯანმრთელდებიან" — ალბათ, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ეს სიტყვები „რეჯინასთან" 3:0 გამარჯვებული „ინტერის" არგენტინელ მწვრთნელს, ექტორ რაულ კუპერს ეკუთვნის.

მისმა დამარცხებულმა კოლეგამ, ლუიჯი დე კანიომ კი ასე თქვა: „ღლევანდელმა მსაჯობამ გადამრია. აქ, ცალკეულ მომენტებზე არ მინდა თქვენი ყურადღების გამახვილება, მსურს განვაცხადო, რომ არბიტრებმა შეხვედრის მთლიან მსვლელობაზე იქონიეს გავლენა. ალბათ, მათზე ბოლო თვეების პრესამ მოახდინა შთაბეჭდილება, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში „ინტერს" ლანძღავდნენ, მათ კი საპირისპიროს დამტკიცება მოუნდათ".

ასე იყო თუ ისე, „ინტერმა" გაიმარჯვა და დღეს ცხრილის სათავეშია. „რეჯინასთან" შეხვედრაში კუპერმა წინ კრისტიან ვიერი და გაბრიელ ბატისტუტა ათამაშა, მათ უკან კი ალვარო რეკობა დაქოქა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ კალაბრიელები ამ შეხვედრამდე სამი გამარჯვებით იყვნენ მისულნი და, წესით, იოლი წასაქცევი არ უნდა ყოფილიყვნენ. და მართლაც, მე-3 წუთზე პირველი სახიფათო მომენტი სწორედ მათ შექმნეს — ემილიანო ბონაცოლი ფაბიო კანავაროს გაექცა და დაარტყა, მაგრამ მისთვის სამწუხაროდ, პირდაპირ მეკარე ფრანჩესკო ტოლდოს დაუმიზნა. ამ ამბიდან ცოტა ხანში ტოლდოს ფრანჩესკო კოცას დარტყმულის დიდოსტატურად მოგერიება მოუხდა.

მაგრამ ანგარიში, კუპერის სიტყვებს თუ ვენდობით, სოლიდურმა გუნდმა გახსნა — ვიერიმ ძლიერად და ზუსტად დაარტყა. შემდეგ, რეკობამ ჩვეული ოსტატობით შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ოღონდ ძელს გაარტყა ბურთი, რასაც მორიგი ეპიზოდი მოჰყვა, როდესაც კანავარომ და მარკო მატერაციმ ბურთისთვის თავის შედეგიანად მიკვრა ვერ მოახერხეს.

„ინტერის" სამწუხაროდ, 29-ე წუთზე ვიერიმ მარჯვენა მუხლი იტკინა და იგი მოჰამედ კალონით შეცვალეს. შეძლებს თუ არა ვიერი იტალიის ნაკრების შემადგენლობაში პორტუგალიასთან თამაშს, ახლა უცნობია.

ამის შემდეგ, „რეჯინა" თითქოს გაყოჩაღდა, მაგრამ როდესაც ბატისტუტას ჩაწოდებული ოკან ბურუქს მიუვიდა, ხოლო მისი დარტყმული რომ მოიგერიეს, ბურთი კალონს ეახლა და ანგარიში 2:0 გახდა.

42-ე წუთზე კალაბრიელმა აიმო დიანამ თავის საჯარიმოში ემრე წააქცია, დაინიშნა პენალტი და ის ისევ კალონმა შეაგდო. აქვე დავძინოთ, რომ ემრემ, შესვენების შემდეგ, კოჭი იტკინა.

თამაშის ბოლოს კი კანავარომ საჯარიმოში ხელით ითამაშა. მსაჯმა დე სანტისმა პენალტი ჯერ დანიშნა, ხოლო შემდეგ თანამსაჯს გამოელაპარაკა და... აღარ დანიშნა.

„იუვენტუსმა" შაბათს „ემპოლის" მხოლოდ 1:0 მოუგო.

„დელ პიეროს გარეშე თამაში ძნელი გამოდგა — თქვა მატჩის შემდეგ „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ — ეს გუნდის თამაშზეც აისახა, რასაც დაემატა პარადოქსული ამბავი: გოლი ადრე გავიტანეთ და ამან დაგვამუხრუჭა, „ემპოლიმ" სივრცეების მოედნის შუიდან ჩაკეტვა მოახერხა. შესვენების შემდეგ უპირატესობა ჩვენი იყო, თუმცა ბოლოსკენ დაღლილობამ იჩინა თავი".

„ემპოლის" მწვრთნელი სილვიო ბალდინი: „იმედი მქონდა, რომ წონასწორობას შევინარჩუნებდით და მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, პირველ წუთებში გაგვიჭირდა, რის გამოც დავმარცხდით".

„ლაციომ" „ტორინოს" უმასპინძლა და მართალია, დიეგო სიმეონეს გოლით დაწინაურდა, ბოლოს მაინც გაუშვა მარკო ფერანტეს დარტყმული.

მანამდე კი იყო ენრიკო კიეზას ულამაზესი დარტყმა და ტურინელთა ძელის ძიგძიგი. გოლი 35-ე წუთზე გავიდა, როდესაც იმავე კიეზას დარტყმულს სიმეონემ ეგრეთ წოდებული მეკარის ბაქნიდან თავი მიჰკრა. ფერანტემაც, 71-ე წუთზე თავურით გაათანაბრა.

„ლაციოს" თავკაცი რობერტო მანჩინი: „კვლავ უამრავი მომენტი შევქმენით, მაგრამ ხელიდან გავუშვით — ბოლო დროს ასე დაგვჩემდა. მეტოქეებს კი, დააკვირდით, რატომღაც პირველივე დარტყმა გოლი გამოუდით. არა უშავს, ასე თუ განვაგრძობთ, იღბალი მაინც გაგვიღიმებს".

**ბაჩუნა ძიდია**

**XXI ტური**

16 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| პიაჩენცა | - | ბოლონია |
| რომა | - | ბრეშა |
| რეჯინა | - | კომო |
| კიევო | - | ინტერი |
| პარმა | - | იუვენტუსი |
| მილანი | - | ლაციო |
| ტორინო | - | მოდენა |
| ემპოლი | - | პერუჯა |
| ატალანტა | - | უდინეზე |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 18 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 10 |
| მუტუ (პარმა) | 10 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 9 |
| ადრიანო (პარმა) | 9 |

### სერია B

**XXII ტური**

**ასკოლი 3:2 ბარი**

1:0 ფონტანა (6), 1:1 სპინეზი (24), 2:1, 3:1 ბრიენძა (51, 76), 3:2 სპინეზი (81)

**ჯენოა 2:0 კატანია**

1:0 მარტუშელო (7ს.კ.), 2:0 მიმალჩია (33)

**ლივორნო 1:1 ვერონა**

0:1 მ. ვიერი (6), 1:1 ნეგრი (16)

**მესინა 0:0 სიენა**

**ნაპოლი 2:0 კალიარი**

1:0 დიონიჯი (45), 2:0 ვიდიგალი (86)

**პალერმო 0:1 ანკონა**

0:1 გრაფიედი (17)

**ტერნანა 4:0 სალერნიტანა**

1:0 ბრევი (4), 2:0 ბორგობელო (26), 3:0 გუზმანი (58), 4:0 ხარია (89)

**ვენეცია 1:0 ტრიესტინა**

1:0 როსი (90)

**ვიჩენცა 3:0 კოზენცა**

1:0 ჟედა (79), 2:0 შვოკი (84), 3:0 ბერნარდინი (89)

**ლეჩე — სამპდორია**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 22 | 10 | 8 | 4 | 34:25 | 38 |
| ანკონა | 22 | 10 | 8 | 4 | 32:25 | 38 |
| სიენა | 22 | 9 | 10 | 3 | 24:16 | 37 |
| სამპდორია | 21 | 9 | 9 | 3 | 29:18 | 36 |
| ტრიესტინა | 22 | 10 | 6 | 6 | 33:24 | 36 |
| ლივორნო | 22 | 10 | 5 | 7 | 27:18 | 35 |
| ლეჩე | 21 | 7 | 11 | 3 | 24:19 | 32 |
| ტერნანა | 22 | 8 | 6 | 8 | 26:24 | 30 |
| ასკოლი | 22 | 8 | 6 | 8 | 27:26 | 30 |
| პალერმო | 22 | 8 | 6 | 8 | 21:23 | 30 |
| ვენეცია | 22 | 8 | 6 | 8 | 23:27 | 30 |
| მესინა | 22 | 7 | 8 | 7 | 31:28 | 29 |
| კალიარი | 22 | 8 | 5 | 9 | 20:27 | 29 |
| ჯენოა | 22 | 7 | 7 | 8 | 28:25 | 28 |
| ვერონა | 22 | 6 | 9 | 7 | 26:24 | 27 |
| ნაპოლი | 22 | 5 | 9 | 8 | 25:31 | 24 |
| კატანია | 22 | 7 | 3 | 12 | 25:35 | 24 |
| ბარი | 22 | 3 | 11 | 8 | 18:23 | 20 |
| კოზენცა | 22 | 5 | 5 | 12 | 18:28 | 20 |
| სალერნიტანა | 22 | 3 | 4 | 15 | 14:39 | 13 |

### სერია C1/A

23-ე ტური: ალბინოლეფე — პიზა 1:0; ალძანო — ჩეზენა 3:3; არეცო — ჩიტადელა 0:1; კარარეზე — ლუმეცანე 2:0; ლუკეზე — სპეცია 1:0; პისტოიეზე — ტრევიზო 0:1; პრატო —ვარეზე 1:0; პრო პატრია — რეჯანა 0:2. პადოვა — *ხპალ წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

### სერია C1/B

23-ე ტური: ბენევენტო — სამბენედეტეზე 1:1; კროტონე — ტორესი 1:1; ფერმანა — ტერამო 0:2; ჯულიანოვა — პეზარო 0:1; აკილა — პესკარა 2:4; მარტინა — კიეტი 0:0; პატერნო — აველინო 1:0; ხორა — ტარანტო 0:0. ლანჩანო — ვიტერბეზე გადაიდო

# იტალიის ჩემპიონატი
## მეორე ტურის მატჩი
## პერუჯა 1:0 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი

# მიკოლიმ მილანს ესროლა

„პერუჯას" შინ „ინტერი" და „იუვენტუსი" ჰყავდა დამარცხებული, ასე რომ, „მილანის" ქომაგებს შეუძლიათ არ ინერვიულონ.

ამ შეხვედრის დასაწყისში ორივე გუნდს შეეძლო დაწინაურება: დიდამ ვრიზასის თავური მოიგერია, ფილიპო ინძაგიმ კი რუი კოშტას პასი მიიღო, მაგრამ პირდაპირ მეკარე კალაჩის გაარტყა.

პერუჯელთა გოლი, 35-ე წუთზე, ნაკრებში გამოძახებით გაამაყებულმა ფაბრიციო მიკოლიმ შეაგდო. ამ ჩია ფორვარდის მიერ 30 მეტრიდან დარტყმული ბურთი პირდაპირ ხარიხის ქვეშ შევარდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიკოლი მანამდეც გვარიანად აქტიურობდა და „შავ-წითელთათვის" ხიფათს ქმნიდა.

მეორე ტაიმში „მილანმა" დიდებული შესაძლებლობები გაუშვა ხელიდან. კერძოდ, კლარენს ზეედორფმა კარის წინიდან რაღაცნაირად ბურთის ხარიხის ზემოთ გადაგდება მოახერხა, ინძაგიმ კი ერთხელ დაუცველ კარში ვერ შეაგდო.

კარლო ანჩელოტი: „საშინლად ვითამაშეთ, რამდენიმე საგოლე მომენტი გავანიავეთ და დავისაჯეთ. ამ ეტაპზე ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა კარში დარტყმებია. ახლა ძალების მოკრება გვჭირდება, რათა მდგომარეობიდან გამოვძვრეთ".

საქართველოს ნაკრების წევრმა, კახა კალაძემ მთელი შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა.

**პაპუნა ბედია**




ზისის ვრიზასი და კახა კალაძე


# სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14


# შოტლანდია
## პრემიერლიგა. XXVI ტური

**დანდი იუნ. 1:1 დანდი**

1:0 მაკეი (19ს.კ.), 1:1 ნოვო (30)

**დანდი:** სპერონი, მაკეი, უილკი, ხიზანიშვილი, სმიტი, მაირი, ბრედი, ნემსაძე (ლოველი 62), რაე, კაბალიერო, ნოვო (ბერჩილი 73)

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

10 457 მაყურებელი

**დანფერმლაინი 1:3 რეინჯერსი**

0:1 მაკკანი (38), 1:1 ბრიუსტერი (49), 1:2 ამორუზო (71), 1:3 კანიჯა (90)

**რეინჯერსი:** შ. კლოსი, მორის როსი (მალკოლმი 33), კ. მური, ლ. ამორუზო, ნუმანი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა (კანიჯა 77), რ. დე ბური, შ. არველაძე (მოლსი 84), ნ. მაკკანი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

8 754 მაყურებელი

**სელტიკი 2:1 ლივინგსტონი**

0:1 ზარატე (52), 1:1 სილა (77), 2:1 სატონი (86)

**აბერდინი 0:1 პარტიკი**

0:1 ბარნსი (13)

**ჰართსი 3:0 კილმარნოკი**

1:0 მაიბერი (50), 2:0 დე ვრიზი (53), 3:0 მაკკენა (79)

**მოზერუელი 2:1 ჰიბერნიანი**

1:0 კლარკსონი (31), 2:0 ფეგანი (41), 2:1 ოკონორი (71)

# სქოთური ჯიმი! ჯიმი! შოთამ მეკარე გაგვილახაო



დანფერმლაინი — რეინჯერსი. შოთა არველაძე მასპინძელთა მეკარეს შეეჯახა და ბურთი კარში ჩაუშვა

„დანდის" მენეჯერი ჯიმ დაფი იანვრის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს შოტლანდიაში. დაფის საგანგებო პრიზი გადასცეს, რისთვისაც სქოთური პრემიერლიგის ერთ-ერთმა სპონსორმა „BANK OF SCOTLAND"-მა იზრუნა.

დაფის საიანვრო მონაგარი ასეთია — ასოციაციის თასზე „დანდიმ" „პარტიკს" მოუგო, პრემიერლიგაში კი გასვლაზე „დანფერმლაინს", ხოლო „რეინჯერსთან" აიბროქსული წაგება სათვალავში არ ჩაუგდიათ.

პრიზის მოხვეჭიდან მეორე დღეს დაფის დანდური დერბი ელოდა და ჯიმმა ამასაც გაართვა თავი — მისი „დანდი" ხომ სტუმარი იყო.

„დანდი იუნაიტედი" კი სტუმართა ავტოგოლით დაწინაურდა — „დანდის" საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ჯულიან სპერონიმ და დეივ მაკეიმ ვერ გაიყვეს, მცველ-მეკარის შეუთანხმებლობას ის მოჰყვა, რომ მაკეიმ თავით დალაშქრა საკუთარი კარი.

არადა, გაშვებულ გოლამდე და მერეც „დანდი" მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა.

გამთანაბრებელი შეტევა ფაბიან კაბალიერომ წამოიწყო, მარჯვენა ფლანგზე კარგად უპასა ნაჩო ნოვოს, რომელმაც ერთი მცველი ჩამოიცილა და „იუნაიტედის" მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა.

მეორე ტაიმი უნიათი გამოდგა, თუმც შეცვლაზე შესულ მარკ ბერჩილს შეეძლო გამარჯვებისა შეეგდო — „პორტსმუთისგან" ნათხოვარმა შემტევმა „დანდურ" სადებიუტო მატჩში გოლი იმად ვერ გაიტანა, რომ ზუსტად „იუნაიტედის" მეკარეს „დაუმიზნა" ბურთი.

„რეინჯერსის" გამარჯვება „დანფერმლაინზე" საეჭვო გოლით გამოირჩა — ნილ მაკკანის ჩაწოდებულზე შოთა არველაძე და „დანფერმლაინის" მეკარე გაიქაჩნენ, თუმც ბურთს ვერცერთი შეეხო და გოლიც მაკკანს ჩაეთვალა. მასპინძლები მსაჯს ედავებოდნენ, ქართველი ჩვენს მეკარეს ეუხეშაო, მაგრამ არბიტრმა არ გადათქვა.

„დანფერმლაინმა" შეხვედრის მერე მალევე გაათანაბრა, მაგრამ „ჩაფარია" იტალიელმა ლორენცო ამორუზომ 20 იარდიდან ისეთი დააქუხა, რომ მასპინძელთა იმედი უმალ ჩაკლა.

მაკანის ბოლო ჩაწოდება კი სადავო აღარ გამხდარა — კლაუდიო კანიჯა უცოდველად ახტა საგოლე თავურისთვის.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 27 | 23 | 3 | 1 | 75:20 | 72 |
| სელტიკი | 27 | 22 | 3 | 2 | 69:17 | 69 |
| ჰართსი | 27 | 13 | 7 | 7 | 47:41 | 46 |
| კილმარნოკი | 27 | 11 | 6 | 10 | 31:39 | 39 |
| დანფერმლაინი | 26 | 11 | 3 | 12 | 40:48 | 36 |
| ჰიბერნიანი | 26 | 10 | 4 | 12 | 37:40 | 34 |
| დანდი | 26 | 7 | 8 | 11 | 30:40 | 29 |
| პარტიკ თისლი | 27 | 6 | 9 | 12 | 27:42 | 27 |
| ლივინგსტონი | 27 | 7 | 5 | 15 | 35:43 | 26 |
| აბერდინი | 27 | 5 | 9 | 13 | 22:42 | 24 |
| მოზერუელი | 26 | 5 | 6 | 15 | 31:45 | 21 |
| დანდი იუნ. | 27 | 4 | 9 | 14 | 23:50 | 21 |

**პირველი დივიზიონი**

24-ე ტური: არბოთი — კლაიდი 1:2; ეარი — როს ქაუნთი 1:1; ინვერნესი — ფოლკირკი 3:4; ქუინ ოფ საუთ — სტ. ჯონსტონი 1:2; სტ. მირენი — ალოა 1:1

**მეორე დივიზიონი**

23-ე ტური: ბერიკი — ქოუდენბითი 1:2; დამბარტონი — ჰამილტონი 3:1; რეით როვერსი — ბრეჩინი 1:2; სტენჰაუზმური — ერდრი 3:3; სტრენრარი — ფორფარი 3:2

**მესამე დივიზიონი**

23-ე ტური: ისტ სტირლინგი — ელგინი 2:2; მორტონი — ისტ ფაიფი 1:1; გრეტნა — სტირლინგი 0:0; მონტროუზი — პიტერჰედი 1:2; ქუინზ პარკი — ალბიონი 1:1

# ამხანაგური მატჩები. 12 თებერვალი

## ინგლისი — ავსტრალია

### ინგლისი

*მეკარეები:* რიჩარდ რაიტი (ევერტონი), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი), პოლ რობინსონი (ლიდსი);

*მცველები:* გარი ნევილი (მანჩესტერი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერი), სოლ კემპბელი (არსენალი), ეშლი კოული (არსენალი), დენი მილსი (ლიდსი), მეთიუ აპსონი (ბირმინგემი), უესლი ბრაუნი (მანჩესტერი), ლედლი კინგი (ტოტენჰემი);

*ნახევარმცველები:* დევიდ ბექემი (მანჩესტერი), პოლ სქოულზი (მანჩესტერი), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი, გერმანია), კირონ დაიერი (ნიუკასლი), დენი მერფი (ლივერპული), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), ჯერმენ ჯენასი (ნიუკასლი), პოლ კონჩესკი (ჩარლტონი), სკოტ პარკერი (ჩარლტონი), შონ დევისი (ფულემი), ჯო კოული (ვესტ ჰემი);

*თავდამსხმელები:* მაიკლ ოუენი (ლივერპული), დარიუს ვასელი (ასტონ ვილა), ჯეიმს ბიტი (საუთჰემპტონი), უეინ რუნი (ევერტონი), ფრენსის ჯეფერსი (არსენალი)

## იტალია — პორტუგალია

### იტალია

*მეკარეები:* ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), ივან პელიცოლი (რომა);

*მცველები:* ალესანდრო ბირინდელი (იუვენტუსი), ფაბიო კანავარო (ინტერი), მატეო ფერარი (პარმა), ნიკოლა ლეგროტალიე (კიევო), ალესანდრო ნესტა (მილანი), კრისტიან პანუჩი (რომა), ლუჩანო ძაური (ატალანტა);

*ნახევარმცველები:* მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), ჯანლუკა ძამრობა (იუვენტუსი), მასიმო ამბროზინი (მილანი), სტეფანო ფიორე (ლაციო), სიმონე პეროტა (კიევო), ანდრეა პირლო (მილანი), დამიანო ტომაზი (რომა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი);

*თავდამსხმელები:* ფილიპო ინძაგი (მილანი), მარკო დელვეკიო (რომა), ფაბრიციო მიკოლი (პერუჯა), ბერნარდო კორადი (ლაციო)

## ტუნისი — შვედეთი

### შვედეთი

*მეკარეები:* მაგნუს ჰედმანი (სელტიკი, შოტლანდია), მაგნუს კილშტედტი (კოპენჰაგენი, დანია);

*მცველები:* ერიკ ედმანი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანდრეას იაკობსონი (ჰანზა, გერმანია), ნილს-ერიკ იოჰანსონი (ბლექბერნი, ინგლისი), ტედი ლუკიჩი (ლიდსი, ინგლისი), ოლოფ მელბერგი (ასტონ ვილა, ინგლისი), მიკაელ გუსტაფსონი (ჰელსინგბორგი), მიხაელ სვენსონი (საუთჰემპტონი, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* ნიკლას ალექსანდერსონი (ევერტონი, ინგლისი), ანდერს ანდერსონი (ბენფიკა, პორტუგალია), დანიელ ანდერსონი (კიევო, იტალია), მატიას იონსონი (ბრონდბიუ, დანია), კიმ კალსტრიომი (იურგორდენი), მარკუს ლანცი (ჰანზა, გერმანია), ანდერს სვენსონი (საუთჰემპტონი, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* მარკუს ოლბოკი (ასტონ ვილა, ინგლისი), ანდრეას ანდერსონი (აიკ), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (აიაქსი, ჰოლანდია), ფრედერიკ სოდერსტრიომი (პორტუ, პორტუგალია), რადე პრიცა (ჰანზა, გერმანია)

## ესპანეთი

### პრიმერა-დივიზიონი. XXI ტური

**სოსიედადი 0:0 ესპანიოლი**

სოსიედადი: ვესტერფელდი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო (არანბურუ 46), ხაურეგი, ტაიფუნი, ხოხლოვი (დე პაულა 85), ბარკერო (გაბილონდო 77), კარპინი, კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ესპანიოლი: ტ. ხიმენესი, დ. გარსია, ლოპო, სოლდევილა, ტორიჩელი, დომორო, როხერი (დე ლა პენია 77), ფრედსონი (მორალესი 64), მაქსი, მილოშევიჩი (ოსკარი 87), ტამუდო
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: როხერი, კოვაჩევიჩი, სოლდევილა, ტამუდო, შურერი, არანბურუ
მსაჯი: პინო სამორანო
25 699 მაყურებელი

**რეალი 4:1 ბეტისი**

0:1 ფერნანდო (36), 1:1 რაული (43), 2:1 ფიგუ (48პ), 3:1 ზიდანი (60), 4:1 რონალდო (87)
*რონალდომ ვერ გაიტანა პენალტი (87, მეკარე)*
რეალი: კასილიასი, მინამბრესი, იერო (პავონი 75), ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, კამბიასო (მაკმანამანი 80), ზიდანი, რაული, რონალდო (სოლარი 87)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, მ. ასუნსაო, გ. ვარელა, ფერნანდო (კალადუ 84), კანიასი (მალდონადო 77), კაპი, ფილიპესკუ, არზუ, დენილსონი, ხოაკინი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ფილიპესკუ, ელგერა, პრატსი
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
76 300 მაყურებელი

**უელვა 1:1 ვალენსია**

1:0 რაულ მოლინა (31), 1:1 აურელიო (88)
უელვა: ლუკე, მერინო, პერნია, ხ. გარსია, არპონი (ბენიტესი 77), იკერ ბეგონია, ლორენი, ვიკეირა (კუბილიო 75), კამაჩო, რაულ მოლინა (ტოზინიო 88), ბერმეხო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო (ხუან სანჩესი 60), ფ. აურელიო, აიალა, კარბონი, რეველიერი, ალბელდა, ბარახა, რუფეტე (მისტა 60), აიმარი (ვისენტე 88), კარეუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ბერმეხო, აიალა, კამაჩო, აიმარი
მსაჯი: პერეს პერესი
18 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:1 ოსასუნა**

0:1 მუნიოსი (47), 1:1 მაკაი (59)
დეპორტივო: ხუანმი, რომერო, ნაიბეტი, სესარი, ექტორი, მაურო სილვა, სერხიო, დუშერი (სკალონი 47), ამავისკა (ლუკე 55), ტრისტანი, მაკაი (კაპდევილა 88)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ოსასუნა: სანსოლი, იანგუსი, კრუჩაგა, ხოსეჩო, რივერო, ანტონიო ლოპესი, ალფრედო (განსედო 72), პუნიალი, მუნიოსი (მორალესი 72), ივან როსადო (პალასიოსი 84), ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ტრისტანი, ალოიზი, კრუჩაგა, ტრისტანი, იანგუსი, რივერო, მაურო სილვა, რივერო
გაძევება: ტრისტანი (58), რივერო (89)
მსაჯი: პერეს ლასა
26 700 მაყურებელი

**სევილია 1:1 ატლეტიკო**

0:1 ხავი მორენო (50), 1:1 ბურგოსი (58ს.კ.)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დ. კასტედო, პაბლო ალფარო, გალიარდო (მარკოს ვალესი 73), ფრედი (მახლასი 80), ხ. რედონდო, კასკერო, ტორადო, რეიესი, ტოედტლი (ანტონიტო 51)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ატლეტიკო: ბურგოსი, ოტერო, ჰიბიჩი (გარსია კალვო 75), კოლოჩინი, სერხი, ალბერტინი, აგილერა (დანი კარვალიუ 62), ემერსონი (მოვილია 51), კორეა, ხავი მორენო, ლუის გარსია
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ემერსონი, კოლოჩინი, ჰიბიჩი, რეიესი, რეიესი
გაძევება: რეიესი (70)
მსაჯი: კარმონა მენდესი
40 000 მაყურებელი





რეალი — ბეტისი. სტუმრებს გამთანაბრებელი რაულმა უთავაზა

# პენალტტიკოსები

**ბარსელონა 2:2 ბილბაო**

1:0 სავიოლა (5), 2:0 ოვერმარსი (14), 2:1 ესკერო (48პ), 2:2 იესტე (55)
ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი, პუიოლი, ფ. დე ბური, სორინი, ხავი, კოკუ, მენდიეტა (რიკელმე 71), სავიოლა, კლუივერტი, ოვერმარსი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა (აიტორ ოსიო 78), ოსკარ ვალესი, ლუის პრიეტო, იესტე (გურპეგი 82), ხავი გონსალესი (სესარი 71), ალკისა, დელ ორნო, ტიკო, ესკერო, ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: დელ ორნო, კარანკა, სორინი, სავიოლა, კოკუ, ლუის პრიეტო, ესკერო, რაიციგერი
მსაჯი: მეია დავილა
65 778 მაყურებელი

**მალიორკა 0:2 სელტა**

0:1, 0:2 ედუ (55, 64)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, კორტესი, პოლი, ლუსენჰოფი, იბაგასა, ნოვო (კარლოსი 83), რიერა (ტურუ ფლორესი 68), აროლდ ლოზანო, ეტოო, პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
სელტა: კავალიერო (პინტუ 46), ანხელი, ველასკო, სილვინიო, კასერესი, სერხიო, მოსტოვოი (კატანია 84), ხოსე იგნასიო, ედუ ლუქსენი, გუსტავო ლოპესი (ხუანფრანი 75)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ლუსენჰოფი, კასერესი, აროლდ ლოზანო, ლუქსენი, პოლი
მსაჯი: პერეს ბურული
18 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 1:0 ვალიადოლიდი**

1:0 ხორხე ლოპესი (24პ)
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო, ფარინოსი (კალეხა 83), ვიქტორი, გიარე (კიკე მედინა 84), პალერმო
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, გასპარი, მარიო, ტორეს გომესი, კოლსა (დ. ჩირიჩი 76), ჩემა, ხესუსი (სოუზა 81), ფერნანდო სალესი, ოსკარი, ოლივერა (აგანსო 64)
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: ტორეს გომესი, ხოსიკო
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
17 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 2:1 მალაგა**

1:0 მიჩელი (4), 2:0 პერაგონი (80), 2:1 დარიო სილვა (86)
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, დე კინტანა, გრაფი, მორა, ონოპკო, მარიო, მიჩელი, კვედო, ხულიო ალვარესი (ლუის ხემბრანოსი 76), პერაგონი (ფ. მარკესი 89), ბოლიჩი (ბოლო 62)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
მალაგა: კონტრერასი, როხასი, როტეტა, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, მუსამპა, რომერო (სანდრო 74), მანუ (ისნატა 75), დარიო სილვა, კანაბალი (ლეკო 59)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: გრაფი, ხერარდო, ონოპკო
მსაჯი: უნდიანო მალენკო
14 105 მაყურებელი

**რასინგი 2:0 ალავესი**

1:0 ნაფტი (25), 2:0 მუნიტისი (87)
რასინგი: ლემენსი, კორომინა, ნერუ, ნაფტი, მორა, ხუანმა, მატეო, ბენაიუნი (პინედა 79), ჩიკი (მატაბუენა 70), მუნიტისი, დიეგო ალონსო (რეგუერო 62)
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია (ტელიესი 43), კარმონა, ლორენსი, აბელარდო (ჟელი 73), ი. ტომიჩი, ედუ ალონსო, ტურიელი (ივან ალონსო 62), ლ. ელგერა, რუბენ ნავარო, მაგნო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ტომიჩი, აბელარდო, ხუანმა, ლორენსი, რეგუერო
მსაჯი: მორენო დელგადო
15 406 მაყურებელი

**უცნაური ტური** გამოდგა, მატჩების ნახევარი ფრედ დასრულდა, უფრო უცნაური კი ის იყო, რომ ბოლო ექვსეულის გუნდთაგან არავინ დამარცხებულა, „რასინგმა" და „რაიო ვალეკანომ" მოიგეს, დანარჩენებმა კი ფრედ ითამაშეს. და კიდევ, „ბარსელონა" ერთი ქულითაც მიუახლოვდა გასავარდნთა ზონას, რომელთანაც ამ ტურამდე სამი ქულა აშორებდა, ახლა კი მხოლოდ ორი. არადა, რადომირ ანტიჩისთვის ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო, მისმა გუნდმა პირველი ტაიმი 2:0 მოიგო და მეთორმეტე ადგილამდე ალზევებასაც თითქოს არაფერი უკლდა.

გადაჭედილი „კამპ ნოუ" მეოთხე წუთზევე შეიქნა პირველი გოლის მხილველი. მარკ ოვერმარსმა ზუსტი პასი გაუჭრა ხავიერ სავიოლას, ვინაც ანგარიში გახსნა, ათიოდ წუთში კი თავად ჰოლანდიელმაც იხეირა — თანამემამულე პატრიკ კლუივერტმა ბურთი მცველებს გადაავლო, ოვერმარსმა კი დაამუშავა და დანიელ არანსუბიას დაბალი დარტყმით გაუტანა.

„ბილბაომ" კინაღამ მაშინვე გაქვითა ერთი გოლი. შორეული დარტყმა, კარლეს პუიოლისგან რიკოშეტით, სანტიაგო ესკეროს მიუვიდა, ბასკი რობერტო ბონანოს გასცდა და დაარტყა, მაგრამ მასპინძელთა ბედად, პუიოლმა კართან ჩარბენა და მოგერიება მოასწრო.

მერე, ერთ ხანს, უპირატესობა ბასკებისკენ გადავიდა, თუმც საქმე ნაღდ საგოლე მომენტებამდე არ მისულა, „ბარსა" კარგად იცავდა თავს, ტაიმის მიწურული კი კვლავ კატალონიელებისა იყო.

სტუმრებმა პირველი გოლი თამაშის განახლებისთანავე გაქვითეს. დაცვის ახალმა იმედმა ხუან პაბლო სორინმა ტიკო წააქცია, პენალტის დარტყმა კი ესკერომ ითავა და შედეგიანადაც. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ საეჭვო პენალტი იყო — ტელეკამერამ დაინახა, რომ წესის დარღვევა საჯარიმო მოედნის ხაზთან მოხდა. შვიდ წუთში კი ანგარიში გათანაბრდა. პუიოლმა იუხეშა. დელ ორნომ საჯარიმო დარტყმით ბურთი ცოცხალ კედელს გადაავლო, ხოლო საჯარიმოს სიღრმეში ფრანსისკო იესტემ საბოლოო დარტყმა ითავა.

საქმის ამგვარად შებრუნებამ „ბარსელონა" დააბნია, მაგრამ გონს მალევე მოეგო და ძალუმ შეუტია, „ბილბაო" კი კონტრიერიშებით პასუხობდა. საბოლოოდ, თამაში ასეც დასრულდა და რადომირ ანტიჩმა პირველი ბარსელონური ქულა მოიპოვა.

კვლავ ვერ მოიგო ლიდერმა „სოსიედადმა", რომელიც დისკვალიფიცირებული ნიჰათ კაჰვეჩისა და დაშავებული ხავი დე პედროს არტუნბაში უგოლოდ დაშორდა „ესპანიოლს". დარკო კოვაჩევიჩი რაღაცას [illegible] ჯუხბობდა, მაგრამ ბევრიც არაფერი გამოსდიოდა. „ესპანიოლი" კი თამაშიდან თამაშამდე აუმჯობესებს ხარისხს. ხავიერ კლემენტეს თავკაცობით გუნდმა მე-7 მატჩი ჩაატარა და მათგან მხოლოდ ერთი წააგო.

სანსებასტიანურმა ფრემ „რეალს" ლიდერთან 2 ქულამდე მიახლოების საშუალება მისცა. თავიდან ყველაფერი ისე დაიწყო, როგორც „რეალისა" და „ბეტისის" პირველი წრის შეხვედრაში — სევილიელები დაწინაურდნენ, რაულმა კი ტაიმის მიწურულს გაქვითა. მადრიდელმა ბომბარდირმა იანვრიდან დაწყებული უგოლო სერია დაასრულა. ეს მისი 205-ე გოლი იყო და ახლა მხოლოდ 2 ბურთით ჩამორჩება დიდ უგო სანჩესს. შესვენების შემდეგ „რეალის" სხვა სუპერვარსკვლავებმაც გამოიჩინეს თავი. ჯერ იყო და, კანიასმა სრულიად უწყინარ ეპიზოდში რობერტო კარლოსი საპენალტოდ წააქცია და ლუიშ ფიგუმ მადრიდელები დააწინაურა. მერე ზინედინ ზიდანმა რონალდოსთან გათამაშებული კედლით 20-ოდე მეტრიდან მესამე გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, ეს ზიდანის 50-ე მატჩი იყო „რეალის" შემადგენლობაში, ხოლო პირველი ესპანური გოლი, 2001 წლის 15 სექტემბერს, მან სწორედ „ბეტისს" გაუტანა. ბოლოს რონალდომაც იხეირა. ტონი პრატს პირისპირ შეეყარა, მეკარემ კი მოცელა. ბრაზილიელს პენალტი არ გამოუვიდა, პრატსმა მოიგერია, მაგრამ რონალდოსავე დამატებულს — ვეღარაფერი მოუხერხა.

მესამეადგილოსანმა „ვალენსიამ" სამმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა, თან ვისთან — მაჩანჩალა „უელვასთან" და ფაბიო აურელიოს ბოლო წუთებზე გაქვითული გოლი რომ არა, სულაც დამარცხდებოდა.

დმიტრი პიტერმანის „რასინგმა" კი, როგორც იქნა, მოიგო, სანტანდერელებმა „ალავესი" 2:0 დაამარცხეს.

**გიორგი დარჯანია**

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| 1 | სოსიედადი | 21 | 12 | 8 | 1 | 36:24 | 12 | 44 | 10 | 6 | 4 | 0 | 19:12 | 7 | 22 | 11 | 6 | 4 | 1 | 17:12 | 5 | 22 |
| 2 | რეალი | 21 | 11 | 9 | 1 | 46:22 | 24 | 42 | 10 | 7 | 3 | 0 | 29:10 | 19 | 24 | 11 | 4 | 6 | 1 | 17:12 | 5 | 18 |
| 3 | ვალენსია | 21 | 11 | 6 | 4 | 34:17 | 17 | 39 | 11 | 7 | 2 | 2 | 20:6 | 14 | 23 | 10 | 4 | 4 | 2 | 14:11 | 3 | 16 |
| 4 | დეპორტივო | 21 | 10 | 6 | 5 | 30:25 | 5 | 36 | 10 | 5 | 3 | 2 | 15:10 | 5 | 18 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:15 | 0 | 18 |
| 5 | სელტა | 21 | 10 | 3 | 8 | 24:19 | 5 | 33 | 11 | 5 | 3 | 3 | 13:8 | 5 | 18 | 10 | 5 | 0 | 5 | 11:11 | 0 | 15 |
| 6 | ბეტისი | 21 | 9 | 6 | 6 | 31:27 | 4 | 33 | 11 | 6 | 2 | 3 | 15:9 | 6 | 20 | 10 | 3 | 4 | 3 | 16:18 | -2 | 13 |
| 7 | ატლეტიკო | 21 | 7 | 8 | 6 | 33:27 | 6 | 29 | 11 | 5 | 4 | 2 | 18:11 | 7 | 19 | 10 | 2 | 4 | 4 | 15:16 | -1 | 10 |
| 8 | ვილიარეალი | 21 | 7 | 7 | 7 | 21:22 | -1 | 28 | 10 | 5 | 2 | 3 | 12:10 | 2 | 17 | 11 | 2 | 5 | 4 | 9:12 | -3 | 11 |
| 9 | მალაგა | 21 | 6 | 9 | 6 | 28:26 | 2 | 27 | 11 | 5 | 4 | 2 | 19:12 | 7 | 19 | 10 | 1 | 5 | 4 | 9:14 | -5 | 8 |
| 10 | ვალიადოლიდი | 21 | 8 | 3 | 10 | 21:24 | -3 | 27 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:11 | 2 | 17 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:13 | -5 | 10 |
| 11 | მალიორკა | 21 | 8 | 3 | 10 | 24:35 | -11 | 27 | 10 | 3 | 2 | 5 | 10:20 | -10 | 11 | 11 | 5 | 1 | 5 | 14:15 | -1 | 16 |
| 12 | სევილია | 21 | 6 | 8 | 7 | 17:16 | 1 | 26 | 10 | 3 | 5 | 2 | 10:7 | 3 | 14 | 11 | 3 | 3 | 5 | 7:9 | -2 | 12 |
| 13 | ბილბაო | 21 | 7 | 5 | 9 | 32:37 | -5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 16:13 | 3 | 17 | 10 | 2 | 3 | 5 | 16:24 | -8 | 9 |
| 14 | ალავესი | 21 | 6 | 7 | 8 | 26:33 | -7 | 25 | 10 | 4 | 4 | 2 | 13:8 | 5 | 16 | 11 | 2 | 3 | 6 | 13:25 | -12 | 9 |
| 15 | ბარსელონა | 21 | 6 | 6 | 9 | 29:30 | -1 | 24 | 10 | 4 | 4 | 2 | 20:14 | 6 | 16 | 11 | 2 | 2 | 7 | 9:16 | -7 | 8 |
| 16 | ოსასუნა | 21 | 6 | 6 | 9 | 23:27 | -4 | 24 | 11 | 5 | 1 | 5 | 12:11 | 1 | 16 | 10 | 1 | 5 | 4 | 11:16 | -5 | 8 |
| 17 | რასინგი | 21 | 7 | 2 | 12 | 24:29 | -5 | 23 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:10 | 4 | 14 | 11 | 3 | 0 | 8 | 10:19 | -9 | 9 |
| 18 | ესპანიოლი | 21 | 6 | 4 | 11 | 24:31 | -7 | 22 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:14 | 4 | 17 | 10 | 1 | 2 | 7 | 6:17 | -11 | 5 |
| 19 | რაიო | 21 | 6 | 4 | 11 | 22:30 | -8 | 22 | 11 | 3 | 3 | 5 | 14:15 | -1 | 12 | 10 | 3 | 1 | 6 | 8:15 | -7 | 10 |
| 20 | უელვა | 21 | 3 | 6 | 12 | 17:41 | -24 | 15 | 11 | 2 | 4 | 5 | 12:19 | -7 | 10 | 10 | 1 | 2 | 7 | 5:22 | -17 | 5 |

**XXII ტური**

16 თებერვალი

ვალენსია — მალაგა
სელტა — უელვა
ატლეტიკო — მალიორკა
ბილბაო — სევილია
ესპანიოლი — ბარსელონა
ბეტისი — სოსიედადი
ოსასუნა — რეალი
ვალიადოლიდი — დეპორტივო
ალავესი — ვილიარეალი
რასინგი — რაიო ვალეკანო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 15 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 11 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 11 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 10 |
| პანდიანი (მალიორკა) | 10 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 10 |

### სეგუნდა-დივიზიონი. XXII ტური

**ფეროლი 1:2 ლას პალმასი**

0:1 ორლანდო (6), 1:1 კუელიარი (12), 1:2 ორლანდო (57)

**კორდობა 2:1 სარაგოსა**

1:0 სერბანი (71), 1:1 ხუანელე (72), 2:1 მოიზესი (90)

**ხერესი 2:1 ელჩე**

1:0 ზარატე (37), 2:0 კალე (68), 2:1 მეკა (88)

**ლევანტე 1:0 ხეტაფე**

1:0 ამატო (89პ)

**ლეგანესი 1:3 ბადახოსი**

0:1 ნენე (5), 0:2 ფედე-ბაონი (19ს.კ.), 1:2 ლავალი (60), 1:3 ზე ტო (83)

**სპორტინგი 1:2 ნუმანსია**

0:1 ფაგიანი (6), 1:1 ვილა (35პ), 1:2 არანდა (45)

**მურსია 0:1 ოვიედო**

0:1 უდიაკეხი (75)

**ალბასეტე 1:0 ტერასა**

1:0 ხესუს პერერა (4)

**სალამანკა 2:1 ალმერია**

1:0 რაულ სანჩესი (27), 1:1 ფრანსისკო (29), 2:1 რობერტო (45)

**პოლი ეხიდო 0:0 ეიბარი**

**ტენერიფე 5:1 კომპოსტელა**

1:0 მარიონი (1), 1:1 მაიკელი (10), 2:1 მარიონი (57), 3:1 ხორდი (64), 4:1, 5:1 პაუნოვიჩი (80, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 22 | 11 | 6 | 5 | 29:9 | 39 |
| ლევანტე | 22 | 10 | 9 | 3 | 32:21 | 39 |
| სარაგოსა | 22 | 10 | 8 | 4 | 24:18 | 38 |
| ალბასეტე | 22 | 8 | 12 | 2 | 27:17 | 36 |
| ხერესი | 22 | 9 | 6 | 7 | 25:23 | 33 |
| ეხიდო | 22 | 7 | 10 | 5 | 20:18 | 31 |
| ელჩე | 22 | 7 | 9 | 6 | 27:19 | 30 |
| სპორტინგი | 22 | 7 | 9 | 6 | 21:19 | 30 |
| ლას პალმასი | 22 | 7 | 9 | 6 | 27:26 | 30 |
| სალამანკა | 22 | 7 | 8 | 7 | 14:13 | 29 |
| ტენერიფე | 22 | 5 | 13 | 4 | 27:20 | 28 |
| ტერასა | 22 | 5 | 13 | 4 | 21:21 | 28 |
| ლეგანესი | 22 | 5 | 11 | 6 | 23:24 | 26 |
| ნუმანსია | 22 | 6 | 8 | 8 | 22:26 | 26 |
| ალმერია | 22 | 6 | 8 | 8 | 24:34 | 26 |
| ბადახოსი | 22 | 7 | 4 | 11 | 16:31 | 25 |
| ხეტაფე | 22 | 6 | 6 | 10 | 27:31 | 24 |
| კომპოსტელა | 22 | 5 | 9 | 8 | 23:27 | 24 |
| ეიბარი | 22 | 5 | 9 | 8 | 15:20 | 24 |
| ფეროლი | 22 | 5 | 8 | 9 | 18:30 | 23 |
| კორდობა | 22 | 4 | 9 | 9 | 15:20 | 21 |
| ოვიედო | 22 | 5 | 6 | 11 | 19:29 | 21 |

# ვალერი და ვალერიანის წვეთები ფერნანდესისთვის

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXVII ტური

**აიაჩო 0:2 მარსელი**
0:1 ბაკაიოკო (36), 0:2 საკო (79პ)

**ბორდო 0:2 ბასტია**
0:1 ესიენი (22), 0:2 ლასლანდი (53)

**სტრასბური 3:1 გენგამი**
1:0 კამადინი (53), 2:0 ლიუბოია (56), 3:0 მარტინსი (58), 3:1 კარნო (70)

**ლილი 0:2 ლანსი**
0:1 რ. სონგი (42), 0:2 ვერელი (77)

**რენი 0:0 მონაკო**

**პსჟ 1:3 მონპელიე**
1:0 ჟ. ლერუა (4), 1:1, 1:2 მეზაგე (14, 20), 1:3 მანსარე (76)

**ლე ავრი 2:1 სედანი**
1:0 მარტო (35), 1:1 ა. კამარა (46), 2:1 ლესაჟე (76)

**ნიცა 2:2 სოშო**
0:1 პაგი (39), 1:1 ევერსონი (56), 2:1 მიონე (64), 2:2 ფრო (80პ)

**ლიონი 0:0 ტრუა**

**ოსერი 0:1 ნანტი**
0:1 მოლდოვანი (3)

**როგორც წესი,** საფრანგეთში მასპინძლები გაცილებით ხშირად უგებენ სტუმრებს, ვიდრე პირიქით. ამჯერად წესი დაირღვა — ათიდან ხუთში სტუმრებმა იმარჯვეს, მათ შორის, კი ორი მატჩია გამოსარჩევი.

ერთი კვირის წინ „ბასტიასთან" ნაომარმა და ყვითელ-წითელი ბარათებით შეკაზმულმა პსჟ-მ „მონპელიეს" უმასპინძლა. თუ ლუის ფერნანდესის გუნდმა ისე გააგრძელა თამაში, როგორც „მონპელიესთან", მწვრთნელი შესაძლოა სეზონის ბოლომდე დაითხოვონ. არადა, ფერნანდესი იმ პირობით დატოვეს, რომ პსჟ-ს გამოასწორებდა.

დედაქალაქელებისთვის მატჩი თითქოს კარგადაც დაიწყო. უკვე მესამე წუთზე ჟერომ ლერუა მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს და მანაც ანგარიში გახსნა. სწრაფმა გოლმა პარიზელებს ავნო. მაჩანჩალა მეტოქის გასანადგურებლად გაიწიეს, გოლი კი საკუთარ კარში მიიღეს. სტუმრებმა საჯარიმო დარტყმა შეასრულეს. ცოცხალი კედლიდან უკუგდებული ბურთი ვალერი მეზაგეს მიუცუცქდა და მანაც ლიონელ ლეტეზის შორიდან დაკრულით გაუტანა.

ხუთიოდ წუთში ისევ მეზაგემ იყოჩაღა. დიაგონალური პასი კარის წინ მიიღო და ახლოდან შეგდება არ გასჭირვებია. ამის შემდეგ მსაჯმაც მოიცალა. პირველი ტაიმის მიწურულიდან მეორის თითქმის ბოლომდე ბლომად ფერადი ბარათები დაარიგა. მატჩის დასრულება „მონპელიეს" მეგოლე ვალერი მეზაგესაც არ ეწერა. მეორე ნახევრის შუაწელში იგი ორჯერ აღმოჩნდა ფილიპ კალტის ყურადღების ცენტრში და მსაჯმაც უხეშობისთვის მინდვრიდან მიაბრძანა.

პარიზელებმა „მონპელიეს" კაცნაკლულობა ვერ შეირგეს, რადგან მეზაგეს გაგდებიდან ათ წუთში მსაჯმა პსჟ-ს მცველი, პაულო სესარიც გააძევა. მესამე გოლი ფოდე მანსარემ მიითვალა. მან ძელიდან მოედანზე დაბრუნებული ბურთი მოიხელთა და ლეტიზი კიდევ ერთხელ დაამწუხრა.

სვლააკრეფილ „ბორდოს" ასევე იმტაზე მოსული „ბასტია" ესტუმრა. ჟირონდელებს ბოლო მატჩებში ბევრი გოლი გაჰქონდათ, მაგრამ ამჯერად ნიკოლა პენეტოს კარის გასაღებს ვერსად მიაგნეს. კორსიკელები ბრწყინვალე ფორმაში არიან და მეტოქეს გოჯიც არ დაუთმეს. ანგარიში მიკაელ ესიენმა გახსნა, როცა საჯარიმოში ჩაფრენილი ბურთისთვის ბრძოლაში მცველებს დაასწრო და ერთი შეხებით ულრიხ რამეს კარში მიაბრძანა.

შესვენების შემდეგ „ბასტიას" კაპიტანმა, ყოფილმა ბორდოელმა, ლილიან ლასლანდმა ძველ ნაცნობებს ერთიც გაუტანა. მარჯვენა ფლანგიდან დაწყებული კომბინაცია პენალტის ნიშნულიდან ზუსტი დარტყმით დასრულა. შემოდგომაზე ცუდად მოთამაშე „ბასტიამ" ისე გაუტია, რომ ახლა ლიდერთა მარაქაში გარევას ლამობს და უკვე მეხუთე ადგილსაც კი უწია.

„ნიცამ" კვლავ შეინარჩუნა ადგილი სამეულში. თავიდან დამხვდურნი კი აგებდნენ, მაგრამ მერე თვითონ შეეძლოთ მოგება. „სოშო" პირველ ტაიმში დაწინაურდა. სანტოსმა ცენტრიდან უზადო პასით მიკაელ პაგი დამიენ გრეგორინისთან პირისპირ გაიყვანა და ფორვარდმაც ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ „ნიცამ" თერთმეტმეტრიანი დარტყმის უფლება მოიპოვა. დარტყმული მეკარემ მოიგერია, თუმცა დამატებაზე ყველას ევერსონმა დაასწრო და გაათანაბრა. „ნიცამ" მალე მეორედაც იხეირა. სედრიკ მიონე მეტოქის მეკარეს ალბათ გზად შეხვდებოდა, ბოლომდე რომ ევლო, მაგრამ მან საჯარიმოში შესვლა არ ინება და მოულოდნელად გარედანვე ზუსტად დაჰკრა.

უნდა ითქვას, რომ მასპინძლები მეორე ტაიმში კაცნაკლულები დარჩნენ — რადგან პირველის მიწურულს მცველი ჟოზე კობოსი გაუძევეს. „სოშომ" მხოლოდ ქულის წაღება მოახერხა. მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე პიერ ალან ფრომ თერთმეტმეტრიანი გამოიყენა.

„ლილმა" ლანსელთა გამართულ თამაშს ვერაფერი დაუპირისპირა. კამერუნელმა რიგობერტ სონგმა შესვენებამდე დააწინაურა სტუმრები. კუთხურიდან ჩაწოდებულს ახლო ძელთან ჩაუსაფრდა და გრეგორი უიმბეს ერთი შეხებით აუღებელი დაურტყა. საამო საცქერი იყო მეორე გოლი. ტონი ვერელმა თანაგუნდელს ცენტრში უბოძა ბურთი, თვითონ კი მეტოქის კარისკენ მოუსვა, სადაც ბურთი დაუბრუნეს და ზუსტი დაკრულით სხვაობა გაზარდა.

კორსიკაზე „აიაჩოსთან" მოპოვებულმა სამმა ქულამ „მარსელი" ისევ ცხრილის თავში დატოვა. სტუმართაგან პირველი გოლი იბრაჰიმ ბაკაიოკომ ჭკვიანურად გათამაშებული საჯარიმოს შედეგად გაიტანა, მეორე ნახევარში კი შეცვლაზე შესულმა ლამინ საკომ თერთმეტმეტრიანი დარტყმა შეირგო.

„ლე ავრმა" თავისი მეზობელი „სედანი" დაჯაბნა. დავიდ მარტოსა და ჟან მიშელ ლესაჟეს ორ გოლს სტუმრებმა ოდენ არი კამარას კინკილათი უპასუხეს.

„სტრასბურმა" „გენგამს" მეორე ტაიმის შვიდწუთიან მონაკვეთში საფლავი გაუთხარა. განსაკუთრებით წარმტაცი იყო მასპინძელთა მესამე გოლი, რომელიც მარტინსმა დაახლოებით 20 მეტრიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმით მიითვალა.

„ოსერმა" თითქოს ცხრილში ზევით სვლა დაიწყო, მაგრამ „ნანტმა" შეაჩერა. ნანტელთა რუმინელმა ფორვარდმა ვიორელ მოლდოვანმა შეხვედრის დასაწყისშივე იხეირა, მაგრამ სისემ და მისმა დამქაშებმა მიკაელ ლანდროს კარს მატჩის ბოლომდე ვერაფერი ავნეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 27 | 14 | 6 | 7 | 30:23 | 48 |
| მონაკო | 27 | 12 | 10 | 5 | 40:21 | 46 |
| ნიცა | 27 | 11 | 10 | 6 | 31:21 | 43 |
| ოსერი | 26 | 12 | 7 | 7 | 26:21 | 43 |
| ლიონი | 27 | 11 | 9 | 7 | 43:32 | 42 |
| ბასტია | 27 | 12 | 5 | 10 | 30:29 | 41 |
| ბორდო | 26 | 11 | 7 | 8 | 37:28 | 40 |
| პსჟ | 27 | 10 | 9 | 8 | 33:25 | 39 |
| ლანსი | 26 | 9 | 11 | 6 | 31:26 | 38 |
| სოშო | 25 | 10 | 8 | 7 | 27:22 | 38 |
| ნანტი | 25 | 11 | 5 | 9 | 29:27 | 38 |
| გენგამი | 26 | 10 | 4 | 12 | 35:38 | 34 |
| სტრასბური | 26 | 9 | 7 | 10 | 30:37 | 34 |
| ლე ავრი | 27 | 8 | 8 | 11 | 21:30 | 32 |
| რენი | 27 | 7 | 7 | 13 | 22:29 | 28 |
| ლილი | 24 | 7 | 7 | 10 | 20:30 | 28 |
| აიაჩო | 26 | 6 | 9 | 11 | 20:31 | 27 |
| სედანი | 26 | 7 | 6 | 13 | 28:42 | 27 |
| მონპელიე | 26 | 5 | 9 | 12 | 24:34 | 24 |
| ტრუა | 26 | 4 | 8 | 14 | 15:26 | 20 |

### II დივიზიონი

5-ე ტური: რეიმსი — ლავალი 3:2; ამიენი — კაენი 1:0; კლერმონი — შატორუ 1:3; გრენობლი — ნანსი 0:1; გენიონი — ვალანსი 2:0; ისტრი — ვასკეალი 1:0; ლორიანი — კრეტეი 0:0; მეცი — ნიორი 2:1; ლე მანი — სენტ ეტიენი 2:2; ტულუზი — ბოვე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 25 | 15 | 5 | 5 | 37:15 | 50 |
| მეცი | 25 | 12 | 7 | 6 | 32:20 | 43 |
| ლე მანი | 25 | 12 | 7 | 6 | 31:25 | 43 |
| ლორიანი | 26 | 12 | 7 | 7 | 30:25 | 43 |
| შატორუ | 24 | 11 | 6 | 7 | 28:23 | 39 |
| გრენობლი | 26 | 9 | 10 | 7 | 30:17 | 37 |
| ამიენი | 24 | 9 | 7 | 8 | 18:17 | 34 |
| ნიორი | 26 | 9 | 7 | 10 | 28:29 | 34 |
| ვალანსი | 25 | 9 | 5 | 11 | 27:28 | 32 |
| ლავალი | 24 | 8 | 6 | 10 | 25:27 | 30 |
| ნანსი | 24 | 8 | 6 | 10 | 20:27 | 30 |
| კრეტეი | 22 | 6 | 11 | 5 | 26:23 | 29 |
| კლერმონი | 25 | 8 | 5 | 12 | 27:37 | 29 |
| ბოვე | 24 | 7 | 7 | 10 | 12:15 | 28 |
| გენიონი | 22 | 7 | 6 | 9 | 20:22 | 27 |
| რეიმსი | 24 | 5 | 11 | 8 | 20:25 | 26 |
| ვასკეალი | 24 | 5 | 11 | 8 | 16:21 | 26 |
| კაენი | 25 | 5 | 11 | 9 | 26:32 | 26 |
| ისტრი | 25 | 6 | 8 | 11 | 21:41 | 26 |
| სენტ ეტიენი | 23 | 5 | 9 | 9 | 18:23 | 24 |



ნიცა — სოშო. მასპინძელთა ბრაზილიელი ემერსონი (ბურთით) და სტუმარი უილსონ ორუმა

REUTERS

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XIX ტური

**ვალვაიკი 0:1 პსვ ეინდჰოვენი**
0:1 რობენი (40)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ჰაინცე, ბუმა, ფაბერი, ოიერი, რომედალი, ფოგელი, ვან ბომელი, რობენი (ლუსიუსი 86), კეჟმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (პარკი 64)

*გოგა გახოკიძე სათადარიგო იყო*

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

**ზვოლე 0:3 ტილბურგი**
0:1 კვინი (13), 0:2 ვან დერ გუნი (44), 0:3 ხესაი (76)

**როზენდალი 1:0 გრააფსხაპი**
1:0 ვოსი (42)

**როდა 2:0 ვიტესი**
1:0 ანასტასიუ (7), 2:0 სონკაია (79)

**ჰერენვენი 5:0 ალკმაარი**
1:0 ფორტესი (2ს.კ.), 2:0 დე იონგი (9), 3:0 ჰანსმა (44), 4:0 ვენემა (63), 5:0 სამარასი (86)

**აიაქსი 1:1 ფეიენოორდი**
1:0 იბრაჰიმოვიჩი (28), 1:1 ვან პერსი (45)

**გრონინგენი 0:0 ტვენტე**

**უტრეხტი 2:2 ექსელსიორი**
0:1 მტილიგა (21), 1:1 როია (53), 1:2 ვან დიერენი (66), 2:2 კუიტი (72)

**ნაიმეგენი 2:0 ბრედა**
1:0 ზონეველდი (46), 2:0 დემუგი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 19 | 15 | 3 | 1 | 46:10 | 48 |
| აიაქსი | 19 | 13 | 5 | 1 | 51:19 | 44 |
| ფეიენოორდი | 19 | 11 | 4 | 4 | 45:23 | 37 |
| როდა | 18 | 8 | 5 | 5 | 32:26 | 29 |
| ტილბურგი | 19 | 8 | 4 | 7 | 29:29 | 28 |
| ვალვაიკი | 19 | 8 | 4 | 7 | 20:24 | 28 |
| ბრედა | 18 | 6 | 9 | 3 | 23:15 | 27 |
| ნაიმეგენი | 19 | 7 | 6 | 6 | 24:26 | 27 |
| უტრეხტი | 18 | 6 | 7 | 5 | 25:23 | 25 |
| ჰერენვენი | 19 | 6 | 6 | 7 | 30:30 | 24 |
| ტვენტე | 19 | 5 | 8 | 6 | 23:28 | 23 |
| ალკმაარი | 18 | 6 | 3 | 9 | 27:45 | 21 |
| ექსელსიორი | 18 | 4 | 7 | 7 | 22:31 | 19 |
| როზენდალი | 19 | 5 | 4 | 10 | 21:32 | 19 |
| ვიტესი | 18 | 4 | 4 | 10 | 17:22 | 16 |
| გრონინგენი | 19 | 3 | 5 | 11 | 16:29 | 14 |
| ზვოლე | 18 | 3 | 4 | 11 | 16:33 | 13 |
| გრააფსხაპი | 18 | 3 | 4 | 11 | 18:40 | 13 |

### II დივიზიონი

მე-19 ტური: ემენი — ვოლენდამი 2:0; სიტარდი — სპარტა 1:1; ჰერაკლესი — ვენლო 1:0; მაასტრიხტი — ეინდჰოვენი 2:3; ოსი — ვეენდამი 2:3; კამბური — ჰაარლემი 4:0; დენ ჰააგი — დოორდრეხტი 2:0; ტელსტარი — დენ ბოსხი 1:0. *ჰელმონდი — იგლსი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დენ ჰააგი | 18 | 15 | 1 | 2 | 50:12 | 46 |
| ემენი | 19 | 14 | 2 | 3 | 39:19 | 44 |
| ჰერაკლესი | 18 | 12 | 2 | 4 | 45:25 | 38 |
| ჰელმონდი | 18 | 10 | 3 | 5 | 47:29 | 33 |
| იგლსი | 17 | 10 | 3 | 4 | 39:25 | 33 |
| ვოლენდამი | 19 | 10 | 2 | 7 | 32:30 | 32 |
| დენ ბოსხი | 18 | 9 | 3 | 6 | 30:21 | 30 |
| კამბური | 18 | 9 | 1 | 8 | 35:37 | 28 |
| ვეენდამი | 18 | 7 | 4 | 7 | 28:32 | 25 |
| ოსი | 18 | 7 | 2 | 9 | 29:41 | 23 |
| სპარტა | 19 | 6 | 4 | 9 | 32:37 | 22 |
| ეინდჰოვენი | 18 | 5 | 4 | 9 | 20:28 | 19 |
| ტელსტარი | 18 | 6 | 1 | 11 | 17:26 | 19 |
| ჰაარლემი | 18 | 5 | 4 | 9 | 17:37 | 19 |
| მაასტრიხტი | 19 | 4 | 4 | 11 | 17:29 | 16 |
| დოორდრეხტი | 19 | 4 | 3 | 12 | 19:38 | 15 |
| ვენლო | 18 | 4 | 2 | 12 | 21:38 | 14 |
| სიტარდი | 18 | 2 | 5 | 11 | 18:31 | 11 |

## თურქეთი

მე-19 ტური: ბურსა — სამსუნი 2:1; გაზიანთეფი — მალათია 3:0; გიოზთეფე — ალთაი 0:2; ქოჯაელი — ბეშიქთაში 0:5; დიარბაქირი — ადანა 2:0; ისთანბული — გენჩლერბირლიგი 1:3; ტრაბზონი — ელაზიგსფორი 1:1; ანკარაგიუჯიუ — ფენერბაჰჩე 0:0. გალათასარაი — დენიზლი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 19 | 14 | 5 | 0 | 34:9 | 47 |
| გენჩლერი | 19 | 12 | 4 | 3 | 50:21 | 40 |
| გალათასარაი | 18 | 12 | 3 | 3 | 28:17 | 39 |
| ფენერბაჰჩე | 19 | 10 | 6 | 3 | 39:21 | 36 |
| გაზიანთეფი | 19 | 9 | 6 | 4 | 34:22 | 33 |
| ტრაბზონი | 19 | 8 | 7 | 4 | 23:15 | 31 |
| მალათია | 19 | 7 | 7 | 5 | 32:25 | 28 |
| დენიზლი | 18 | 6 | 6 | 6 | 20:20 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 19 | 7 | 3 | 9 | 23:27 | 24 |
| დიარბაქირი | 19 | 6 | 5 | 8 | 19:24 | 23 |
| ალთაი | 19 | 6 | 3 | 10 | 27:39 | 21 |
| ბურსა | 19 | 4 | 7 | 8 | 25:34 | 19 |
| ისთანბული | 19 | 5 | 4 | 10 | 22:31 | 19 |
| ადანა | 19 | 4 | 7 | 8 | 19:31 | 19 |
| ელაზიგსფორი | 19 | 4 | 5 | 10 | 19:29 | 17 |
| გიოზთეფე | 19 | 3 | 7 | 9 | 17:30 | 16 |
| სამსუნი | 19 | 4 | 4 | 11 | 19:37 | 16 |
| ქოჯაელი | 19 | 4 | 1 | 14 | 20:38 | 13 |

## ბელგია

### I დივიზიონი. [illegible]

**გენკი 5:4 მუსკრონი**
0:1 ვიდოვიჩი (8), 1:1 სონკი (10), 2:1 ტიისი (19პ), 2:2 გრეგორიო (43), 3:2 სონკი (55), 3:3 მარტიჩი (63), 3:4 მ. მვენზა (66), 4:4, 5:4 სონკი (72, 79)

**ანტვერპენი 3:1 შარლერუა**
1:0 სერჟანი (8), 2:0 ნილსენი (28), 2:1 ადელინუ (43), 3:1 სერჟანი (60)

**ლუვიე 2:4 ლოკერენი**
1:0 კენმონე (2), 1:1 ბანგურა (19), 1:2, 1:3 კრისტინსონი (31, 40), 2:3 იჩიაკუ (55), 2:4 ბანგურა (89)

**მეხელენი 0:8 ბრიუგე**
0:1 ს. მარტენსი (24), 0:2 ვერჰეინი (26), 0:3 დე კოკი (29), 0:4 ვერჰეინი (32), 0:5 სიმონსი (37), 0:6, 0:7 ს. მარტენსი (43, 65), 0:8 სმოლდერსი (88)

**ვესტერლო 1:2 ლიერსი**
1:0 მენე (4), 1:1 კონე (43), 1:2 დე ვილდე (89)

**გენტი 0:2 ანდერლეხტი**
0:1 დე ბუკი (6), 0:2 მორნარი (67)

**ბევერენი 2:1 სენტ ტრუიდენი**
0:1 ბოფინი (44), 1:1 ზეზეტო (50), 2:1 ტიუნი (75)

**ლომელი 2:1 ბეერსხოტი**
0:1 კპაკა (40პ), 1:1 სკაფონე (50), 2:1 ნობენი (84)

**სტანდარდი 0:0 მონსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 20 | 18 | 1 | 1 | 66:17 | 55 |
| ანდერლეხტი | 20 | 13 | 2 | 5 | 45:24 | 41 |
| ლიერსი | 20 | 12 | 5 | 3 | 32:19 | 41 |
| ლოკერენი | 20 | 12 | 4 | 4 | 42:29 | 40 |
| სენტ ტრუიდენი | 20 | 10 | 5 | 5 | 47:29 | 35 |
| გენკი | 20 | 10 | 5 | 5 | 47:34 | 35 |
| სტანდარდი | 20 | 8 | 6 | 6 | 33:25 | 30 |
| მუსკრონი | 20 | 8 | 5 | 7 | 39:36 | 29 |
| გენტი | 20 | 9 | 2 | 9 | 32:31 | 29 |
| ანტვერპენი | 20 | 8 | 4 | 8 | 32:34 | 28 |
| მონსი | 20 | 8 | 3 | 9 | 27:28 | 27 |
| ვესტერლო | 20 | 7 | 1 | 12 | 18:33 | 22 |
| ლუვიე | 20 | 5 | 5 | 10 | 22:28 | 20 |
| ბევერენი | 20 | 6 | 2 | 12 | 24:46 | 20 |
| ბეერსხოტი | 20 | 5 | 3 | 12 | 33:40 | 18 |
| ლომელი | 20 | 4 | 3 | 13 | 18:36 | 15 |
| შარლერუა | 20 | 2 | 6 | 12 | 21:48 | 12 |
| მეხელენი | 20 | 2 | 4 | 14 | 15:56 | 10 |

### II დივიზიონი

21-ე ტური: დესელი — დენდერლეუ 2:0; პატრო — რუზელარე 1:0; ინგელმუნსტერი — ვირტონი 2:1; სტრომბეკი — ჰამე 0:1; ვიზეტი — დაინცე 0:1; ტინენი —ეუპენი 1:1; ვარეგემი — გეელი 0:0; რონსი — ლიეჟი 2:0; სერკლი — ჰეუსდენი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰეუსდენი | 20 | 10 | 8 | 2 | 36:19 | 38 |
| სერკლი | 21 | 10 | 7 | 4 | 34:25 | 37 |
| ვარეგემი | 21 | 10 | 6 | 5 | 36:23 | 36 |
| ეუპენი | 22 | 8 | 11 | 3 | 33:24 | 35 |
| დაინცე | 20 | 10 | 2 | 8 | 26:25 | 32 |
| ვიზეტი | 21 | 8 | 7 | 6 | 30:22 | 31 |
| ჰამე | 21 | 8 | 7 | 6 | 32:38 | 31 |
| რონსი | 21 | 7 | 7 | 7 | 25:22 | 28 |
| ვირტონი | 21 | 6 | 9 | 6 | 30:23 | 27 |
| დენდერლეუ | 21 | 7 | 6 | 8 | 31:27 | 27 |
| ლიეჟი | 21 | 7 | 6 | 8 | 30:33 | 27 |
| დესელი | 21 | 7 | 5 | 9 | 31:41 | 26 |
| გეელი | 20 | 5 | 9 | 6 | 17:18 | 24 |
| ტინენი | 21 | 7 | 3 | 11 | 23:39 | 24 |
| ინგელმუნსტერი | 20 | 6 | 5 | 9 | 29:34 | 23 |
| რუზელარე | 21 | 4 | 7 | 10 | 26:35 | 19 |
| პატრო | 20 | 4 | 6 | 10 | 20:32 | 18 |
| სტრომბეკი | 19 | 4 | 5 | 10 | 20:29 | 17 |





რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# პრეზიდენტის ტვირთი

## გასპარის რჩევა: გიყვარდეთ ბარსელონა ცივი გონებით

*ხოსეპ ლუის ნუნიესის გადადგომის შემდეგ, 2000 წლის 23 ივლისის საპრეზიდენტო არჩევნებზე კლუბის წევრთა დაახლოებით ნახევარი, 45 888 კაცი მივიდა, რომელთაგან 25 181-მა ამომრჩეველმა, ანუ 54,87-მა პროცენტმა, ხმა ნუნიესის დროინდელ პირველ ვიცე-პრეზიდენტ ხუან გასპარს მისცა. მის ერთ-ერთ კონკურენტ ლუის ბასატს 5 390 ხმით ნაკლები ერგო და გასპარი „ბარსელონას" 34-ე პრეზიდენტი გახდა.*

*ორწელიწადნახევრის მანძილზე გასპარმა ოთხი მწვრთნელი შეცვალა, ვერაფერი მოიგო, ექვსი ვიცე-პრეზიდენტი გაექცა და ბოლოს თვითონაც მიხვდა, რომ უნდა წასულიყო.*



### ბარსელონა, ჩემი სიყვარული

კლუბის პრეზიდენტის საგანგებო პრესკონფერენციაზე მასწავლებმა შენიშნეს, რომ ხუან გასპარი უჩვეულოდ მშვიდად გამოიყურებოდა. ეგებ ღელავდა კიდეც, მაგრამ არ იმჩნევდა. ასეთი გასპარი ხალხს რა ხანია, აღარ ენახა. გასპარმა დაახლოებით საათნახევარი ილაპარაკა, კლუბში შექმნილი ვითარება დაწვრილებით გაარჩია, მთავარი კი ის თქვა, რომ 1 მარტიდან პოსტს ტოვებს.

— მივდივარ, რათა „ბარსელონა" უკეთესი გახდეს. კლუბი საკუთარ თავზე მეტად მიყვარს. ამიტომ შექმნილ კრიზისში ერთადერთ დამნაშავედ საკუთარ თავს ვაღიარებ. ვფიქრობ, გადაწყვეტილება სწორედ და დროულად მივიღე. უფრო სწორად, გადაწყვეტილება ადრევე მქონდა მიღებული და მის გამოცხადებას აპრილში ვაპირებდი, მაგრამ საქმე ისე წავიდა, ახლა გამოცხადება ვამჯობინე. მინდა ქომაგები დავარწმუნო, რომ კლუბში მხოლოდ მწვრთნელი კი არ შეიცვალა, ყველაფერი იცვლება, ეს გულშემატკივრებს იმედს ჩაუსახავს და გუნდისკენ შემოაბრუნებს — თქვა გასპარმა.

სხვათა შორის, პრეზიდენტის ამ განცხადების მერე, კვირას, „ბილბაოსთან" თამაშისას, „კამპ ნოუ" გაივსო.

გასპარმა კი განაგრძო: „შეცდომებს ვაღიარებ, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ საქმეს უგულოდ ვაკეთებდი. ისე, უკეთესი ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი, ვიდრე პრეზიდენტი. ეს ძალიან მძიმე ტვირთი აღმოჩნდა. ჩემი მთავარი შეცდომა ალბათ ის იყო, რომ გადაწყვეტილებებს ცხელ გულზე ვიღებდი, რაც, ისევ და ისევ, კლუბის სიყვარულით მომდიოდა".

### ვინ არის შემდეგი?

ცხადია, რომ ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება ერთ და ორ დღეში არ მოესწრება. „ბარსელონას" დირექტორატმა არჩევნების დროდ ივლისი დაუქვა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ 1 მარტიდან ივლისამდე კლუბი უთავოდ ვერ იქნება და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნაა საჭირო.

კლუბის პირველი ვიცე-პრეზიდენტი სიქსტე კამბრა გახლავთ და პოსტიც მას ეკუთვნოდა, მაგრამ დირექტორატის სხდომაზე მისმა კანდიდატურამ კამათი გამოიწვია და სინიორ კამბრამაც საკუთარ თავს აცილება მისცა.

დირექტორატმა მეორე ვიცე-პრეზიდენტისკენ, ფრანსისკო კლოსასკენ გაიხედა, მაგრამ მან ხელები გაასავსავა, მიზეზად კი ხუან გასპარის ოჯახთან მეტისმეტად მჭიდრო მეგობრობა დაასახელა.

საბოლოოდ კი გადაწყდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე პრეზიდენტის მოვალეობას მესამე ვიცე-პრეზიდენტი, ენრიკე რეინა შეასრულებს და ისიც იმ პირობით, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.

### გასპარმა ბითლზი აღმოაჩინა

თუ ვიტყვით, რომ ხუან გასპარი ბავშვობიდან სასტუმროების ბიზნესში იყო ჩაბმული, ტყუილი არ იქნება. მამამისი ბარსელონაში მდებარე სასტუმრო „ესპანიას" მენეჯერი იყო და პატარა ხუანიც მუდამ სასტუმროში ტრიალებდა. ხოლო როცა წამოიზარდა, „ლასალე ბონანოვას" კოლეჯში მიაბარეს, სადაც სასტუმროების, რესტორნების და მსგავსი დაწესებულებების მენეჯერებს ზრდიდნენ. კოლეჯს თავისი საფეხბურთო გუნდიც ჰყავდა, რომელშიც ხუანი ლიბეროდ თამაშობდა, თუმცა ახლა, სამოცს მიღწეული ხანდახან ბურთს რომ გააგორებს, ფორვარდობას ამჯობინებს.

კოლეჯის დამთავრების მერე ოჯახმა გასპარი საფრანგეთში გაუშვა „ტონონ ლეს ბენსის" სასტუმროებისა და მომსახურების სკოლაში. „ბარსელონას" მომავალმა პრეზიდენტმა საფრანგეთში სამი წელი ისწავლა და როცა ჩათვალა, რომ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზად იყო, ინგლისში წავიდა. თავდაპირველად ლონდონის სასტუმრო „კონოში", მერე კი ლივერპულის სასტუმრო „ადელფიში" მუშაობდა. სულ ინგლისში გასპარმა ხუთი წელი გაატარა.

გასპარს ფეხბურთი არც უცხო ქვეყანაში დავიწყებია. დავიწყებია კი არა, ინგლისის ჩემპიონიც გახდა — „ევერტონის" ახალგაზრდულმა გუნდმა, რომელშიც კატალონიელი ფეხბურთელი თამაშობდა, ინგლისის პირველი დივიზიონი მოიგო. იქიდან მოყოლებული, ხუან გასპარი „ევერტონის" თავგადაკლული ფანია.

და კიდევ, 60-იანი წლების დასაწყისში, ლივერპულის კლუბ „კავერნში" სრულიად უცნობი ჯგუფი, „ბითლზი" გამოდიოდა, რომლის მოსასმენადაც ორმოცდაათიოდე კაცი თუ იყრიდა თავს. გასპარიც მათ შორის იყო.

ესპანეთში დაბრუნებული გასპარი ჯარში გაიწვიეს. მძიმე არმიული ცხოვრება არ ჰქონია, ბარსელონის აეროპორტს იცავდა. ჯარის მერე კი მამამ სასტუმროში თავისი პოსტი დაუთმო. 23 წლისა დაოჯახდა, მეუღლე მარია ბუენოსთან ხუთი შვილი ჰყავს, ხოლო სასტუმრო, რომლის მენეჯერი ჯერ მამამისი, მერე კი თვითონ იყო, სასტუმროთა ქსელ HUSA-ში შედიოდა, რომელიც ბაბუამისმა დააარსა 1930 წელს. დღეს ქსელში 200 სასტუმროა და ხუან გასპარი მისი პრეზიდენტია.

### დედას ბარსელონა უყვარდა

ხუან გასპარის მამას ფეხბურთი კი უყვარდა, მაგრამ არ გიჟდებოდა, დედა კი „ბარსელონას" თავგადაკლული ფანი იყო — ექვსი თვის ჩვილი ხუანი უკვე სტადიონზე დაჰყავდა. მაშინ „კამპ ნოუ" არ არსებობდა, „ბარსელონა" „ლეს კორტსზე" თამაშობდა.

იხსენებენ, პატარა ხუანი გამეტებით ტიროდა და მხოლოდ მაშინ მშვიდდებოდა, როცა „ბარსელონას" გატანილი გოლით აღფრთოვანებული ხალხი ერიამულს ატეხდაო.

ცხრა წლის გასპარი უკვე კლუბის წევრი იყო. წლეულს, 2 სექტემბერს ნახევარი საუკუნე სრულდება, რაც ის კლუბის წევრია.

ბავშვობაშივე გასპარს სურვილი გაუჩნდა: ეგებ, ერთ მშვენიერ დღეს „ბარსელონას" პრეზიდენტი გამხდარიყო. სწავლისგან თავისუფალ დროს კლუბში მიდიოდა, მოედანს ხაზავდა, ლატარიის ბილეთებს ყიდდა, ათას სხვა საქმეს ასრულებდა. ერთი სიტყვით, პრეზიდენტობისკენ მიმავალი გზა ყველაზე დაბალი საფეხურიდან დაიწყო.

1974 წელს აგუსტინ მონტალ კოსტა ხელახლა აირჩიეს კლუბის პრეზიდენტად. იმ წელს გასპარს სურდა კანდიდატურის წამოყენება, ოჯახურ ბიზნესში დაგროვებული ფულიც საარჩევნო კამპანიის წარმართვაში სავსებით ეყოფოდა, მაგრამ ერთი ხელისშემშლელი მიზეზი გამოჩნდა — პრეზიდენტობისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა იყო, მხოლოდ ოცდაათისა.

### როგორ გახდა ნუნიესი პრეზიდენტი

იმ პერიოდში ხუან გასპარმა ვინმე ხოსეპ ლუის ნუნიესი გაიცნო, მსხვილი სამშენებლო კომპანიის მეპატრონე. საერთო საქმემ — სასტუმრო „ნუნიეს-ურგნელი" ააშენეს — ისინი დაამეგობრა.

ნუნიესი გასპარზე უფროსი იყო და საქმიანობის ფეხბურთთან დაკავშირებაზე არ ფიქრობდა. გასპარს „ბარსელონას" პრეზიდენტობა ელანდებოდა, მაგრამ ასაკი ხელს არ უწყობდა. ჰოდა, ერთხელაც, გასპარმა უფროს მეგობარს შესთავაზა: ეგებ, „ბარსელონას" პრეზიდენტობაზე გეყარა კენჭიო. ნუნიესს ჭკუაში დაუჯდა. რატომაც არა, კატალონიაში „ბარსელონას" პრეზიდენტობა კატალონიის გუბერნატორობაზე საპატიო პოსტი იყო.

1978 წელს ხოსეპ ლუის ნუნიესმა არჩევნები მოიგო და ხუან გასპარი ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა. გასპარს საბოლოო მიზნამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებდა. ნუნიესის, კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებული პრეზიდენტის ზეობამ 18 წელიწადს გასტანა და გასპარსაც 18 წელი მოუხდა ლოდინი.

### გასპარი არ დაიკარგება

1 მარტიდან ხუან გასპარი „ბარსელონას" პრეზიდენტი აღარ იქნება, მაგრამ საქმეს რა გამოულევს. ჩამოვთვალოთ.

ის არის ბაბუამისის დაარსებული სასტუმროთა ქსელის HUSA-ს პრეზიდენტი, ბარსელონის ტურიზმის კონსორციუმის პრეზიდენტი, კატალონიის სასტუმრო-რესტორნების კონფედერაციის თავმჯდომარე, კატალონიის ინდუსტრიისა და ნავიგაციის საბჭოს თავმჯდომარე, სეიშელის კუნძულების საპატიო კონსული, დედა ტერეზას დაარსებული საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრი და კიდევ რამდენიმე ჩვენთვის უცნობი და გაუგებარი სახელწოდების ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ხუან გასპარს საქმე, იცოცხლეთ, თავზე საყრელად აქვს.

**გიორგი დარჯანია**








ენრიკე რეინამ ახალ არჩევნებამდე ხუან გასპარის ადგილი დაიკავა. თავის დროზე გასპარმა ხოსეპ ლუის ნუნიესი შეცვალა

## პორტუგალია

### I ლიგა. XXI ტური

**სანტა კლარა 1:1 ბოავიშტა**

1:0 ფიგეირედო (7), 1:1 ელპიდიუ სილვა (58)

**ლეირია 0:3 ბენფიკა**

0:1 ნუნუ გომეში (14), 0:2 ტიაგო (44), 0:3 ნუნუ გომეში (59)

**ვარზიმი 1:1 სპორტინგი**

0:1 ჟოაუ პინტუ (35), 1:1 კარვალიუ (58)

**მორეირენსე 2:2 ბრაგა**

1:0 პერეირა (33), 1:1 აბიოდუნი (59), 1:2 არიეტა (84), 2:2 მარტინში (90)

**აკადემიკა 2:0 ჟილ ვისენტე**

1:0, 2:0 დარიო (7, 82)

**ნასიონალი 1:0 ბეირა მარი**

1:0 კლემილრი (76)

**სეტუბალი 1:0 მარიტიმუ**

1:0 ჟორჟინიუ (24)

**ფერეირა 3:2 ბელენენსეში**

0:1 ანშუე (47), 0:2 ლუდემარი (59), 1:2 კეიროში (62), 2:2, 3:2 პუენტახი (82, 90)

**პორტუ 2:1 გიმარაეში**

1:0 პეიშოტო (25), 2:0 ნუნუ კაპუშუ (39), 2:1 რომეუ (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 21 | 18 | 3 | 0 | 47:17 | 57 |
| ბენფიკა | 21 | 13 | 5 | 3 | 41:15 | 44 |
| სპორტინგი | 21 | 13 | 2 | 6 | 34:23 | 41 |
| გიმარაეში | 21 | 10 | 5 | 6 | 36:26 | 35 |
| ჟილ ვისენტე | 21 | 10 | 2 | 9 | 32:32 | 32 |
| ლეირია | 21 | 9 | 4 | 8 | 31:30 | 31 |
| ვარზიმი | 21 | 8 | 4 | 9 | 26:25 | 28 |
| ბრაგა | 21 | 7 | 7 | 7 | 20:29 | 28 |
| ნასიონალი | 21 | 7 | 6 | 8 | 23:25 | 27 |
| ბელენენსეში | 21 | 7 | 5 | 9 | 25:30 | 26 |
| ბოავიშტა | 21 | 6 | 7 | 8 | 20:20 | 25 |
| მორეირენსე | 21 | 5 | 8 | 8 | 24:28 | 23 |
| მარიტიმუ | 21 | 7 | 2 | 12 | 24:36 | 23 |
| ფერეირა | 21 | 6 | 5 | 10 | 20:32 | 23 |
| აკადემიკა | 21 | 5 | 7 | 9 | 24:33 | 22 |
| სეტუბალი | 21 | 4 | 9 | 8 | 20:21 | 21 |
| სანტა კლარა | 21 | 3 | 8 | 10 | 23:34 | 17 |
| ბეირა მარი | 21 | 3 | 7 | 11 | 20:34 | 16 |

### II ლიგა

21-ე ტური: მადეირა — ამადორა 1:1; ლამაში — სალგეირუში 0:0; მაია — ფარენსე 2:0; ფელგეირაში — შავეში 2:2; პორტიმონენსე — ნავალი 2:1; პენაფიელი — ალვერკა 0:0; ლეცა — ავეში 1:1; მარკუ — კოვილია 0:0; რიუ ავე — ოვაირენსე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალგეირუში | 21 | 10 | 7 | 4 | 30:20 | 37 |
| ამადორა | 21 | 10 | 6 | 5 | 29:23 | 36 |
| ალვერკა | 21 | 8 | 11 | 2 | 25:12 | 35 |
| მაია | 21 | 10 | 4 | 7 | 38:29 | 34 |
| პორტიმონენსე | 21 | 9 | 6 | 6 | 29:22 | 33 |
| რიუ ავე | 21 | 9 | 5 | 7 | 27:27 | 32 |
| ნავალი | 21 | 6 | 12 | 3 | 27:17 | 30 |
| ავეში | 21 | 8 | 6 | 7 | 24:22 | 30 |
| ფარენსე | 21 | 7 | 7 | 7 | 18:22 | 28 |
| პენაფიელი | 21 | 8 | 3 | 10 | 22:21 | 27 |
| შავეში | 21 | 6 | 9 | 6 | 27:27 | 27 |
| ოვაირენსე | 21 | 8 | 3 | 10 | 30:34 | 27 |
| მარკუ | 21 | 6 | 8 | 7 | 31:29 | 26 |
| კოვილია | 21 | 6 | 7 | 8 | 21:21 | 25 |
| ფელგეირაში | 21 | 7 | 4 | 10 | 19:27 | 25 |
| მადეირა | 21 | 4 | 8 | 9 | 16:25 | 20 |
| ლეცა | 21 | 3 | 9 | 9 | 15:30 | 18 |
| ლამაში | 21 | 4 | 5 | 12 | 17:37 | 17 |

## საბერძნეთი

მე-18 ტური: პანათინაიკოსი — აეკ 2:1; ოლიმპიაკოსი — ირაკლისი 2:1; პანაჰაიკი — პანიონიოსი 0:2; ოფი — აკრატიტოსი 2:0; არისი — ეგალეო 2:1; კალითეა — პაოკ 1:2; იონიკოსი — იანინა 2:0; ქსანთი — პროდეფტიკი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 18 | 13 | 2 | 3 | 26:12 | 41 |
| ოლიმპიაკოსი | 18 | 11 | 6 | 1 | 40:11 | 39 |
| პაოკ | 18 | 11 | 3 | 4 | 38:20 | 36 |
| პანიონიოსი | 18 | 10 | 4 | 4 | 22:12 | 34 |
| აეკ | 18 | 9 | 5 | 4 | 33:18 | 32 |
| არისი | 18 | 8 | 5 | 5 | 20:20 | 29 |
| ქსანთი | 18 | 6 | 8 | 4 | 20:14 | 26 |
| ირაკლისი | 18 | 7 | 4 | 7 | 23:20 | 25 |
| ოფი | 18 | 6 | 6 | 6 | 22:19 | 24 |
| პროდეფტიკი | 18 | 5 | 6 | 7 | 17:18 | 21 |
| ეგალეო | 18 | 4 | 8 | 6 | 14:22 | 20 |
| კალითეა | 18 | 3 | 6 | 9 | 17:26 | 15 |
| იონიკოსი | 18 | 3 | 6 | 9 | 11:26 | 15 |
| იანინა | 18 | 3 | 5 | 10 | 14:24 | 14 |
| აკრატიტოსი | 18 | 3 | 3 | 12 | 15:36 | 12 |
| პანაჰაიკი | 18 | 1 | 5 | 12 | 7:41 | 8 |

## ამხანაგური მატჩები

**აშშ 0:1 არგენტინა**

0:1 ლ. გონსალესი (9)

**ხორვატია 2:2 მაკედონია**

0:1 სედლოსკი (10), 1:1 ს. მარიჩი (35), 1:2 ტოლესკი (60), 2:2 ანდრიჩი (72)

# ბასკო თასზეც ჩემპიონია!



კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა თასი ბასკოელ კახა შენგელიას გადასცა

## საქართველოს თასი 2003
### რუსთავი. 3-8 თებერვალი

**აზოტი 77:85 ბასკო**

17:21, 18:19, 16:14, 26:31

**აზოტი:** ელენტი (19), გაბისონია (5), გოგობერიშვილი (13), ბერუაშვილი (6), ჯაფარიძე (6); მაჭარაძე (4), კოკოლიშვილი (14), ტყეშელაშვილი (10), არწივიძე

**ბასკო:** დ. ბერიშვილი (16), წოწელია (3), კეიდია (16), ბაბიაშვილი (25), შენგელია (17); ნიკოლაძე (6), როდუმტა (2)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

ქართულ კალათბურთში დრონი კი არა, მეფენი მეფობენ. ბოლო სამი წლის ჩემპიონმა ბათუმის „ბასკომ" ერთი ოფიციალური ტიტულიც მოიგო — საქართველოს თასი.

არადა, საქმეში ჩახედულები მიზეზთა გამო „ბასკოზე" მეტად სხვებს უწინასწარმეტყველებდნენ თასის ალებას. არგუმენტებიც ჰქონდათ: ზოგადად ეს „ბასკო" ძველ „ბასკოზე" სუსტია; ბათუმელები საამტურნიროდ რვა კალათბურთელით ჩავიდნენ რუსთავში, ამასთან თსუ-დან გადაყვანილი ყოჩაღი ლევან ქარაბაკისა და ახალშემატებული ამერიკელი გამთამაშებლის, როლანდ ჯონსის გარეშე; ზღვისპირელები უმთავარმწვრთნელოდ იყვნენ — იტალიაში მივლინებული ნუგზარ კანდელაკის ნაცვლად ბასკოელებს დავით რიბაშვილი მოძღვრავდა... თუმც მთავარი ალბათ ის იყო, რომ ბათუმელებს ფინალში მეტოქედ ტურნირის მასპინძელი „აზოტი" ჰყავდათ, რომელთანაც ჯგუფში დამარცხებულიყვნენ.

ბათუმელთა პირისპირ დამდგარმა რუსთაველებმა კი ჯგუფური ეტაპი წაუგებლად გაასრულეს, ნახევარფინალში ჩემპიონატის ლიდერი „დინამო" დაჯაბნეს და ბათუმელებსაც იგივეს უპირებდნენ, მაგრამ ნახევარფინალში ნაყოჩაღევი ირაკლი ჯაფარიძე და რამაზ გოგობერიშვილი, რომლებისაც გადავსებულ „ქიმიკოსთა" დარბაზს ყველაზე მეტად ეიმედებოდა, თავიანთ თავს არ ჰგავდნენ. მათ უხეირობას წინა დღეს „დინამოსთან" გადაღლას ვერ დავაბრალებთ, ბასკოელებმა ხომ უფრო მომქანცველი ნახევარფინალი გადაიტანეს „სტუ-ჯეოსელთან".

თუ ქართულ კალათბურთში საერთოდ არსებობს სტრატეგია-ტაქტიკა, ეს პირველ რიგში „ბასკოს" გააჩნია. ბათუმელებმა ჯგუფში საშუალო გუნდის იმიჯი შეიქმნეს — სუსტ „მაკაბის" მოკრძალებული ანგარიშით სძლიეს, „აზოტთან" კი, ზემოთაც ვთქვით, წააგეს კიდეც. სამაგიეროდ, მათ ნახევარფინალიდან „აიწყვიტეს" და თასამდე დიდი დავიდარაბის გარეშე მივიდნენ.

ფინალში ნათლად გამოჩნდა ბათუმელთა ძალა. ჯაფარიძემ და გოგობერიშვილმა პირველი მეოთხედი რომ უქულოდ გაასრულეს, ზღვისპირელთა დაცვის დამსახურებაა. ბასკოელი კახა შენგელია ქულების გროვებაზე მეტად ჯაფარიძის გაუვნებლობას ეშურებოდა, რაც კარგად გამოსდიოდა. რუსთაველთა მეორე მეფარე მიხეილ ბერუაშვილს კი უფრო მეტი სივრცე ჰქონდა, თუმც მიშას უზუსტობა დასჩემდა და „აზოტს" პირველ მეოთხედში იმედად უკანა ხაზი დარჩა. არჩილ ელენტი გამრჯედ პასუხობდა რუსთაველთა ფარს გამინაურებულ ზვიად ბაბიაშვილს და „ბასკოს" წინ გაჭრას არ ანებებდა.

ჯაფარიძემ მეორე მეოთხედის დასაწყისში ორქულიანი ჩააგდო, მალე გოგობერიშვილმაც გააკეთა რამდენიმე ქულა, რაც ერთი შეხედვით მათი ათამაშების დასაწყისს ჰგავდა, მაგრამ ბათუმელთა დაცვამ მალევე გაიმყარა პოზიციები და „აზოტი" შორი სროლების იმედად დატოვა. რაც ვერ გამოსდიოდა გოგობერიშვილს, იმას კარგად ახერხებდა ბასკოელი ირაკლი კეიდია. ირაკლიმ რამდენიმე შედეგიანი გარღვევა გააზერხა და ჩემპიონები 40:30 დააწინაურა.

რუსთაველები ალბათ მიხვდნენ, რომ უთავბოლო შეტევებით ვერაფერს გახდებოდნენ და დაცვას თავადაც მიხედეს: „აზოტის" ზონაში იშვიათად თუ შეძვრებოდა ბასკოელი, შეტევაში კი რუსთაველებს მხსნელად ახალგაზრდა ლევან ტყეშელაშვილი მოევლინათ, ვინც ბათუმელთა ფარზე მოხსნილ ბურთებს ქულებად გარდასახავდა. სხვაობამ ლღობა იწყო. მესამე ათწუთეულის ბოლოს „აზოტი" ქულით მიუახლოვდა მეტოქეს და გადასწრებაც დაუპირა, მაგრამ სირენამ მოუსწრო.

რაკი საქომაგო გუნდის შეძლება იხილა, დარბაზი თამაშის განახლებას იმედით ელოდა, თუმც ბოლო მეოთხედი და „ბასკოს" წინსვლა ერთად დაიწყო. ბაბიაშვილ-ბერიშვილის კონტრშეტევებს კეიდიამ სამქულიანი მიაშველა და თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე ბასკოელები 16 ქულით გალიდერდნენ — 67:51. რუსთაველთა ხსნა თითქოს არსაიდან ჩანდა, მასპინძლებს ყველაფერში მოეცარათ ხელი, თუმც მანამდე ჩრდილში მყოფმა ნუგზარ კოკოლიშვილმა მიყოლებით ჩაყარა სამი სამქულიანი და სირენამდე 4 წუთით ადრე სხვაობა 8 ქულამდე შემცირდა. სწორედ აქ მოხდა ისეთი რამ, რაც, მგონი, არასდროს არავის უნახავს: პრინციპულობით განთქმულმა მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალა და როგორ ფიქრობთ, ვის სასარგებლოდ? — ცხადია, მასპინძელთა. როცა „აზოტს" მატჩის ხსნის შანსი გაუჩნდა, მაჩალაძემ მეხუთედ დააჯარიმა იშტაზე მოსული რამაზ გოგობერიშვილი და... მოედანზე ერთი-ორი სანთებელა გადმოვარდა. რუსთაველი ქომაგი ტრადიციულად აიჯაგრა, დაცვა — გამოცოცხლდა და მსაჯმა, რამაზს არა, ელენტს ვაჯარიმებო. ცოდვას ვერ ვიტყვით, ელენტიც მონაწილეობდა ბურთისთვის ბრძოლაში, ასეთი ჯარიმები მაჩალაძეს უამრავჯერ დაუსტვენია, მაგრამ მთავარი ისაა რომ, არასდროს გადაუთქვამს.

ამ ეპიზოდმაც ვერ გატეხა „ბასკო". გოგობერიშვილი მოედანზე კი დარჩა, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი გააკეთა. კეიდია-ბერიშვილმა ერთხელაც იყოჩაღეს შორიდან და ჩემპიონი თასსაც დაეპატრონა.



რუსთავის განახლებულ დარბაზში ტევა მართლა არ იყო

**ირაკლი ბერტაია**

---

ავტორბოლა

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში II ეტაპი. შვედეთი

# პეჟოს ლომი ისევ ყალყზეა



მარკუს გრონჰოლმის „პეჟომ" შვედეთში მესამედ გაიმარჯვა

**ჩემპიონატის** 14 ეტაპს შორის მონაწილეთათვის საწყისი ორი ყველაზე რთული დასაძლევია — თოვლიანი მონაკოსა და შვედეთის. მართალია, სკანდინავიური ტრასა მონაკოსავით ალმართ-დაღმართიანი და დაკლაკნილი არაა, მაგრამ უხვად დათოვლილ და აქა-იქ მოყინულ გზებზე 150-170 კმ/სთ სიჩქარით ჯირითსრიალისას საჭის დამორჩილება უძნელესი საქმეა და იოტისოდენა უზუსტობაც გამოთიშვის მიზეზი ხდება. სამდღიანი მარათონის ფინიშამდე ავარიის თუ მექანიკური პრობლემების გამო ბევრმა ეკიპაჟმა ვერ მიაღწია. მათ შორის „ასებმაც" იზარალეს.

სიტროენელი სებასტიენ ლოები, რომელსაც მონაკოში მოგება უმთავრესი კონკურენტის, მსოფლიოს ჩემპიონ მარკუს გრონჰოლმის სწორედ თოვლში მოსრიალების შედეგად ერგო, ლიდერის რანგში პირველი ჩაება ასპარეზობაში. 14-კილომეტრიან საწყის მონაკვეთზე მან უსწრაფესად იქროლა და დაწინაურდა კიდეც, მაგრამ მცირე ხნით. 28 წლის ფრანგი მომდევნო ორი ჩქაროსნული უბნის გავლისას ორჯერ შეცდა და იმდენი დრო დაკარგა, რომ ათეულის მიღმა აღმოჩნდა. შეცდნენ უფრო გამოცდილებიც — ექსჩემპიონები კოლინ მაკრეი და კარლოს საინსი, აგრეთვე ჰარი როვანპერა, დიდიე ორიოლი, არმინ შვარცი... სამაგიეროდ, როგორც იქნა, გაიხარა ოთხტიტულიანმა ტომი მაკინენმა. 38 წლის ფინელს არც „სუბარუმ" უმტყუნა, არც თავად მოსვლია მნიშვნელოვანი შეცდომა და ზუსტად ერთწლიანი კატასტროფული ჩავარდნის შემდეგ, როცა 13 რბოლაში მხოლოდ 12 ქულას მოუყარა თავი, პირველად შედგა პოდიუმის მეორე საფეხურზე შვედ შტურმან კაი ლინდსტრიომთან ერთად.

შვედეთის გზებზე ორგზის ტრიუმფატორმა მარკუს გრონჰოლმმა და ტიმო რაუტიაინენმა დიდოსტატურად გაიარეს ურთულესი დისტანცია. ისე რომ, მეორე სპეცმონაკვეთის მერე წინ გაჭრილთ ერთხელაც აღარ დაუთმიათ ლიდერობა. გამარჯვებულის ვინაობა პრაქტიკულად პირველივე დღეს გაირკვა, როცა ფინელთა ტანდემმა უახლოესი მდევრები — მაკინენი და რიჩარდ ბარნსი (შტურმანი რობერტ რიდი) — ნახევარი წუთით ჩამოიტოვა. ერთი სიტყვით, ცხადად გამოჩნდა, რომ ორი კვირის წინ საწყის ეტაპზე 35 წლის გრონჰოლმის წაფორხილება შემთხვევითი იყო და წლევანდელ, რიგით 25-ე სარალო ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი სწორედ მისი ფრანგული „ლომია" („პეჟოს" საფირმო ნიშანი). რაც შეეხება ლოებს, მან ბოლომდე მედგრად იბრძოლა და ეტაპის მიწურულს იმდენი მოახერხა, რბოლა ჩასათვლელ რვიანში დაასრულა.

მესამე ეტაპი თებერვლის ბოლოს ჩვენი მეზობელი თურქეთის გზებზე ჩაივლის.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

| | |
|---|---|
| 1. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 3 სთ; 03.28,1 |
| 2. ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) | ჩამორჩა 50,8 |
| 3. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) | 1.17,9 |
| 4. მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) | 1.45,8 |
| 5. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, სიტროენი) | 2.15,8 |
| 6. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 2.19,1 |
| 7. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3.14,7 |
| 8. ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, შკოდა) | 3.19,2 |

### საერთო ჩათვლა

1. სებასტიენ ლოები 12 ქულა; 2. კოლინ მაკრეი 12; 3. მარკუს გრონჰოლმი 10; 4. რიჩარდ ბარნსი 10; 5. მარკო მარტინი (10); 6. ტომი მაკინენი 8; 7. კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) 6; 8-9. პეტერ სოლბერგი და სედრიკ რობერი (საფრანგეთი, პეჟო) 3-3; 10. ფრანსუა დიუვალი (საფრანგეთი, ფორდი) 2

### კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 24 ქულა, პეჟო 22, ფორდი 15, სუბარუ 11, ჰიუნდაი, შკოდა 3-3

All★Star ATLANTA 2003

**52-ე ოლ სტარი. ატლანტა „ფილიპს სენთერი“. 8-9 თებერვალი**

# ჯორდანის მზე დასავლეთით გაასვენეს


მომავალმა ლეგენდამ კევინ გარნეტმა მიმავალს, მაიკლ ჯორდანს დაუყვავა

AP ატლანტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აღმოსავლეთი 145:155 დასავლეთი

23:18, 29:37, 41:31, 27:34, 18:18, 7:17

**აღმოსავლეთი. მწვრთნელი: აიზია ტომასი (ინდიანა)**

| მოთამაშე (გუნდი, ოლ სტარის რაოდ.) | წთ. | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალენ აივერსონი (ფილადელფია, 4) | 41 | 5 | 7 | 5 | 0 | 35 |
| ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო, 3) | 36 | 5 | 2 | 0 | 0 | 29 |
| მაიკლ ჯორდანი (ვაშინგტონი, 14) | 36 | 5 | 2 | 2 | 0 | 20 |
| ჯერმენ ონილი (ინდიანა, 2) | 33 | 10 | 0 | 2 | 4 | 10 |
| ბენ ვოლესი (დეტროიტი, 1) | 24 | 6 | 0 | 2 | 2 | 2 |
| ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი, 6) | 33 | 5 | 10 | 5 | 0 | 11 |
| ჯამალ მაშბურნი (ნიუ ორლეანი, 1) | 14 | 4 | 2 | 2 | 0 | 10 |
| ვინს კარტერი (ტორონტო, 4) | 25 | 1 | 2 | 0 | 0 | 9 |
| პოლ პირსი (ბოსტონი, 2) | 18 | 2 | 3 | 4 | 0 | 8 |
| ანტუან უოლკერი (ბოსტონი, 3) | 9 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 |
| ბრედ მილერი (ინდიანა, 1) | 17 | 6 | 3 | 0 | 0 | 5 |
| ჟიდრუნას ილგაუსკასი (კლივლენდი, 1) | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | 290 | 50 | 31 | 22 | 6 | 145 |

**დასავლეთი. მწვრთნელი: რიკ ადელმანი (საკრამენტო)**

| მოთამაშე (გუნდი, ოლ სტარის რაოდ.) | წთ. | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი, 2) | 32 | 2 | 9 | 0 | 0 | 20 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი, 5) | 36 | 7 | 6 | 3 | 2 | 22 |
| კევინ გარნეტი (მინესოტა, 6) | 41 | 9 | 3 | 5 | 1 | 37 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო, 5) | 40 | 15 | 4 | 1 | 0 | 19 |
| იაო მინგი (ჰიუსტონი, 1) | 17 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 |
| შაკილ ონილი (ლეიკერსი, 10) | 26 | 13 | 1 | 2 | 1 | 19 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი, 2) | 16 | 1 | 1 | 0 | 0 | 9 |
| შონ მარიონი (ფინიქსი, 1) | 23 | 7 | 4 | 3 | 1 | 8 |
| გერი პეიტონი (სიეტლი, 9) | 15 | 1 | 2 | 0 | 0 | 8 |
| პრედრაგ სტოიაკოვიჩი (საკრამენტო, 2) | 13 | 3 | 1 | 1 | 0 | 5 |
| სტივენ მარბერი (ფინიქსი, 2) | 15 | 1 | 6 | 0 | 0 | 4 |
| სტივ ნეში (დალასი, 2) | 16 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 |
| | 290 | 66 | 40 | 16 | 5 | 155 |

### თავდაპირველად იმაზე, როგორ შეირცხვინეს მეორედ თავი ატლანტელებმა

გახსოვთ 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის გარშემო ატეხილი ხმაური? მაშინ ოლიმპიური თამაშების ორგკომიტეტმა და ატლანტის მერიამ საორგანიზაციო საკითხთა გამო იმდენი საჩივარი მიიღეს, რომ ზოგიერთმა ჩინოსანმა ლამის თავად წაიღო იმ ქვეყანას წერილი. ვერ გამოხლით ატლანტელებს დიდი შეჯიბრის მასპინძლობა და რა ქნან? აქეთ „კოკა-კოლას“ მთავაროფისიო, იქით CNN-ის ცენტრალური რედაქციაო... თან ამ უზარმაზარ ფინანსურ-სამრეწველო ქალაქ-გიგანტში იმდენად ვიწრო ქუჩებია, რომ გზების ოდნავი გადატვირთვა და ქალაქის გულისკენ მიმავალ საწყალ მგზავრებს საათობით უწევთ საცობში ყურყუტი და ქალაქზე გველეშაპივით გაწოლილი სმოგის „მაცოცხლებელი“ აირის ყლაპვა.

„ეს რა დომხალია? ყველაფერი ქალაქის ცენტრშია თავმოყრილი. რომ შემეძლოს, ერთ-ორ ცათამბჯენს გარეუბანში „გადავდგამდი“... არა, არა, პირველ რიგში „ფილიპს არენას“ გამოვატანინებდი იმ საგიჟეთიდან“ — „ოლ სტარის“ შემდეგ ხუმრობდა ფინიქსელი შონ მარიონი. „ოლ სტარამდე“ კი ის სულაც არ იყო ხუმრობის გუნებაზე, მისი ლიმუზინი ორჯერ გაიჩხირა საცობში.

ატლანტა არც სხვა ვარსკვლავებს „მოექცა თავაზიანად“ — ბენ ვოლესმა აეროპორტიდან ღარბაზში მისვლას ორნახევარი საათი მოანდომა, დირკ ნოვიცკიმ კი პირდაპირ ფეხით გასწია სასტუმროდან „ფილიპს არენაში“.

### ჯორდანის ანტიბენეფისი

მაიკლ ჯორდანისთვის ადრეც მოუწყვიათ საოლსტარო ბენეფისი — 1998 წელს, როცა ის კალათბურთიდან წასვლას აპირებდა. ჯორდანი ამ სეზონის შემდეგაც მიდის, ასე რომ, თანაგუნდელებმა ბევრი იმეცადინეს, რათა ეს „ოლ სტარი“ ჯორდანისა ყოფილიყო. ამ გასართობ შოუ-მატჩში თავად ჯორდანმაც ბევრი იშრომა, მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც სენტიმენტებმოძალებულ საზოგადოებას სურდა.

ყველასთვის მოულოდნელად მაიკლმა აღმოსავლეთის ხუთეულში ითამაშა. აივერსონის და მაკგრეიდის თავაზიანი წინადადების უარყოფის შემდეგ მაიკლი ბოლოსდა დათანხმდა ვინს კარტერს და მის ნაცვლად მოკალათდა ხუთეულში, მაგრამ ვაი ასეთ მოკალათებას. მაიკლმა ააცილა პირველი შვიდი სროლა, მერე მას სამჯერ დაუფარეს, ხოლო როცა ჯორდანობის გაწევის დრო მოვიდა, გადამწყვეტი სროლა მხოლოდ რგოლს მოარტყა. ეს მოხდა მეოთხე მეოთხედის ბოლო წამებზე, 120:120 ანგარიშზე და შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა. მართალია, მაიკლმა მაინც ჩააგდო ოვერტაიმის დამთავრებამდე ხუთიოდ წამით ადრე და აღმოსავლელი ვარსკვლავები 138:136 დააწინაურა, მაგრამ ამ სროლამ მაინც არ გადაწყვიტა მატჩის ბედი. დარჩენილ დროში დასავლელებმა მოახერხეს შეტევის ორგანიზება და აღმოსავლელი ჯერმენ ონილი კობი ბრაიანტზე სამქულიან ხაზსიქით დაჯარიმდა. კობიმ, შარშანდელი „ოლ სტარის“ უძვირფასესმა მოთამაშემ, სამი საჯარიმოდან ორი ჩააგდო და მატჩი მეორე ოვერტაიმში გაგრძელდა, პირველად „ოლ სტარის“ 52-წლიან ისტორიაში.

ჯორდანს საბოლოოდ მაინც არ დაუტოვებია მისი სიყვარულით მფეთქავი დარბაზი ნირწამხდარს. მას დაუყვავეს, მოეფერნენ. გარდა ამისა, მაინც მოუგროვდა 20 ქულა, რისი წყალობითაც მისმა საოლსტარო მონაგარმა 261 ქულას უწია. ამით მაიკლმა ჩამოიტოვა 251-ქულიანი რეკორდსმენი ქარიმ აბდულ-ჯაბარი.

### მინგიც ჩაფლავდა

მათ, ვინც „ოლ სტარის“ სასტარტო ხუთეულების გამოსავლენ გამოკითხვაში იაო მინგი შაკილ ონილზე წინ დააყენეს, ალბათ სინდისი ქენჯნით. ამ ჩინელი აყლაყუდას აღგილი ჯერ საერთოდ რომ არაა ნამდვილი ვარსკვლავების გვერდით, ეს ამ კვირადღესაც გამოჩნდა. არადა, მინგმა ისეთი რიხით დაიწყო, ხალხმა იფიქრა, ეს ჩინელი წაგვლეკავსო. 226-სანტიმეტრიანმა ჩინელმა საწყისი სადავო გდება მოუგო 20 სანტიმეტრით დაბალ ბენ ვოლესს, შემდეგ კი ერთ წუთში ჰიუსტონელი თანაგუნდელის სტივ ფრენსისის პასი ჰაერში დაიჭირა და გრუხუნით ჩაუტენა ზარდაცემულ აღმოსავლელებს. მაგრამ წარღვნა სინამდვილეში მსუბუქი შხაპი გამოდგა, მინგს ამის მეტი ხეირიანი არაფერი გაუკეთებია.

სამაგიეროდ, გაილაღა სათადარიგოთა სკამიდან ამდგარმა შაკილ ონილმა. მან 19 ქულით და 13 მოხსნით წალეკა აღმოსავლელები, რითაც დასტურ დაიგრუხუნა, დასავლეთის ხუთეულში ეგ ჩინელი ლაწირაკი კი არა, მე უნდა ვყოფილიყავიო.

„ოლ სტარის“ უძვირფასესი მოთამაშეც დასავლელი ვარსკვლავი, მინესოტელი კევინ გარნეტი გახდა, რაკი გამარჯვებულ გუნდში ყველაზე ყოჩაღი გახლდათ. გარნეტმა მეორე ოვერტაიმში 9 ქულა გაუჩარხა დასავლელებს. სულ მას 37 მოუგროვდა, რაც საუკეთესო შედეგია 1988 წლის ჯორდანის 40 ქულის შემდეგ.

### ვიზიარებთ, ბენ...

საერთოდ „ოლ სტარი“ სალაღობოდ და სახორხოცოდ მოუგონიათ, თამაშიც ყოველთვის ღია და სანახაობრივია, აკი ახლაც ამხელა ანგარიშით 155:145 დამთავრდა. იყო ბევრი ჩატენვები, ლამაზი პასები და „ფილიპს არენაში“ ისეთი ჟრიამული იდგა, კაცს თავი დაწყებითი სკოლის დიდ შესვენებაზე ეგონებოდა, მაგრამ იყო სევდაც. აღმოსავლეთის დეტროიტელ ცენტრ ბენ ვოლესს ნამდვილად არ ჰქონდა საქმე სალაღობოდ. მან თამაშის წინა დღეს, შაბათს, მშობელი დედა მიაბარა მიწას და ალაბამას შტატიდან ატლანტაში კვირასღა ჩაფრინდა.

„ვიცი, რომ დედა მოინდომებდა, ჩემს აქ ყოფნას. მან 11 შვილი გაზარდა და არავის არ შეგვირცხვენია. ის იამაყებდა ჩემით“ — ამბობდა ვოლესი თამაშის შემდეგ.

### რიჩარდსონი ცის საუზმედ

„ფილიპს არენა“ განა მხოლოდ 9 თებერვალს აღმოსავლელ-დასავლელთა მატჩზე გაივსო. ჯორჯიელები წინა დღითაც მაწყდნენ „ატლანტა ჰოქსის“ შინაურ სარბიელს, რათა წინასაოლსტარო პატარ-პატარა მისაჭმლით შექციათ თავი.

8 თებერვლის გმირი გახლდათ „გოლდენ სტეიტის“ უკანახაზელი ჯეისონ რიჩარდსონი, რომელმაც ჩატენვების კონკურსიც მოიგო და მცირე „ოლ სტარშიც“ გამოიჩინა თავი. რიჩარდსონს შარშანაც ემარჯვა ჩატენვებში და ახლაც მთავარ ფავორიტად ითვლებოდა კონკურსის შარშანწინდელ გამარჯვებულ სიეტლელ დესმონდ მეისონთან ერთად. ფინალშიც სწორედ ეს ორი გავიდა და იქ რიჩარდსონმა გაიმარჯვა.

მისი შესრულებული ჩატენვა, რომელიც შარშანდელის გადმობრუნებული ვარიანტი იყო, ერთ ნახვად ღირდა. რიჩარდსონი მარჯვენა კუთხიდან დაიძრა, შეგდებული ბურთი ჰაერში დაიჭირა, ფარისკენ ზურგშექცეულმა მარჯვენა ხელით ფეხებს შორის გაიტარა და მარცხენათი მთელი ძალით ატაკა კალათს.

მცირე „ოლ სტარში“ ის მეორეწლიანების ღირსებას იცავდა და მათ 132:112 დაამარცხებინა პირველწლიანები (ახალბედები). საბოლოოდ მან იმ თამაშში ყველაზე მეტი, 31 ქულა ჩააგდო და მცირე „ოლ სტარის“ უძვირფასეს მოთამაშედაც დაასახელებდნენ, რომ არა ერთი ინციდენტი. მატჩის ბოლო წამებზე, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, რიჩარდსონი უხეშად მოექცა კლივლენდელ ახალბედას კარლოს ბუზერს, ფეთიანივით მივარდა მას და ბურთი ისე აართვა, მოქნეული ხელი სახეშიც სთხლიშა. ასე თურმე იმიტომ იაქტიურა, რომ შეხვედრის ბოლო ქულები მიეთვალა და თანაგუნდელ ჯილბერტ არენასისთვის (30 ქულა) გადაესწრო.

ბუზერმა რიჩარდსონს გაუთლელი ხეპრე უწოდა, ამ ბიჭს საერთოდ არ ჰქონია შეგნება. სულ ვარუქებდი იმ ბურთსო.

მცირე „ოლ სტარის“ უძვირფასეს მოთამაშედ კი არენასი დასახელდა. ახალბედებში საუკეთესო იყო მაიამელი კერონ ბატლერი (23 ქულა).

სამქულიანების კონკურსი ზედიზედ მეორედ მოიგო „საკრამენტო კინგზის“ ჩუბინმა იუგოსლაველმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა. მასთან ბრძოლაში ასევე ზედიზედ მეორედ დამარცხდა მემფისელი ვესლი პერსონი.

### სად იყვნენ ატლანტელები?

ატლანტაში ავად თუ კარგად შემდგარმა „ოლ სტარმა“ ფაქტობრივად ატლანტელების გარეშე ჩაიარა. დიდი ვარსკვლავების აღმოსავლურ გუნდში „ჰოქსიდან“ არც გლენ რობინსონისთვის მოიძებნა დაგილი და არც შარიფ აბდურ-რაჰიმისთვის. „ქორები“ არც სხვა კონკურსებში ჩანდნენ. ჯორჯიელებს სანუგეშოდ დარჩებათ ცალფარა თამაში სამი სამზე, სადაც ლეგენდარული დომინიკ უილკინსის კაპიტნობით ატლანტელები მეჯიქჯონსონიან ლოსანჯელესელებს წაეთამაშნენ. არც აქ გაუმართლათ „ოლ სტარის“ მასპინძლებს, „მეჯიქმა“ და მისმა რაზმმა დომინიკის გუნდი 23:19 დაამარცხა.

**ირაკლი ფირცხალავა**


შაკილ ონილმა თამაშამდე იმღერა და იცეკვა

REUTERS ატლანტიდან


ჯეისონ რიჩარდსონს ამ ნახტომმა ჩატენვების კონკურსი მოაგებინა

AP ატლანტიდან

DAVIS CUP by BNP PARIBAS

## დევისის თასი პირველი წრე

*გასულ პარასკევ-უქმეებზე მსოფლიოს ზეპურმა დევისნაკრებებმა წლევანდელი გათამაშების პირველი წრე ჩაითამაშეს. წრის უმთავრეს მოულოდნელობად ხორვატთა მიერ ამერიკელთა ძლევა იქცა, თუმცა იანკების უსამპრასო, უაგასო და ამ ჯერზე უკვე ეროდიკო ნაკრები 32-გზის მედევისთასე გუნდს შორეულადაც რომ არ ჩამოჰგავს, საჩოგნეთში ამაზე უკვე დიდი ხანია ყაყანებენ. სხვაფრივ — შარშანდელი ჩემპიონი რუსები ჩეხურ ოსტრავას ტრავმირებული მარატ საფინის გარეშე ესტუმრნენ, მაგრამ ნოვაკისა და კომპანიის ძლევას კაფელნიკოვის გამოცდილება და იუჟნი-დავიდენკო ჭაბუკური მიძალებაც ეყო...*

# ამერიკა უ-უ-უ...


REUTERS ზაზა...
გორან ივანიშევიჩი: დაბრუნებაც ასეთი უნდა!

**რუმინეთი — საფრანგეთი 1:4**
**ადრიან ვოინეა — სებასტიან გროჟანი 2:6, 3:6, 6:7 (10:12); ანდრეი პაველი — ნიკოლა ესკუდე 6:7 (2:7), 2:6, 6:7 (5:7); პაველი, გაბრიელ ტრიფუ — მიშელ ლოდრა, ფაბრის სანტორო 4:6, 3:6, 6:7 (4:7); ვიქტორ ჰანესკუ — სანტორო 6:1, 6:4; ტრიფუ — ესკუდე 6:7 (3:7), 6:4, 4:6**

შარშანდელმა ფინალისტებმა და შარშანწინდელმა ჩემპიონებმა სამეოთხედფინალო საგზური ბუქარესტში აფერუმად და ჰარი-ჰარალოდ იშოვეს. შეხლამდე ბიჭბუჭურად მობაქიბუქე მასპინძლებს გი ფორჟეს სამწყსომ ყველაფერი პირველ სამ შეხვედრაშივე გაურკვია, რომელთა მსვლელობისასაც — თავადაც ხედავთ — ერთი სეტიც არ მიათვლევინა.

რუმინელთა ნაქები ყოჩები ვოინეა და პაველი პარასკევს გროჟანმა და ესკუდემ ჩაპარსეს, პაველისა და ტრიფუს ჯუფთი კი შაბათს ლოდრასა და სანტოროს (წინა თვეში ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვებულმა) წყვილმა დააოკა.

მეოთხედფინალში ფრანგები შვეიცარიელებს დაუხვდებიან. ალპელებმა მათთან ჩასვლის უფლება ჰოლანდიელთა ძლევით მოიპოვეს.

**ჰოლანდია — შვეიცარია 2:3**
**სხენგ შალკენი — მიხელ კრატოხვილი 6:3, 7:5, 1:6, 4:6, 6:4; რემონ სლოიტერი — როჯერ ფედერერი 2:6, 1:6, 3:6; პოლ ჰაარჰუისი, მარტინ ვერკერკი — ჯორჯ ბასტლი, ფედერერი 3:6, 6:3, 6:4, 7:5; შალკენი — ფედერერი 6:7 (2:7), 4:6, 5:7; ვერკერკი — კრატოხვილი 6:1, 6:7 (5:7), 6:7 (6:8), 1:6**

ამ შეხლის ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, შეძლებდა თუ არა მიხელ კრატოხვილი არნჰემში თუნდაც ერთი მატჩის მოგებას, თორემ როჯერ ფედერერს მასპინძლები ვერაფერს რომ დაუპირისპირებდნენ, ეგ იმთავითვე აშკარა იყო.

ასეც მოხდა. ფედერერმა მისთვის ჩვეული სიდარბაისლით იჩოგნავა და სლოიტერსაც და შალკენსაც სეტისწაუგებლად აჯობა. რაც შეეხება კრატოხვილს, შეხლის პირველ მატჩში მან შალკენთან ხუთსეტიანი ომი გადაიტანა, ხოლო მომდევნო წრეში გამყვანი გამარჯვება წინა უქმეებზე მილანში გაჩემპიონებულ მარტინ ვერკერკს წაჰგვარა.

**ავსტრალია — დიდი ბრიტანეთი 4:1**
**მარკ ფილიპუსისი — ალენ მაკინი 6:3, 6:3, 6:3; ლეიტონ ჰიუიტი — ალექს ბოგდანოვიჩი 7:5, 6:1, 6:2; ჰიუიტი, ტოდ ვუდბრიჯი — მაილს მაკლაგანი, არვინდ პარმერი 6:1, 6:3, 4:6, 6:2; უეინ ართურსი — მაკლაგანი 4:6, 6:1, 6:4; ვუდბრიჯი — ბოგდანოვიჩი 2:6, 6:7 (4:7)**

ავსტრალიელთა დამაჯერებელ გამარჯვებაში ეჭვი არც თავად სიდნეიში ჩასულ ბრიტანელებს ეპარებოდათ. სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო, რაკილა სტუმრებს მათი მთავარფალავნები — ტიმ ჰენმანი და გრეგ რუზედსკი აკლდათ, მასპინძელთა დამრტყმელ ძალას კი კაცთა ამქრის უსტაბაში ლეიტონ ჰიუიტი და მძლავრი მეყუმბარე მარკ ფილიპუსისი შეადგენდნენ.

ჰიუიტმა და ფილიპუსისმა თავიანთი საპარასკევო მატჩები სეტისწაუგებლად გაასრულეს, ჰიუიტ-ვუდბრიჯის წყვილმა კი შაბათს მაკლაგან-პარმერის ჯუფთი მოაშთო და ოზებმაც მეოთხედფინალისკენ გაივაკეს. ახლა მათ მალმიოში სტუმრობა მოუწევთ, სადაც ბრაზილიელთა მძლეველ შვედებს უნდა ერკინონ.

**შვედეთი — ბრაზილია 3:2**
**ანდრეას ვინსიგერა — გუსტავო კუერტენი 1:6, 4:6, 4:6; იონას ბიორკმანი — ანდრე სა 6:4, 5:7, 6:2, 4:6, 6:1; ბიორკმანი, მაგნუს ლარსონი — კუერტენი, სა 4:6, 6:2, 7:5, 2:6, 2:6; ბიორკმანი — კუერტენი 6:4, 6:4, 4:6, 4:6, 6:1; ვინსიგერა — ფლავიუ სარეტა 6:1, 7:5, 6:3**

ამ დაპირისპირების გმირი ვეტერანი შვედი იონას ბიორკმანი გამოდგა. ბიორკმანმა სამ ხუთსეტიან შეხვედრაში იმონაწილევა და, თუკი მაგნუს ლარსონთან შეწყვილებულმა კუერტენისა და სას ჯუფთთან დათმო, მარტოკაცად მოჩოგნავემ სასაც აჯობა და სამგზის მეროლანგაროსე გუგასაც. გადამწყვეტი სეტი მან ორივეს 6:1 მოუგო.

„ცხადია, ჩემი საუკეთესო დევისმოგონებები იმ წლებს უკავშირდება, როცა ჩვენ თასის სამჯერ მოგება შევძელით — ამბობდა მერე — მაგრამ კუერტენთან გამარჯვება, ალბათ ყველაზე დიდებულია იმათგან, რაც კი ამ თასზე მომიპოვებია".

**ხორვატია — აშშ 4:1**
**ივან ლიუბიჩიჩი — მარდი ფიში 7:5, 6:3, 6:4; მარიო ანჩიჩი — ჯეიმს ბლეიკი 1:6, 2:6, 6:7 (5:7); გორან ივანიშევიჩი, ლიუბიჩიჩი — ბლეიკი, ფიში 3:6, 4:6, 7:6 (7:4), 6:4, 6:4; ლიუბიჩიჩი — ბლეიკი 6:3, 6:7 (5:7), 6:4, 6:3; ანჩიჩი — ტეილორ დენტი 7:6 (7:5), 3:6, 7:6 (12:10)**

უსამპრასოდ, უაგასოდ და ეროდიკოდ ამერიკელთა დევისნაკრები ერთი უმნიშვნელო ძალაა. ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა ზაგრებში, სადაც ისე-რა მეჩოგნე ივან ლიუბიჩიჩმა და გამყუჩებლებით მოთამაშე გორან ივანიშევიჩმა, ვისაც დიდ კორტზე შარშანდელი აპრილის მერე აღარ უთამაშია, გაღმაატლანტელთა გამოუცდელ ახალთაობას ჩოგნით სულ ჰამბურგერი ასროლინეს. 23 წლის ლიუბიჩიჩმა ჩალიბად (ესე იგი, მარტოკაცად) ამქრის უსექსუალურეს ხვადად მიჩნეულ ბლეიკსაც უყელა და მარდი ფიშსაც, ხოლო მხარმტკივან ივანიშევიჩთან შეჯუფთებულმა ბლეიკი და ფიში წყვილადაც დაჩოგნა.

შეგახსენებთ, რომ თასის 103-წლოვან ისტორიაში ამერიკელებს ფინალში 60-ჯერ უთამაშიათ და აქედან 32-ჯერ — შედეგიანად. ამ 32-დან უკანასკნელად მათ 1995-ში იმარჯვეს.

რაც შეეხება ხორვატებს, ზეპურ ჯგუფში ისინი წლეულს მხოლოდ მესამედ გამოდიან და სანახევარფინალო საგზურის მოსაპოვებლად აპრილში ესპანეთს უნდა ეწვიონ. თუკი არმადას საიმდროოდ ყველა ხომალდი ჯანზე ეყოლება, უკვე აქედანვე შეგვიძლია იმის თქმა, რომ ხორვატები იქ ამაოდ ჩავლენ.

**ესპანეთი — ბელგია 5:0**
**ხუან კარლოს ფერერო — კრისტოფ როხუსი 6:3, 6:2, 7:5; კარლოს მოია — ქსავიე მალისი 7:6 (7:2), 6:1, 7:6 (7:5); ალექს კორეჩა, ალბერტ კოსტა — ოლივიე როხუსი, კრისტოფ ფლიგენი 6:4, 4:6, 6:3, 3:6, 8:6; ფერერო — ფლიგენი 6:1, 6:4; მოია — კ. როხუსი 6:2, 6:2**

ესპანელებმა არ ითაკილეს და ისე-რა ბელგიელთა შესამუსრად სევილიაში ერთბაშად ოთხივე უძლიერეს მეჩოგნეს მოუხმეს. მათაც ლაღად ჩოგნაობა არ დაზარებიათ — კოლოფერერომ და ნატიფმა მოიამ მარტოკაცებად ივარგეს, ხოლო დოსტებმა — კორეჩამა და კოსტამ როხუსისა და ვინმე ფლიგენის წყვილად შემუსვრით ყველაფერი შაბათსვე გააიმასჭნეს.

**არგენტინა — გერმანია 5:0**
**გასტონ გაუდიო — რაინერ შუტლერი 6:2, 6:3, 6:0; დავიდ ნალბანდიანი — ლარს ბურგსმიულერი 6:1, 7:6 (7:4), 7:5; ნალბანდიანი, ლუკას არნოლდი — შუტლერი, მიხაელ კოლმანი 6:1, 0:6, 4:6, 6:1, 6:2; ხუან იგნასიო ჩელა — დავიდ პრინოშილი 6:4, 6:1; გაუდიო — ბურგსმიულერი 6:3, 6:1**

ტომი ჰაასისა და ნიკოლას კიფერის გარეშე გერმანელებს დიდი შანსი რომ არ ჰქონდათ, ეგ ისედაც საყველპურო ამბავი იყო, მაგრამ ასე ბითურად თუ გაპარტახდებოდნენ, ამას ალბათ ბევრი არ ელოდა.

მათგან ჩაიფლავა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა რაინერ შიუტლერმაც, ვინაც ვერც ბუენოს აირესული თიხნარი შეიშნოვა, ვერც — იქაურთა ყიჟინა და გასტონ გაუდიოს დაუღალავ გლაჯუნსაც ვერაფერი შეაგება. მასპინძლებმა მხოლოდ მაშინ თუ ინერვიულეს, როცა ნალბანდიანისა და არნოლდის ჯუფთი კოლმან-შიუტლერის წყვილს სეტებით 1:2 ჩამორჩა. მაგრამ, თურმე სადა ბანაობ... აკი სწორედ ამ რამდენიმე დღის წინ ამბობდა მიხაილ შტიხი, ამ თაობას ჯერ არაფერი დაუმტკიცებია და ვაითუ, ვერც ვერაფერი დაამტკიცოსო.

არგენტინული სტუმარმასპინძლობით ტკბობა კი მეოთხედფინალში რუსებს მოელით. ესენი გასულ პარასკევ-უქმეებზე ჩეხებს გადაურჩნენ.

**ჩეხეთი — რუსეთი 2:3**
**ირჟი ნოვაკი — ნიკოლაი დავიდენკო 6:4, 4:6, 6:1, 6:1; რადეკ სტეპანეკი — მიხაილ იუჟნი 6:3, 6:7 (8:7), 7:6 (8:6), 2:6, 3:6; მარტინ დამი, სირილ სუკი — ევგენი კაფელნიკოვი, იუჟნი 6:7 (1:7), 6:4, 3:6, 3:6; ნოვაკი — კაფელნიკოვი 6:2, 6:3, 7:6 (7:5); სტეპანეკი — დავიდენკო 6:1, 6:7 (4:7), 2:6, 6:3, 0:6**

დიდი იმედი იყო, რომ უსაფინოდ ოსტრავაში ჩასულ შარშანდელ ჩემპიონებს სამარეც იქ გაეთხრებოდათ. ვერ გამოვიდა. მიხაილ იუჟნიმ, შარშანდელი ფინალის გმირმა, კვლავაც ცხადყო, რომ გაუტეხელი დევისმებრძოლია — ხათქუნა რადეკ სტეპანეკს მან ხუთსეტიან, აიწონა-დაიწონა ომში აჯობა.

თუმც გადამწყვეტი მატჩის მოგება ამჯერად 21 წლის ნიკოლაი დავიდენკოს ხვდა წილად, ვინაც იანვარში ადელაიდურ ჰარდზე კარიერის პირველი ტიტული მოირეწა და მას შემდეგ მეტი თვითრწმენით თამაშობს.

